

ქუთაისის გზები



საქართველოს
მხარეთა
კავშირის
გაზეთი
№1 (269)

1-28 თებერვალი
2019

ფასი 1 ლარი

გამოცემის
თავები ორჯერ

რევაზ მიშველაძე



მეოცე საუკუნის დასაწყისში ქუთაისში, არქიელის გორაზე, ძველებური მრგვალი კრამიტით გადახურულ ერთსართულიან სახლში ცხოვრობდნენ ალექსანდრე იშხნელი და ვასასი ლოლაძე.

ათი შვილი ჰყავდათ. ექვსი ქალი და ოთხი ვაჟი.

მიუხედავად მრავალშვილიანობისა და აქედან გამომდინარე აუტანელი სიღარიბისა, იშხნელების ოჯახი ბედნიერ ოჯახად ითვლებოდა.

რაც მთავარია, მათი სახლიდან ხშირად მოისმოდა სიმღერა.

ალექსანდრე შეძლებისდაგვარად პურმარილიანი, სტუმართმოყვარე კაცი იყო, ხოლო ვასასი ლოლაძე გიტარაზე მშვენივრად უკრავდა.

იშხნელების სიმღერა ოჯახის სავიზიტო ბარათად იქცა.

ვასასი ათივე შვილს ჩაამწკრივებდა ბუხართან და საათობით ამღერებდა. კარგი დედის შვილი იყო, რომელიმეს უკმაყოფილება გამოეთქვა. მოუწევდა იმ საღამოს უშაქრო ჩაის დალევა.

ოჯახის უფროსის თავაზიანი მოწვევით, ვასასის საოჯახო გუნდის მოსასმენად ხშირად მოდიოდნენ: აკაკი წერეთელი, ნიკო ნიკოლაძე, პაოლო იაშვილი, ტიციან ტაბიძე, ვანო სარაჯიშვილი, ვარინკა წერეთელი, შალვა დადი-

ანი და სხვები (და სხვებში შეიძლება ისეთი გვარები გამომჩნეს, ნებისმიერი თავმოყვარე ოჯახი რომ ინატრებდა).

გოგონებმა ქალთა გიმნაზია რომ დაამთავრეს, უკვე ქუთაისში სახელგანთქმული მომღერლები იყვნენ.

არ ჩატარდებოდა ბენეფისი, საზეიმო შეხვედრა, იუბილე, ქორწილი (რამდენჯერმე დაკრძალავს ციკი იმღერეს) დები იშხნელები რომ არ მიენვიათ.

„ბოვები არ გამინუნკონო“, და ალექსანდრე ცერბერივით ედგა დარაჯად, რომ ვინმეს ახალდაჩეკილი ბულბულებისთვის ფული არ შეეძლია, მაგრამ შეძლებული ქუთაისელები მაინც ახერხებდნენ

პირნმინდად გადავარცხნილი, ბრილიანით მბზინავი შავი თმებით, გრძელი ნატიფი თითების დასაწყისს თეთრი, კრუჟუაონი სამაჯურები რომ უფარავდათ. ირისისფერი კაბები ეცვათ მხრამდე გადაფენილი ყანაოთისფერი, გახამებული საყელოებით, ფეხებზე ზომიერად სქელქუსლიანი ოთხკუთხედცხვირა „ტუფლები“ ეცვათ.

თავიდან ერთი გიტარით გამოდიოდნენ. ეს გახლდათ ძველებური, შვიდსიმანიანი გიტარა, რომელიც ვასასის მზითევში მოჰყვა. გიტარის შუასიღრმეში ეკატერინე მეორის ოფოფურადთმადაყენებული საიმპერატოროყელსაბამიანი სურათი ჩანდა.

გეგონებოდათ, ქუთაისელები დილით სახლიდან იმიტომ გამოდიოდნენ და იმიტომ დაქიჩმაჩობდნენ წინდაუკან თავიანთ კაპიკიან საქმეებზე, რომ მთელი დღის განმავლობაში მოეფიქრებინათ, რამე მიზეზი ეპოვნათ საღამოს სად ჩასხდომოდნენ ქუთაისის ცხოვრების წესს - მამა-პაპურ სუფრას.

და ცხოვრობდა ქუთაისი დები იშხნელების ფორიანი გიტარებით.

მიუხედავად საყოველთაო კომშიმშილისა იყო გრძელ-გრძელი ქილიკხუმრობით სავსე სადღე-გრძელოები, ღამისთევები და დილით თეთრ ხიდზე რწევით მიმავალი ღილიგამოყოლილი დარდ-იმანდები, ოკუჯავების ნაქირავებ სახლს ოლღას გამოჩენის დაულალავ მოლოდინში შუალამისას გარს უვლიდა ცხრამეტი წლის ჭყვიშელი გენიოსი და უქიმერიონის დანგრეულ ქონგურებს გაკვირვებული დასცქეროდა ქუთაისის განუყრელი თანამგზავრი ვერცხლისთავშლოსანი მთვარე.

ომი სამი თუ ოთხი წლის დამთავრებული იყო, ქუთაისში ზაფხულის ერთ უქარო დილით ნაცრისფერკვართიანი მაღალი კაცი ჩამოვიდა და პირდაპირ არქიელის გორის აღმართს აუყვა.

კაცის სანდლები ეცვა და თავზე სომბრერო ეხურა.

სომბრერო რომ არ ხურებოდა, თავიანთი ათასი რთული და მარტივი საქმეებით გართული მოქალაქენი ყურადღებას არც მიაქცევდნენ.

მეო, ჭიშკართან შეგებებულ ხელჯოხიან ალექსანდრე იშხნელს მიმართა სტუმარმა, გაგრიდან გახლავართო, ამ საღამოს სანატორიუმ „გაგრიფში“ ომის ვეტერანებთან შეხვედრა გვაქვს და დებმა იშხნელებმა უნდა დაგვაფასონ თქვენი ნებართვითო.

ასეთ თხოვნებს ოჯახის თავი მიჩვეული იყო და უარი არ უთქვამს. თან, ყოველშემთხვევისათვის, მომღერალ დებს უკვე საკმაოზე მეტად

ღიზი იშხნელები ნოველა

თავიგულეებში წითელი თუმნიანების ჩაკუჭვას.

სიღარიბემ თანდათან კუთხისკენ გაიწია და იშხნელების ოჯახი ფეხზე დადგა.

ქალბატონი ვასასი დიდებული ლობტარი და რეპეტიტორი იყო.

კონცერტის წინ ყოველთვის კულისებში იდგა და არიგებდა: „აბა, ჰე“, „რავარც გითხარით“, „ჯერ გიტარის ერთი ოქტავა გოუშვით და მერე დეინყეთ“, „შესვლისას ერთმანეთს მიყევით“, „თავის დაკვრა არ დაგავინყდეთ!“

ვაი, იმას, ვინც ვასასის სიტყვას გადავიდოდა.

კულისებში თმის მოწნვა და მსუბუქი ნაჯიკავება არ აცდებოდა.

და გამოდიოდნენ სცენაზე დები იშხნელები, მაღალყელიანები, მოხდენილები, ლამაზი ყურების უკან

მოგვიანებით ალექსანდრემ პეტერბურგიდან ახალი გიტარა ჩამოუტანა შვილებს. გიტარა ძველი გიტარის ასლი იყო, ოლონდ შუაში ეკატერინე მეორის სურათის ადგილას დიდი შავი ასობით ეწერა: „ლენინგრადსკაია ფაბრიკა მუსიკალნიხ ინსტრუმენტოვ იმენი სეჩენოვა, 1920 გ.“

და იღვრებოდა სცენიდან „სულიკო“, „ჩემო ციცინათელა“, „გახსოვს, ტურფავ!“, „ტურფავ, მოდი“...

და ცხოვრობდა ქუთაისი თავისი ზომიერადქართული, არისტოკრატიული, იუმორიანი, ავკარგიანი, „რავა გეკადრება შენ არ მომიკვდე, არ გაგიშვათი“. ქუთაისი ვერ გააღატაკა წითელმა ხელისუფლებამ, ვერ დაავინყა თავისი პენი და სტუმრისთვის „თანგადაყოლის“ ჯიუტი თვისება.

▶ 1 გვ.

ხანშიშესული მათი დედა-ქალბატონი ვასასი გააყოლა.

გუდაუთის გადასახვევს რომ გაცდნენ, ავტობუსი გაჩერდა. ორი სამხედრო ფორმიანიდან ერთ-ერთმა იშხნელები იკითხა.

სომბეროიანი ჩავიდა. მალევე ამობრუნდა და ვასასის რაღაც უჩურჩულა.

ვასასი გოგონებს მიმართა:

- დედიკო, ჩადით ოთხივე. სურათები უნდა გადაგიღონ და მალე მოგაბრუნებენ.

- შენ?! - ოთხივემ ერთად იკითხა.

- მე და ეს ბიძია ადგილზე დაგელოდებით, ჩადით, არ შეგეშინდეთ, დედიკო.

დები გრძელ შავ ლიმუზინში ჩასვეს და რიცის ტბისკენ წაიყვანეს.

სამს აღარაფერი უკლდა.

ავისტოს ხვატი ტბის ცივ ნიავს გაენელებინა.

სამსართულიანი თეთრი სახლის პირველ სართულზე დიდ, მარმარილოს ბუხრიან დარბაზში შეიყვანეს.

ოთხივენი გრძელ მაგიდასთან ჩამოსხდნენ და ერთმანეთს მიაჩერდნენ.

- რომ დაგვიჭირეს, აშკარაა, მარა აქ რატომ მოგვიყვანეს? - ყრუდ ამოილაპარაკა ნინომ.

- მე ვიცი, რატომაც დაგვაკავეს, კიდო დიდხანს გვამყოფს გარეთ.

- რატომ? - იკითხა თამარმა და თავის თითებს დააცქერდა.

- ირაკლის გამო, რათ უნდა ამას ლაპარაკი.

- მერე? ჩვენ რა შუაში ვართ?

- რა სულელი ხარ, გოგო, - ნინოს ხმა იყო.

- ე გიტარა რამ წამომალებია, დემეტოვებინა დედაჩემისთვის.

ამ ჩურჩულში იყვნენ დები იშხნელები, რომ დარბაზში არც მეტი, არც ნაკლები სტალინი შემოვიდა.

დებს სტალინი არასოდეს ენახათ, მაგრამ სტალინს რა ცნობა უნდოდა.

თეთრ შარვალ-კიტელში გამოწყობილი, უქუდო, გერბოსან სამხრეებიანი, თმაშევერცხლილი კოხტა მოხუცი იმაზე გაცილებით უფრო ლამაზი იყო, ვიდრე სურათებში ენახათ. ეგ იყო ცოტა დაბალი და სახენავყავილარი მოეჩვენათ.

- როგორ ხარ, იშხნელებო? - სტალინმა ოთხივეს ხელი ჩამოართვა, - ბოდიშს ვიხდი, რომ შეგანუხეთ, დაბრძანდით.

იშხნელები დაჯდომას ვერ ბედავდნენ.

- დაბრძანდით, ხომ არ მემდურით? რადიოში მოგისმინეთ და თქვენი გაცნობა ძალიან მინდოდა.

გაბედეს და დასხდნენ.

პირველმა ელდამ გაიარა.

- რა ამბავია ქუთაისში?

- მშვიდობაა, ამხანაგო სტალინ, - დებს შორის ნინო ყველაზე თამამი იყო, - თქვენ ქუთაისს კარგად იცნობთ?

სტალინს გაცინა.

- როგორც შეიძლება იცნობდეს ქუთაისს კაცი, რომელიც სამი წელი იჯდა ქუთაისის ციხეში და მერე, ამას რომ თავი გავანებოთ, სიძე გახლავართ ქუთაისის.

- მართლა? - თამარს წამოცდა.

- ჰო, მართლა, მართლა, - გააჯავრა სტალინმა, - პირველი ცოლი ქუთაისელი მყავდა, სვანიძის ქალი.

გრძელი მაგიდის მეორე ბოლოში სუფრა უკვე გაეშალათ.

- ბოვებო! - ქუთაისურად მოუქცია სტალინმა, - ნამგზავრები ხართ, მოშიებული იქნებით, ნევიხემსოთ ცოტა.

„ბოვებომ“ დები თითქმის გაახალისა.

სტალინმა ჭიქებში წითელი ღვინო ჩამოასხა. წამოდგა.

- ქუთაისს გაუმარჯოს და თქვენს სიმღერას გაუმარჯოს.

გოგონები წამოდგნენ და ჭიქები ტუჩებთან მიიტანეს.

- დაბრძანდით, დაბრძანდით, არ მომჭრათ თავი, როდის იყო ქართულ სუფრაზე ქალი ფეხზე დგებოდა.

ზინაიდამ საათზეც კი დაიხედა.

- ნუ გეშინიათ, თქვენ, როგორც ვიცი, შვიდ საათზე გაქვთ კონცერტი, ჩაუსწრებთ, ჯერ მთელი სამი საათი რჩება.

- მაგიტომ არა, ამხანაგო სტალინ, ისე დავიხედე საათზე.

- გაიტერესებდა, ხომ არ გაჩერდაო, არა?

ოთხივემ ერთად გაიცინა.

- თუ არ გამიბრაზდებით, ერთი სამი სიმღერა მაჩუქეთ. გრცხვენიათ? ისე იმღერეთ, როგორც სახლში ვასასისთან. თითქოს მე აქ არა ვარ.

თუ გნებავთ, ერთად ვიმღეროთ.

ნინომ გიტარა მომართა.

სტალინი ყურადღებით უსმენდა. ხანდახან მუნჯურ ბანს ჩააქსოვდა. წამოდგა. გაიარ-გამოიარა.

- მადლობელი ვარ. კარგად მღერით. საოცარია, როგორ უხდება გიტარა ქართულ სიმღერას. არა და ქართული ინსტრუმენტი სრულიადაც არ არის. გიფიქრიათ ამაზე?

დებმა დუმილით უპასუხეს.

- ხომ არ აჯობებს, ბანი ოდნავ მოგვიანებით შემოვიდეს. ვთქვათ ასე, „ჩემო ციციანათელავ“ დაიწყონ პირველ-მეორემ და მერე შეუერთდეს ბანი. უფრო ბუნებრივი იქნება. ეს ისე გითხარით. არ დამიჯეროთ. მე რა უნდა გასწავლოთ. ჩინებული ოსტატები ხართ.

ბუხართან მივიდა. ჩიბუხი გაანყო. ასანთი მოუკიდა. ცერა თითი დაადო და გააბოლა.

- თუ იცით, საიდან მოდის თქვენი გვარი?

- იშხანიდან, - მარიამმა წაიჩურჩულა.

- მერე და სად არის ახლა იშხანი? - თურქეთშია.

- საქმეც მაგაშია, ჩემო კარგებო, სანამ ცოცხალი ვარ ცდას არ დავაკლებ, რომ ჩვენი ძირძველი ისტორიული კუთხე ტაო-კლარჯეთი დავიბრუნოთ... და მერე ერთად ჩავიდეთ თქვენს იშხანში... ჩვენს იშხანში.

სანამ სტალინი ტაო-კლარჯეთის დაბრუნებაზე ლაპარაკობდა, მარიამმა ნინოს უჩურჩულა:

- ვუთხრათ?

- შენ ხომ არ გაგიჟდი, შეიძლება ჩვენც ირაკლის გზას გაგვაყოლოს.

ეს ჩურჩული სტალინს არ გამოპარვია.

- რაღაცის თქმა გინდათ, სტუმრებო.

- არაფრის, - ნინომ თავი ჩალუნა.

- ირაკლიზე გვინდოდა, გვეთხოვა, - თამარმა თავი გადადო.

- ირაკლი ვინ არის?

- ჩვენი ძმისშვილია.

- რა მოუვიდა?

- დაჭერილია.

- რა ხნის არის?

- ცხრამეტი წლის.

- ოჰო... როგორ მოასწრო.

პაუზა.

- რას აბრალებენ?

- სულ ტყუილად ზის, ამხანაგო სტალინ.

ახლა რაკი მოთმინების ძაფი განყდა, დები ერთმანეთს ასწრებდნენ.

- უდანაშაულოა!

- საციხო არაფერი ჩაუდენია.

- რას აბრალებენ?

- მოუგონეს, ვითომ სტალინის და ბერიას მოკვლა გინდოდაო.

სტალინს გაცინა.

- ბერიას კი, ბატონო. ბერია მართლა მოსაკლავია, მაგრამ მე რას მერჩოდა, რა დავუშავე? - ღიმილით იკითხა.

- არა, ამხანაგო სტალინ, რას ჰქვია მოკვლა. ფიქრებშიც არ გაუვლია. ჩვენს ხელში გაზრდილი ბალანაა, - ცრემლი ენასკვებოდა ყელში ზინაიდას.

- რა მიუსაჯეს? - სტალინმა სხვის ხმით იკითხა.

- სამუდამო პატიმრობა, მოუკვდეს მამიდა, - მოთქმა ამოაყოლა ამ სიტყვებს თამარმა.

სტალინს მეტი არაფერი უთქვამს. კარებამდე გამოაცილა დები.

მადლობა უთხრა სტუმრობისთვის, სიმღერისთვის და საერთოდ კარგი იშხნელობისთვის.

გასვლისას ხელი ჩამოართვა სტუმრებს და სთხოვა:

- არავის უთხრათ, რომ ირაკლიზე რაიმე მთხოვეთ. საერთოდ, არც ჩემთან ყოფნაზე ილაპარაკოთ. ჭორიკანა ქალაქია ქუთაისი.

...ექვსი თვის შემდეგ სტალინის განკარგულებით ირაკლი იშხნელის საქმეს გადახედეს, საბრალდებო დასკვნა გააუქმეს და გაათავისუფლეს.

1953 წელს სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე სტალინმა ერთხელ კიდევ გაისხენა დები იშხნელები. კრემლში მიიწვია, სვეტებიან დარბაზში დიდი სცენა დაუთმო და მათი გალობა მთელს დუნიას მოასმენინა.

ყამთასვლა მაშინაც უღმობელი გახლდათ.

1968 წელს, ერთ წელიწადში ერთმანეთის მიყოლებით გაიკრიფნენ ამ წუთისოფლიდან ზინაიდა, მარიამი და ნინო.

ქალბატონი თამარი მარტო დარჩა. კარგა ხანს იგლოვა დები.

ცრემლმორევით უსმენდა რადიოს ოქროს ფონდიდან დარბეულ დები იშხნელების სიმღერებს.

ისევ იქ იყო, დების გვერდით, ქუთაისის სცენაზე.

ერთხელ მერა დადიანის შემოქმედებით სალამოზე მოვიწვიეთ.

სიტყვაუნდამეთქვადა კულისებში მის გვერდით აღმოვიჩნდი.

გავბედე და გამოველაპარაკე, მეც ქუთაისელი გახლავარ-მეთქი. სახე გაუნათდა.

- ახლა, რაც დრო გადის სულ უფრო ვფიქრობ, ქუთაისიდან არ უნდა წამოვსულიყავით, ქუთაისიდან არ უნდა წამოვსულიყავით, ასეა ეს...

ბოლოს ისევ მოკიდა გიტარას ხელი.

ქანცგანყვეტამდე ამღერებდა თავის ნიჭიერ შვილიშვილს მანანა მენაბდეს და ქანცგანყვეტამდე აკვნესებდა გიტარას.

- ასე უნდა, ასე... ასე არა, გენაცვალოს ბებია, მიყვები, მიყვები გიტარას, ხომ გესმის, გიტარა თვითონ გიჩვენებს, საით უნდა გაუხვიო. ვინ გასწავლათ, ვინ ჩემი ცოდვით საგსემ გასწავლათ ასე დაბოლოვება. არა, არა, ეს ქართული არ არის. ვასასი მყავდეს აქ, აგახევადა ყურს. მოდი, აბა, თავიდან, კარგია, „გახსოვს, ტუურფავ“, „გახსოვს, ტურფავ“ კი არა „გახსოვს, ტუურფავ“... ჰო,ჰო, უფრო ნაზად, ბებია, უფრო ნაზად, ამ სიმღერას ილია ჭავჭავაძე მღეროდა.

გიტარით ხელში მიიცვალა 1994 წელს ქალბატონი თამარი, 94 წლისა.

9 იანვარი, 2019 წელი
თბილისი

ბაგრატ ბადიდი

ემიგრანტების შთაბრძნავალი

ეძღვნება სალომე ზურაბიშვილს

მზე დაჰქათქათებს, დეკემბრის მზე, დალოცვილ თელავს და საპატრიო სტუმრებს ხვდება „ბატონის ციხე“.

ხალხი ტაშს უკრავს, ხალხში დიდი ფაცა-ფუცია, ჩაჰბერეს საყვირს... პრეზიდენტი გამობრძანდება და ხელს დაადებს საქართველოს კონსტიტუციას და დაინყება საზეიმო ფიცის დადება...

სიტყვით მიმართავს ხალხს სალომე ზურაბიშვილი, პირველი ქალი პრეზიდენტი საქართველოში, მოსაწონია, მოგვწონს მისი თუნდ ჩაცმის სტილი, თვალს ახალისებს სიმბოლიკა ქართული დროშის.

სადღაც მტრედები ღულუნებენ, შაშვნი გალობენ... პატრიარქს ხელზე ეამბორა ჩვენი სალომე, ჯარის სარდლობას ეტყვის მადლობას, მიესალმება ქართულ არმიას. კარგია, როცა ხალხი გენდობა და მაინც, ქალის პრეზიდენტობას სულ სხვა ხიბლი აქვს, სულ სხვა შარმი აქვს.

შენით ამაყობს, ქალბატონო, ქართველი ერი, ცაა უღრუბლო, ჩართულია ყველა რაცია... დღეს აქ, თელავში შედგა შენი სვეტდენიერი ინაუგურაცია.

მზე დაჰქათქათებს ალაზნის ველს, გომბორს, თრიალეთს, აქ შენი დიდი წინაპრების სული ტრიალეს, შენს დაბრუნებას შეჰხარია, ამ ხალხს შეხედე! იხსენებ ნიკო ნიკოლაძეს, კაკი წერეთელს... შენი ჯიშის და საახლობლოს გრძელა სია და საამაყოდ ეს ფაქტიც კი საკმარისია.

ეს ის დრო იყო, როცა „ძალი ვერ ცნობდა პატრონს“, ეპოქა, როცა ძმა ძმისაკენ ინევდა სამტროდ... და საქართველო უნებლიედ, თავისთავადაც სოციალიზმის იდეებმა დააავადა...

დევნილ ბაბუებს გაიხსენებ: მექი კედიას, ვანო (ივანე) ზურაბიშვილს, დედას და მამას... ქვეყანამ მძიმედ განიცადა ის ტრაგედია, მშობლების დარდი უცხოეთმა ვერ დაგაიმა.

შენ შინ დაბრუნდი უცხოეთში გადახვეწილი ემიგრანტების ნაშიერი, ქართველი ქალი და ღირსეულად მოიხადე სამშობლოს ვალი - შენი არჩივი, შენი კერძი და შენი წილი.

ქალური მხრებით უზარმაზარ ტვირთს ეზიდები და საქართველო მკერდში გიკრავს და გეფერება, დედა სამშობლოს დაუბრუნდი, ვით პრეზიდენტი, ამაზე დიდი რა იქნება ბედნიერება?

ჩვენს ხალხს სჭირდება, პრეზიდენტო, თქვენი პატაკი, რომ არ იქნება საქართველო ღარიბ-ღატაკი.

არა აქვთ ერთი „საქართველო“ მდიდარს და გლახაკს, ჩვენი მთავარი საზრუნავი ეს არის ახლა.

ხალხს პრეზიდენტი ჰპირდებოდა, ასე ბრძანებდა: ხელს შევეწყობო საქართველოს გამთლიანებას.

ჩვენ არ გვჭირდება, პრეზიდენტო, ბუტაფორია, რადგან ქართველებს სასახელო გვაქვს ისტორია.

მაგრამ ჰგავს ჩვენი საქართველო კვლავ დაჭრილ არწივს, ჭრილობებს როგორ მოუშუშებთ, თქვენ იცით ან...

არის ქვეყანა ყოველმხრივ ღია, ისმის ღულუნი მშვიდობის მტრედის, მაგრამ რამეთუ დღესაც გვყავს მტრები, ბრძოლაზე ხელი არ აგვიღია.

დრო იყო, გვყავდა დიდი თამარი, ის დრო გადაჰყვა სისხლისმღვრელ ომებს. გვყავს პრეზიდენტად ქალი - სალომე და დღეს ეს არის ჩვენთვის მთავარი.

ავისმთქმელები ამბობენ მასზე: რომ ის რუსეთის არის აგენტი... ქვეყნის მოკეთე ამას არ გეტყვის,

აშკარა მტერი თუ იტყვის ასე... პირიქით: რუსეთს მან დასდო მსჯავრი, გააყვანინა აგრესორს ჯარი.

როგორც იტყვიან: „გვარზე ხტის კვიცი“... ჩვენი სალომე ვინც არის, ვიცით, მიზანსწრაფული, მტკიცე, თამამი... გავიხსენებდი აქვე მამამისს:

მუდამ საქვეყნო საქმით გართული, ის თავმჯდომარე იყო ქართული სათვისტომოსი, როგორც წესია და გაუხსნია მას ეკლესია იქვე, პარიზში, ცადაღმართული.

ზრდიდა სალომეს ორი ბებია, თურმე ბებიებს უსწავლებიათ ქართული ენა მისთვის პარიზში და თუ ქართული ენა არ იცის,

როგორც თქვენ გინდათ ისეთი პენით, მას, ვით ემიგრანტს პატივი ეცით, ის ხომ თავადაც ემიგრანტია და უეჭველი გვაქვს გარანტია,

რომ თავის სიტყვას ის საქმედ აქცევს, რომ დაედება მამულს მალამოდ... ჰეი, ქართულო დროშავ, ალამო, დე, ფრიალებდე მშვიდობის მაცნედ.

არ გვეგულება მისი ბადალი, ის არის ქვეყნის მთვარსარდალი, მას პატივსაც სცემს პარიზი, რომი... ქალი კი არა, ლომია, ლომი!



P.S. მან უარი თქვა პრეზიდენტის ხელფასზე, ამით უურნალისტები გააკვირვა, მის ირგვლივ მყოფნი... თქვა პრეზიდენტმა: „საფრანგეთის პენსიაც მყოფნის... და მინდა ჩემს ხალხს დავეხმარო“. ასე თქვა, ამინ!



ნუგზარ ჯანაშვილი

ურნმუნოაო, ვერ იტყვი...

სწამდა, განა არა, სიკეთისა სწამდა, სიყვარულის, მეგობრობისა... მაგრამ ეჭვიანიც იყო. ამ ეჭვებს ხშირად ისეთ აბსურდამდე მიუყვანია, თავად ვეღარ უპოვია გამოსავალი.

ერთგულება იყო მისი სავიზიტო ბარათი, ერთგულება ოჯახის, საქმისადმი. მგრძობიარე და რბილი ხასიათი, მაგრამ თავისი პრინციპები ჰქონდა. ეგებ ეს, სწორედ ეს ორი ურთიერთგამომრიცხავი თვისება იყო მიზეზი მისი გადაჭარბებული ეჭვიანობისა.

ფილოლოგიის ერთი „ვიწრო“ სპეციალობა გაეხადა სასიცოცხლო კრედიტად და მონოდედად, ბავშვობიდან რომ ეტრფოდა და დღემდე პედანტურად ემსახურებოდა - ხალხური ზეპირსიტყვიერების ნიმუშებს აგროვებდა; სოფელ-სოფელ, ხევ-ხევ, მთა და ბარს ასწორებდა, სად არ დახეტიალობდა ერთი თქმულების, ზღაპრის თუ ხალხური ლექსის ჩასაწერად. თითქოს ოქროს საბადოსთვის მიეგნოსო, ამაღლებული განწყობით უბრუნდებოდა ბუდეს.

ბუდე კი, რა ხანია, ქალაქად მოეწყო. ჯერ იყო და, უნივერსიტეტისა და ასპირანტურის დასრულებამდე, ქირით იცხოვრა, სამწლიანი შეხვედრებისა და ქალის მშობლების ნინაღმდეგობის მიუხედავად, ნინო შერთო ცოლად. ერთგული და სათნო ქალი გამოადგა, მომთმენი და მოსიყვარული. ფუფუნებაში გაზრდილს წარბი არ შეუხრია ქმრის ხელფასისა და ჰონორარების შემყურეს. ქალ-ვაჟი აჩუქა ნინომ, და ვიდრე ბავშვები კარგად არ მოაყვინჩლა, სამსახურს არ გაეკარა - არადა, პედაგოგიური ჰქონდა დამთავრებული.

ეჭვიანი იყო-მეთქი, და თუ ეს გარკვეულწილად ნაკლად შეიძლება მაინც ჩაითვალოს, პარალელურად, ერთი კარგი თვისება ჰქონდა, დღევანდელი მისთვის ერთობ იშვიათი - პოლიტიკაში „ჭვრიტინი“ არ უყვარდა. აინტერესებდა კი, განა არა, რაც ქვეყანასა და ხალხს ეხებოდა, მაგრამ ჩარევით? ყველამ თავის საქმე-საკეთებელს მიხედოსო, იტყოდა, თუმც, პოლიტიკა რომ ხშირად ჩარეულა მის პირად ცხოვრებაში და კარიერაზეც უმოქმედია, ამას კი ხშირად გაუღიზიანებია, და ეს ეჭვიანობაც სწორედ აქედან მომდინარეობდა - ნლობით ნაცად და საუკეთესო კოლეგა-მეგობრებთანაც ერთთავად დავა და კამათი ჰქონდა - რა საერთო აქვს კაცის მემარცხენე-მემარჯვენობას მის პროფესიონალიზმთან, იტყოდა და, რა თქმა უნდა, მართალიც იყო... და მაინც, ასეთი, ერთი შეხედვით თეორიული და უმტკივნეულო კამათი სერიოზულ დაპირისპირებაშიც გადაზრდილა, რაზედაც მეორე და მესამე დღეს ისე უნერვიულია, მის დასამშვიდებლად ნინოს ბლუჯა წამლები მიუშვებოდა - დანიშნულება შეეშლებოდა თუ რა?

ურნმუნო კაცი არ იყო-მეთქი, დავწერე თავში, თუმცა რელიგიის და ეკლესიის მიმართაც თავისი დამოკიდებულება ჰქონდა. სულ ამბობდა, ის, რაც მცნებებშია ჩადებული, ადამიანებმა რომ მართლაც სახელმძღვანელოდ გაიხადონ, იდეალურს დაუვახლოვებდითო. აი, ეკლესიის მსახურთ კი ცოტა ამრეზით უცქერდა - ესენიც ადამიანები არიან და თავიანთ ქვემარტულ ზრახვებს ანაფორის ქვეშ მალავენო!

ერთი, აშკარად გამოკვეთილი უცნაურობა კი მართლა სჭირდა - მაინცდამაინც და რატომღაც ჯალალ ედ-დინ რუმი გაეხადა კუმირად, მისი მრავალი გამონათქვამი ზეპირად იცოდა, ზოგიერთი თითქმის შეუვალ პოსტულატად მიეღო და ხშირადაც იმეორებდა - ლექციებზე თუ სუფრასთან: - „ჩვენ სიყვარულისგან შეგვექმნეს სიყვარულისთვის“ - არქიმედესავით შემართავდა საჩვენებელ თითს და მხოლოდ ამის მერე იწყებდა ლექციას თუ სადღეგრძელოს... სადღაც, შუაში ჩაურთავდა - „დაინყე სამყაროს შეცვლა საკუთარი თავის შეცვლით“... ხოლო ბოლოსთვის, წამიერ პაუზას გააკეთებდა და უკანასკნელი აკორდით გააჟღერებდა - „სიწუმე ყველაზე მეტს ამბობს!“

ბოლოდროინდელმა პოლიტიკურმა ბატალიებმა წონასწორობიდან გამოიყვანა

- ჰოდა, აი, ჩამოვედი... თქვენ, თქვენ როგორ ხართ, ხოა მშვიდობა, სოფელი რასა იქმს...
- ეჰ - ბეჟანამ ხელი ჩაიქნია და ამით თითქოს ყველაფერი თქვა - სოფელი... სადღაა სოფელი, ახალგაზრდობა გაიხვეტა, ჩვენლა დავრჩით, ბებრები.

- ჰმ... კარგი, ჩემო ბეჟან, ცოტას გავივლი, დაგხედავ აქაობას, ოჯახობა ხომ გყავს კარგად?..
- კარგად, კარგად...
ბეჟანა მორჩილად შეტრიალდა, ლომაც თან გაიყოლია, მარგალიტას გასძახა, აბა შენ იცი, მომიბეჭდი იქნება კაციო და თავად მარნის კარი ააჭრიალა.

სახლს ცერად გახედა, თითქო წყენა შეატყო, თვალი მოარიდა, მარანსაც ისე ჩაუარა, გეგონება იქ არა ესაქმებოდა რა... ბალისკენ გატკეპნილი ბოლიკი მშრალი ჩანდა, ნვიმების სეზონი ჯერ არ დამდგარიყო, მომწვანო-მოყვითალო ფოთლები კი ბლომად დაჰფეროდა ყამირ მინას. ჭიშკრიდან ოდამდე თალივით გადარკაულუ ხეივანს გახედა - გაძარცული და სხენდამრეტელი, ტოტებგაფარჩხული ვაზის ლერწები კუმტად იმზირებოდნენ; ღობის იქეთ, მწკრივად ჩარიგებულ ხეხილნარსაც ვერ შეატყო პატრონის მოსვლით მოგვრილი სიხარული... მხოლოდ მიჯრით ჩამდგარი ორი ხანდაზმული კაკალი დასცქეროდა მოწყალე ღიმილით და ჯერაც შერჩენილ მწვანე, მეჩხერ ფოთლებს ფიქრინად ამრიალებდა. ღობის გაყოლებაზე სარწყავი ღარი შარშანდელ ნემომპალას ამოეყავი, ბალის ბოლოში შამბნარი და სიმინდის ფურჩი უწესრიგოდ აბურდულიყო, იქვე ფინალი და თიხის გადატეხილი ტარი ეგდო.

სახალი

ბალს სვენებ-სვენებით შემოუარა, ისევ კაკლებთან შეჩერდა, ძელსკამზე ჩამოჯდა, ორიოდ, ძირს დაცვილი, გაკროლილ ნებალს დასწვდა, ერთიმეორეს შეატეხა და თავჩაქინდრული ფიქრი მიეცა. ბავშვობა დაუდგა თვალწინ, ხალისიანი და უდარდელი ბავშვობა. აგერ, აქვე, მარანთან უყვარდა ბალის ქსოვა მამას. დედაც მის სიახლოვეს დაფუსფუსებდა და ასე, მუსაფით მიუყვებოდნენ წუთისოფლის გზა-შარას... მარნის კედელზე ხახალს ჰკიდა თვალი, ეჰ, ვინ იცის, როდინდელს... გაუკვირდა, რამდენჯერ ამოსულა და ხახალი აქ არც კი შეუქმნევი.

... ბეჟანამ შეანყვეტინა ფიქრი, ამოდი, როსტომ, ვისაუბროთო, გადმოსძახა და თავად სამზადში გაუჩინარდა.
როსტომმა ყური მოიყრუა... ადრე ასეთ რამეს როგორ ჰკადრებდა მეზობელსა და სიყრმის მეგობარს. მათ შორის წყნა უცხო ხილი იყო, უფხო ხილს კი არც ერთი უსინჯავდა გემოს. თავად უშლიდა ბეჟანას - არ გამაზარმა-ცო, ხელი არ ახლო ჩემს საკეთებელს თორემ, სულაც, ამოსვლა დამეზარებო...
მარნის კარი გამოაღო, საამოდ, სხვადასხვა ხმაზე ლულუნებდნენ ბუშტებნამოც-მული ოციანები; ზოგი შიშინებდა, ზოგიც ისე ბუყბუყებდა, აი, ახლა ამოხეთქს ჭურჭლიდან, აი ახლაო... როსტომმა თაროდან ჭინჭილები ჩამოაღაგა, ფიალებიც შემოიწყო გარს და ტაბლაზე ჩაარია. მერე მკლავი დაიკაპინა, თიხის ქილიდან კომბოსტოს მწნილი ამოიღო, იქვე კომჩხილოც მიამატა, მათმა სურნელმა ისეთ იმტაზე მოიყვანა, ვერ მოითმინა და ორი თითით კომჩხილოს ნააცინცლა, მერე ერთ-ერთ ბოცას ბუშტი შემოსხნა, დასუნა, რატომღაც ალიკარტი არჩია, ჩვენში დირბულასაც რომ ეძახიან, ფრთხილად, აუმღვრევლად, შუამდე ჩადო რეზინის წვრილი მილი, ორ ლიტრანახევრიან დოქს წყალი გამოავლო, ღვინით ბოლომდე გაავსო, ესენიც ტაბლაზე ჩაალაგა და დაბალ სამფეხაზე ჩამოჯდა. ბეჟანამაც ამ დროს შემოაღო კარი, უფრო გაკვირებული ჩანდა, ვიდრე ნაწყენი... როსტომი რომ ასეთ ფაცა-ფუცში ნახა, უფრო მეტად გაუკვირდა.

- დღეს არ აპირებ გაბრუნებას, როსტომ?
- არც დღეს და არც ხვალ - გაჩქარებით მიუგო როსტომმა და ისეთი შვება იგრძნო, თითქო დიდი ტვირთი მოეხსნას მხრებიდან. ბეჟანა სიტყვაძვირი კაცი იყო, ერთი შეხედვით კუმტი და გულდახურული. ცხოვრება არ ანებებებდა მაინცდამაინც. ორი ქალი არგუნა განგებამ, ორივე გაუფრინდა და ქალაქს, უმაღლესის დამთავრებას არც დაელოდნენ, დათხოვნდნენ და ოჯახები შექმნეს... იშვიათად, ზაფხულობით თუ აკითხავდნენ მშობლებს... კი არავის ემდუროდა, სიძებიც კარგი შეხვდა, რიგინად აღზრდილი ბიჭები, მარა მარგალიტას მაინც ნახევრადხუმრობით უსაყვედურებდა ხოლმე, ერთი ბიჭიც გაგეჩინა, რა იქნებოდა, ამ სიბერეში ჩვენც მოგვხედავდა და კარ-მიდამოსაცო.

- სიტყვა სიტყვა - გაუღიმა ბეჟანამ და თვალი ჩაუკრა - რჩები!
- ჰო, ბეჟან, მაგაზე მერე დავილაპარაკოთ, ახლა ერთი თხოვნა მაქვს, მარგალიტა ნამეტანი არ გასარჯო, ცოტაოდენი საუზმე შემოგვანოდოს, აქ მომესურვა რატომღაც პურის გატეხვა და შენთან გულის გადახსნა... ჩემი დირბულაც დავაჭაშნიკოთ...
- ბატონი ბრძანდები - მყის წამოიჭრა ბეჟანა - რა ყოველდღე შენ გვანუხებ, შე კაი კაცო, ან რას მებოდიშები, ერთი ოჯახი არ ვართ?..
ბეჟანა ბავშვით ატაცებული გავიდა გარეთ და ორიოდ წუთში მარგალიტასთან ერთად დაბრუნდა მძიმე კალათით ხელში. როსტომი ცოტა კი შეცბა, რატომ შენუხდი მარგალიტა ამდენჯერ, მარგალიტამ თავისთვის, წყნარად ჩაიდუდუნა, რა შენუხებაა, როსტომ ბატონოო და სწრაფად მიუჩინა ხორაგს ადგილი - სულ სხვაა ქალის თვალი და ხევა.

... რაღა გავგარძელო? - თუ რა ითქმოდა, ან თუ რაზე? თავისას რო ორთავე ამოთქვამდა და რო ამოთქვამდა, იმასაც გულით, არც რო გაასხვისებდნენ და არც რო ჰაიპარად ჩაფქვავდნენ წუთისოფლის საფქვავში... მარგალიტა რო ცოტა ხანში ტაბაკასაც შემომამატებდა და ცხელ-ცხელ ხაჭაპურებსაც, რა, გასაკვირია განა?
- გაზაფხულს არც დაველოდები, ადრინად ამოვალ და მივხედავ სახლ-კარს... დავიღალე ფუჭი ხმაურითა და უაზრო ლაილით... ნინოს აქვე პატარა ამბულატორიას გაეფუსნის, მეც სკოლაში ვიმასწავლებლებ, ხომ არიან ბავშვები ჯერაც? ცოტა? ჰოდა, ყველაფერს გავაკეთებ, ესენი მაინც შევუნარჩუნო მინას და სოფელს - როსტომს სახე ატეკცოდა, დირბულამ იცის ასე, ძარღვებს დაგიბერავს და აგაჭარხლებს, სისხლსაც, თუ შეგრჩენია კიდევ, აგიჩქოროლებს და აგიბუნებებს.
მოსალამოებულზე ეზოში გამოვიდნენ. მოღრუბლული, უქარო ამინდი იყო, წყნარი, აი, სათოვლელად რომ ემზადება, ისეთი; არა, ჯერ ადრეა ზამთრამდე, მაგრამ ბუნებისგან რაა გასაკვირი...
როსტომმა სახლს გახედა. მოქუფრული რომ დახვდა დილას, თითქო ფარდა გადაწიესო, ღიმილმა შემოანათა კარ-ფანჯრიდან. აღარც ვაზი ეჩვენა უსიამოდ ტოტებგაფარჩხული და აღარც ხეხილნარი - დაღვრემილი... მოლოდინით დამუხტულიყო გადატეკცილი მინაც, ესეც პატრონი თუ ელოდა, პატრონის მზრუნველ და გამარჯე ხელს.
- რას იტყვი, ბეჟან, ხვალ ადრინად რომ მივხედოთ საქმეს, ღვინოც გადავიღოთ, თორემ მთელი წელი ძმარს ხომ არ ვასმევ მიმსვლელ-მომსვლელს - გაიღიმა როსტომმა და ისევ სახლისკენ გაექცა მზერა.
შეტებო, ვერ იტყვი, გაუკვირდაო, ვერც მაგას. მიხვდა კი, მარგალიტა იზამდაო უეჭველად... ქალი ხომ გუმანიათაც ხვდება ისეთ რალაცებებს, ჩვენ, კაცებს, დიდი ჭაპანწყვეტა და ტვინის ჭყლეტა რომ გვჭირდება. ჯერ ნელ-ნელა, გაუბედავად, ფთილა-ფთილა, მერე და მერე დაწკნა, დაინრიტა, სიმჭვარტლევ გაუქრა, ყელყელაობას უმატა და სულ მალე ერთ ღამეზე, უწყვეტ ბოლქვად აიჭრა ცისკენ.
ბუხრიდან ბოლი ამოდიოდა.

ნა. თავისი საქმეც, უწინ თუ ხელხვაიანი ბრუნდებოდა ახლო თუ შორეული ექსპედიციებიდან, სულ ჩაკვდა. გვიან შემოდგომაზე თალარს აქა-იქ შერჩენილ, ყურძნის მიჩამიჩებულ მტევნებზე, იშვიათად პოულნობდა ძვირფას ფოლიანტებს - მიდი-ოდნენ ჩვენი ძველები და მიჰქონდათ სამუდამო მხარეში უკანდაუბრუნებელი ხიბლი, რიტმები და მოტივები.

ახალმა რეალობამ ლამის სისხლი ჩაუქცია-მეთქი ტვინში, ისეთი ნერვიულობა დასწვდა - როგორ თუ მინებს ასხვისებენ და გადამთიელებზე ჰყიდიან, სულ დაგვიკარგავენ ეროვნულობას და ქართული სოფელიც ნითელ ნიგნის შესატანი გაგვიბდებო.

ნინო ხასიათის ამ ცვლილებებს ასაკობრივ სიმპტომებსაც მიანერდა, მაგრამ როსტომი (ჰო, დამავიწყდა მეთქვა, როსტომია ჩვენი მოთხრობის გმირი) დღითიდღე უფრო და უფრო გაღიზიანებული ჩანდა, საკუთარ თავში ჩაკეტვა დასწვდა ამ ბუნებით გულლია კაცს; ლექციებსაც კი, ადრე თუ შთაგონებით და ზეანუელი ტონით, ახლა უხალისოდ კითხულობდა - აღარავის აინტერესებს შენი მთა და ფოლკლორი, ნიგნი ხომ სულაც ნონსენსი გახდა, ყველა ინტერნეტშია შეკეტილი, ვითომ ყველაფერი იციან და სინამდვილეში სრულ დილეტანტებად იქცნენო, ჩიოდა.

ბოლო აღმართიც რომ აათავა და მანქანა ალაყაფთან დაამუხრუჭა, ისე ღრმად და თავისუფლად ამოისუნთქა, თითქოს ფეხით ამოერბინოს მთელი ხეობა. კარი გამოაღო, მთიდან მონაბერ ნიავს გახურებული შუბლი შეუშვირა, გულმკერდი გადაიღელა და ის იყო მანქანიდან გადმოსვლა დააპირა, ფეხზე რალაც თბილი და ფაფუკის შეხება იგრძნო.

დახედა. კარის მეზობლის, ბეჟანას ლომა „ესაღებოდა“... ჩაეცინა, თავად ამოუყვანა ბეჟანას ამ ორიოდ წლის წინ, ოკამთან ჰყიდდნენ ძმები ლეკვებს, სახელიც გზაში შეურჩია, ლომა...


- რაო, არ მითხრა ახლა, გიცანი როსტომმა ძიაო - ბენზე ხელი გადაუსვა პროფესორმა (ჰო, ესეც ვერ გითხარ თავის დროზე) და მანქანიდან გადმოვიდა. ჭიშკარი, როგორც ნესი, ღია იყო, ყანგი მოხდებოდა ალაყაფს და ღრიჭოებს ჭრიალ-ჭრიალი გაუდიოდა... მესერს გადაღმა ბეჟანას მეუღლე გადმოდგა ტალანიდან და ხელი მოიჩრდილა, რაც იმას უფრო ნიშნავდა, კი ვხვდები ვინც ხარ, მარა, მაინც, ხმა გამეციო.

- გამარჯობა, მარგალიტა, როგორ ხართ, როგორ - გასძახა როსტომმა და ხელი შემართა.

- ბეჟან, გამოხედე კაცო, როსტომია, ჩვენი როსტომი.

ბეჟანი მყის გამოენთო, კიბეები ისე ჩამოიბრინა, თითქო ოცი წლის ბიჭი ყოფილიყო და ორიოდ წუთში გულში ჩაიკრა სიყრმის მეგობარი.

- სად დაგვეკარგე, კაცო, ეგრე უნდა, ლამისაა თოვლი ჩამოყაროს, ღობიო და სიმინდი მაინც გაგეტანა, ღვინოც გადასალეხა, რახანია შენ გელოდებო.



დილარ ივარდავა

ახლა?
კოდალას მოთმინება
მომცა ნეტავი, -
ვუკაკუნებდი
ჩემთვის უკვე
ჩარაზულ კარებს,

...ახლა
კოდალასმოთმინება
მომცა ნეტავი!

უკვდავო დედავ!

კოლხეთო ჩემო!
ჟამარქაულო,
დღემდე მოსულო,
თუმც უცნაურო!
იღწვი და იწვი,
დღესაც ხმაურობ,

ღმერთმა გვიბოძა წუთისოფელი -
ზოგს ერგო მეტი,
ზოგსაც ნაკლები;
სანამდის გვეკვია მზეზე მყოფელი,

არ მოგვცილდება ჭანგი ამკლები!
დინოზავრის კვალს თუ ვერ
დავტოვებთ,
ვიკმართოთ თრთოლვა ნაფეხურების,

წვიმს, საყვარელო, წვიმს,
ჯანლი ჰყავს სევდას მორიგედ,
ჩემი დაფერფელის, წვის
ჟამი დამდგარა, თოლიგე!

საიშთან თქმული

დღიდან გაჩენის ხრამებჩახრული,
ნაგზაური თუ გზა - სატიალე,
საიშის მკერდზე, როგორც შამფური,
ტინების კეცზე ღელავს, ტრიალებს!

პალესტინა, გოლგოთა...

და... გადაწყვიტა ლამის სერობამ
მაცხოვარს მწარე ხვედრი არგუნოს,
მავანთ ქვეძრომა თუ პირფერობა
ემშაკის გონმა
შხამად ჩარგულოს!..

მშვენიერების
წარმავლობა ვერ ამიხსნია,
რაც გაგჩნდი ქვეყნად
ჩემს სავალზე
მხოლოდ ნისლია!

ვნება ხორცს ელტვის -
სდუმს სული -
ესაა ტრფობა რუსული!
ჯებირი გახლავთ
ლოზე ტყრუშული;

ოდიში

ალ. საჯაიას ხსოვნას

ოდიში ერთი საფლავი ვიცი,
ყოველ ცისკრისას
რომ იწყებს ციმციმს,
ქმნილი მეოხად კოლხური ცისთვის!

ოდიში ვიცი ერთი საფლავი,
მიუსაფარი,
დასადაფნავი!

მაინც ვინვით, ვანათებთ!

ვით სანამლე ბალახებს
სიტყვას უნდა შერჩევა,
ბოლოს ყველამ მანახეთ
ხელთ რა ვარდი შეგვრჩევა!

აზავთდა ჟამი სასონარმკვეთი -
ულეველია ჯვარცმის დამკვეთი!
არც გასაღები და არც საკეტი -
გზა მრკალავს
ემშას ფეხით ნატკეპნი!

ბავშვები ბუდიდან გადმოვარდნილ
მკვდარ ბარტყს ასაფლავებდნენ;
გულისგახეთქვამდე ტიროდნენ და
მოსთქვამდნენ,
- არ გადავშენებულვართ
ჯერეთ-მეთქი,

ილუზიურ ჩემს ზმანებებში
განუწყვეტილ თოვდა და წვიმდა,
მერე კი რეალობაში დავრჩი
პირველყოფილი და ლელვილი;

ზაალ ნემსაძე

„ქუთაისში ცირკი თხუთმეტ ივლისს ჩამოვიდა. სტუმრები ქალაქკომის მდივანმა ნარსიამ მიიღო...“

...ხვალდან სხვა სულდგამაყოფა იწყებოდა.

ეს ორი კვირა ქუთაისი ცირკით იცხვრებდა...“

(რ. მიშველაძე, „ლომი“ გვ. 5)

აი, ასე, ერთი შეხედვით უბრალოდ და მარტივად იწყება ეს ნოველა, მაგრამ მის შინაარსს ანალოგი არ აქვს მსოფლიო ლიტერატურაში. თუ თქვენ სადმე მოიძიებთ ნანარმოებს, რომელშიც ჩვეულებრივი მოქალაქე კი არა, რაინდი და გამირთავმირი, ჯაჭვგამომბული ლომით ქალაქის ქუჩებში უმფოთველად დასეირნობდეს, მაღლი ჰქენით და მაზიარეთ იმ მოძიებულს. კი, ბატონო, „ვეფხისტყაოსნის“ ტარიელი ლომებს ცალი ხელით იჭერდა, ბიბლიური სამსონი ხახას უპობდა, პერაკლეც არ ექცეოდა მაინც და მაინც დიდი პატივისცემით, მაგრამ ცალხელა, სატყეოტექნიკუმდამთავრებული ტიტკო? არ გჯერათ? აბა, ორიოდ ფურცელი გადაშალეთ, გეთაყვა და „...ქუთაისში ნინოშვილის ქუჩიდან გალიფე-შარვლიანმა, თეთრკეპიანმა, ლომიანმა კაცმა ამოუხვია და თეთრი ხიდის გზას დაადგა...“ (რ. მიშველაძე, „ლომი“, გვ.10).

ეჰი! რავარი სანახავია? თქვენ ნუ მომიკვდებით და აფერი ამის მსგავსი არ მინახავს ცისქვეშეთში, - იტყოდა ამ სურათის მნახველი ნებისმიერი ქუთაისელი, თერჯოლეელი, ტყიბულელი...

მილიციელი ვალიკო ჩიტანი გამტერდა, დაიბნა. მე ის უფრო მიკვირს, როგორ არ გადაირია?! „ასეთი შემთხვევა ჯერ არ ჰქონია“. რა ზუსტი ნათქვამია! „სა მიგყავს?!“

საპასპორტოში“. (რ. მიშველაძე, „ლომი“, გვ.11).

რა კითხვა-პასუხია? ასეთი ცალხელა ლომიანი ტიტკო, ასეთი მილიციელი ვალიკო. ამას ლომი საპასპორტოში ნეტა რისთვის უნდა მიჰყავდეს. არ არის ეს სასწაული? თუ არ გჯერათ, სცადეთ! ჩააბით ჯაჭვი საშუალო სიდიდისას თუ ვერ მოერევით, თუნდაც ტიტკოს დაჩაჩანაკებული ლომისნაირს და სცადეთ რომელიმე იუსტიციის სახლში მისი მიყვანა. თუ ვინმე ამის გაკეთებას გაბედავს, გაცოცხლებულა ტარიელი და ეს არის! აი, ასეთი მისანია ნიგნი, როგორც დიდი ილია ბრძანებდა, მაგრამ მწერლის მისნობა ამით არ მთავრდება.

ვალიკო მილიციელი უფრო ვაჟკაცი და თანმიმდევრული აღმოჩნდა, ვიდრე წესდების მონა მისი მრავალი კოლეგა და „...ხომ უნდა ეკითხა, რა უნდა ლომს საპასპორტო განყოფილებაში, მაგრამ იგი უფრო პრაქტიკული კაცი იყო და ლომის პატრონს სწორედ რომ იმ სიტუაციისთვის აუცილებელი კითხვით მიმართა.

- კი, მარა მაგან კბენა არ იცის?
- არა, ბატონო, კბენა იცის ძალღმა. ამან შეჭმა იცის...“
- (რ. მიშველაძე, „ლომი“, გვ.11).

ქედს ვიხრი ლიტერატურის ყოვლისშემძლეობის წინაშე! ეს არის ის, რისთვისაც ღირს ნიგნის გადაშლა!

შეიძლება ათასობით ნიგნი ნაიკითხო და მსგავსი ვერაფერი შეიგრძნო!

იმის მაგივრად, რომ ტიტემ კანონის აღმსრულებელს სიტუაციის განსამუხტავად უთხრას, არა, ბატონო, თქვენ ნუ მომიკვდებით და ამ ბებერს კბენა სად შეუძლიაო, პირიქით: კბენა რა ამის საკადრისია, ამან შეჭმა იცისო.

„ჩიტანს მეტი კითხვა აღარ დაუსვამს.

თეთრ ხიდს გაღმა, ადმირალ ნახიმოვის ქუჩაზე პოლიციის საპასპორტო განყოფილების ეზო მუდამ ხალხმრავ-

ტობის კანდიდატადაც კი დაასახელეს, ცოტა ხნის წინ უპასპორტო, უმუშევარი და ყველასგან მოძულებული, „მაგრამ ტიტემ უარი თქვა, არ მცალიაო“. (რ. მიშველაძე, „ლომი“, გვ.17). ასე აიღო ტიტე წევადემ აქაური ბასტილია და ასე გახდა ქალაქში ჩინოვნიკებისათვის ანგარიშგასანევი კაცი.

ალბათ დღევანდელი ყოფით შენუხებული ბევრი ინატრებდა ტიტეს ლომს. ალბათ თავად „ლომის“ ავტორიც ოცნებობდა ამაზე. როგორ ფიქრობთ, ლომით რომ შეგრილებულიყო მწერალი ყოფილი პრემიერის, კვირიკაშვილის კაბინეტში და მიფურჩეხებული „ვეფხ-

გზა ხსენისა...

(რეჟაზ მიშველაძის „ლომის“ შესახებ)

ლობდა“. (რ. მიშველაძე, „ლომი“, გვ.11).

აქ ცოტა ამოვისუნთქოთ და გავერკვიოთ ზევით სულ „მილიციელი“ ვეძახეთ ვალიკო ჩიტანს, აქ კი „პოლიციის“ საპასპორტო განყოფილების ეზო. ახლა ადგება ვინმე ორნიგნაიკითხული და იტყვის, შეეშალა მწერალს, დროში აურიაო. აქ მწერალი მიგვანიშნებს, რომ არაფერი შეცვალა. უბრალოდ გუშინდელი მილიციელი, პოლიციელი გახდა. ნეტავ ამ საუკუნეში კიდევ მოგვცა ერთი ან ორი „დროში არეული“ ასეთი კლასიკოსი... სულ ვამბობდი, როცა რეზო მიშველაძის ნანარმოებს კითხულობ, გაფაციცებული უნდა იყო. მიშველაძე არ არის ზერელედ ცალი თვალთ ნასაკითხი. იმდენ ფარულ მინიშნებებს სხვა მწერლებთან ვერ ნახავთ. თუნდაც „ლომის“ დასაწყისში, პირველივე წინადადებას დავუბრუნდეთ: „ქუთაისში ცირკი თხუთმეტ ივლისს ჩამოვიდა“. რატომ საგანგებოდ აღნიშნა თხუთმეტი ივლისი? რატომ არ დაწერა - ზაფხულის ერთ დღეს ან შუაგულ ზაფხულში ან სხვა რამე? როცა მილიციელიდან პოლიციის საპასპორტომდე მივედი, ე, მაშინ მივხვდი, რომ თხუთმეტი ივლისიც თავის ადგილზეა, მილიციელი ვალიკო ჩიტანიც და პოლიციის საპასპორტო ხომ არის და არის! აი, რატომ არის შეგნებულად არეული დრო. თუ ახლაც ვერ მიხვდით, აგისხნით. თხუთმეტი ივლისი არის ბასტილიის დაცემის მეორე დღე და დაწყება იმ მასიური ანგარიშსწორებისა ყოფილ პოლიტიკურ პარტნიორებს შორის, რამაც სისხლის მდინარეები დააყენა პარიზში... რა კავშირი აქვს ამას ქუთაისთან? ის, რომ თხუთმეტი ივლისიდან ორმოციოდ ნლის ტიტე წევადემ იწყებს ლომების მომვლელად მუშაობას და ცოტა მოგვიანებით, ანგარიშის გასწორებას ადგილობრივ ბიუროკრატისთან ლომი პეტრას საშუალებით, ოღონდ ყოველგვარი სისხლის ღვრის გარეშე. ლომის შიშით დათრგუნული ძლიერნი ამა ქალაქისანი ალაღინის ლამპარიდან გამომხტარი ჯინივით დამყოლები გახდნენ. ის კი არა, რაიონის საკრებულოს დეპუტა-

ისტყაოსნის“ იუბილის ღირსეული აღნიშვნა მოეთხოვა, არ შეუსრულებდა? არადა, ყველას გვახსოვს რკინის ქალამნები გაცვითა რეზო მიშველაძემ მთავრობასთან ომში: თუ მიტინგით, თუ რადიო-ტელევიზიით, თუ პრესით - ე, ბიჭო, ინამეთ ღმერთი და „ვეფხისტყაოსანს“ ჯეროვანი პატივი მივაგოთ, ამას არა მარტო კულტურული, არამედ დიდი პოლიტიკური და ეკონომიკური სარგებელიც მოჰყვებაო, მაგრამ ვინ უგდო ყური? ის კი არა, კლასიკოსი მწერალი თავიანთი ჭკუით „დასაჯეს“ და გერმანიაში, ფრანკფურტის ნიგნის ბაზრობაზეც არ ნაიყვანეს. ვინც ბატონ რეზოს იცნობს, კალთებიც რომ დაეხიათ, იმ სიაში ერთი-ორი ისეთი მწერლუკა იყო, მათთან ერთად სტალიონზეც არ წავა არასოდეს... და მაინც, ეს პატარა ადამიანების შურისძიება იყო დიდი მწერლის მიმართ, რაც მისთვის არც პირველია და არც ბოლო იქნება. არადა, ჩვენ გვახსოვს მთავრობები, რომლებიც მონივნებით და რუდუნებით აღნიშნავდნენ ქვეყნის დიდი მოღვაწეების ამაგს. 1937 და 1966 წლებში „ვეფხისტყაოსანს“ და მის ავტორს ძეგლები დაუდგეს და ლამის ყველა ოჯახში გაჩნდა „ვეფხისტყაოსანი“. რალა შორს მივიდვართ... 1987 წელს ილია ჭავჭავაძის 150 წლისთავის აღნიშვნა შორს გაცდა საქართველოს ფარგლებს. მაშინ საიუბილეო კომისიის თავმჯდომარედ ბატონი ჯუმბერ პატიაშვილი აირჩიეს, რომელმაც კაპიტალურად გაარემონტა ილია ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმები ყვარელსა და საგურამოში; გამოიცა საიუბილეო ტომეულები; წინამურში დაიდგა ილიას ძეგლი; იუბილეზე დასასწრებად მსოფლიოს 32 ქვეყნიდან 150 სტუმარი ჩამოვიდა. ილიას იუბილე იუნესკომაც აღნიშნა პარიზში.

ასეა, როცა „მცხეთის სვეტიცხოვლის დიდ ტაძარში დასვენებულ საქართველოს ცხელ გულს“ უფრთხილდება ხელისუფალი, რა მნიშვნელობა აქვს ერისთვის მის პარტიულობას?

რუსთაველს კი, მისი სახელობის გამზირზე ერთი „ვეფხისტყაოსნის“ გასაყიდი მალაზია არ აღირსეს, მიუხედა-

ვად იმისა, რომ მწერალთა კავშირმა ცა და მიწა შეაწუხა თხოვნა-აჯვებით. ერთი რამ ნურავის დაავიწყდება: გაბრაზებული და ქვეყნის საქმისთვის მებრძოლი მწერალი გაბრაზებულ ლომზე სამიშია და ხელისუფლების შეჭმაც იცის. ვალიკოსი არ იყოს! ხელისუფლებამ იცის კბენა, მწერალმა შეჭმა იცის! და თუ ვინმეს მაინც და მაინც სამთავრობო კანცელარიასთან ჯაჭვზე გამობმული ლომიანი მწერლის ნახვა უნდა, ამასაც მოესწრება, თუ ჭკუით არ იქნება და ჯერჯერობით მშვიდობიანი მომარჯვებით ვერ ისწავლის დიდი წინაპრების დაფასებას. თუმცა, თუ ქვეყანა არ გიყვარს, ლომი კი არა, ატომური ბომბი რომ დაგიმიზნონ თავში, მაღლს მაინც ვერ იქმ. უბრალოდ გაკეთებულ საქმეს კი წარმატება არ უწერია.

ამას უფრო იმათ გასაგონად ვამბობ, ვისაც მწერალთა კავშირისთვის წართმეული სახლი ჯერაც არ დაუბრუნებია და როგორც კოჭებში ეტყობათ, არც ფიქრობენ წინამორბედის დანაშაულის გამოსწორებას. ზოგი იმასაც კი ამბობს, მწერალთა კავშირი რა საჭიროაო. ასეა, მგლის აზრით, ფარას მწყემსი და მოდარაჯე ნაგაზები არ სჭირდება! შესაქმელად ხომ უნდა მიუდგეს?

თქვენი არ ვიცი და მე ეს ყველაფერი ამ პატარა ნოველაში ამოვიკითხე, რომელიც გავბედავ და ვიტყვი, ყველას ოჯახში უნდა იდოს.

ბებერი ლომი პეტრა კი ტიტე წევადესთან ცირკიდან აღმოჩნდა, თორემ მუხის მასალის გაყიდვის გახმაურებულ საქმეში გახვეული, შვიდწელიანი ოვლილი ყოფილი ეგერი რომ აფრიკიდან ვერ ჩამოიყვანდა, ეს ისედაც ცხადია. უმუშევარი და ცოლის კმაყოფაზე მყოფი ტიტე ლომების მომვლელ-დარაჯად (ღამის ცვლაში) იმიტომ მიიღეს, რომ ქალაქის სხვა მცხოვრებთ ლომებთან ურთიერთობა მაინც და მაინც არ იზიდავდათ. ბოლოს და ბოლოს, სამიში რომ იყოს, თვითონ ბუგრიმოვა (ბუგრიმოვა ლომების „გამხედნი“ იყო) ხომ არ წავიდოდა სარისკო საქმეზეო, - გაიფიქრა წევადემ და ისიც შენიშნა, რომ ცხოველთა მეფენი მშვიდად და ზანტად მოძრაობდნენ. თან ისეთი დამყოლნი და უნიათონი ჩანდნენ, იფიქრებდით, ნებისმიერ კაცს გაჰყვებიან ქუჩაშიო.

„ემშაკს არ სძინავსო, ე მანდ ვინმე უბედურნახევარმა ლომი არ მომპაროსო, ტიტე წევადემ, შინიდან თავისი ძალლი, შავდრუნჩა ბათურა მოიყვანა და გალიასთან დააბა“ (რ. მიშველაძე, „ლომი“, გვ.6).

ამან ცირკის ადმინისტრაცია და მთელი ქუთაისი ძალიან გაამხიარულა. „რათ უნდა, შე კვდარძალლო, ლომს ძალლის ყარაულობა, ვინ მიეპარება მოსაპარავად, აქილიკებდნენ ტიტკოს“.

„ქუთაისში რომ არ იზამენ, იმნარი საქმე არ არსებობს და, რა ღირს, თუ იცი, ერთი ლომი?“ - იგერიებდა ტიტკო არამკითხევებს.

გასტროლების დასასრულს შვიდეულიდან ერთ-ერთი ლომი, ბებერი პეტრა, რომელიც ვეღარ ახერხებდა

რგოლში გახტომას და მომვლელ ტიტეს განსაკუთრებით „დაუძმაკაცდა“, ცირკისთვის უფარგისად ჩათვალეს და ჩამონერეს. მართლაც, როგორც მწერალი აღნიშნავს, პეტრას ფაფარადა შერჩენოდა ლომური. მოჩვენარული კუნთები საბერველივით ეკიდა და თუმცა თანდათან ლომის ფიტულას უფრო ჰგავდა, ვიდრე ცოცხალ ლომს, კვლავინდებურად ინვევდა მნახველთა თვალში, შოთა ნიშნიანის თქმისა არ იყოს, „შიშს, აღტაცებას და მონინებას“.

ერთი სიტყვით, პეტრას სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტეს სიბერისა და უფარგისობის გამო. ზემოთ ყველაფერი შეათანხმეს და ის იყო, დამსჯელი, ახალგაზრდა პოლიციელი ლომს ათიოდე ნაბიჯზე მიუახლოვდა და ავტომატი გააჩხაკუნა, გულისმომკვლელი ყვირილი გაისმა.

„- არ ესროლო!
ტიტე ორი ნახტომით ძენასთან გაჩნდა და ლომს აეფარა.

პოლიციელმა ავტომატი დაუშვა“ (რ. მიშველაძე, „ლომი“, გვ.8).

ატყდა დიდი განევ-გამონევა. ბოლოს ხიდზე შეფენილმა მოქალაქეებმა ტაში დასცხეს.

ასე გადაარჩინა ტიტემ პეტრა: „ნუ მოკლავთ, აგერ, ახლოს სოფელი მაქვს, წევყვან, ტყეში დავაბამ, ბონიდან ხორცის ნარჩენებს მოუზიდავ და დარჩენილ დღეებს მშვიდად გავატარებინებო“. ამან გაჭრა. ლომის ახალი პატრონი ნევაძე გახდა და ამ შემთხვევიდან ერთი თვის შემდეგ ერთად ამოუხვიეს ნინოშვილის ქუჩაზე, გასცდნენ ვალიკო ჩიტინას და „რა მოჰყვებოდა საპასპორტოს ეზოში ლომიანი კაცის გამოჩენას, ამის წარმოდგენა მკითხველს არ გაუჭირდება. საპასპორტო მაგიდის უფროსი იოველ ვაჩაძე, რომელიც ამ კაბინეტში თვით საკავშირო ცაკის ყოფილ შეფს, კალინინსაც კი არ წამოუდგებოდა ფეხზე, კარებთან დახვდა ტიტეს. კაი ხნით ნალოდები პასპორტი ხუთ წუთში ჩაუდო ჯიბეში და დიდი მონინებით გამოაცილა. მერე კი „სიყვარულით“ გააყოლა თვალი და სანამ სტუმარმა ლომი ეზოდან არ გაიყვანა, ფანჯარას არ მოშორებია.

მოქმედების და გეგმის მეორე პუნქტის განხორციელებას ტიტე ნევაძე საშვიდნოემბრო დღესასწაულების შემდეგ შეუდგა. ამჯერად აღმასკომის თავმჯდომარეს ეახლა და მისაღებში ლომით შევიდა. შევიდა და წამში მისაღები დაცარიელდა. ტიტემ ლომი მდივან გოგონას დაუტოვა და თავმჯდომარესთან შევიდა, რომელმაც ლომის სტუმრობის შესახებ არაფერი იცოდა და ნევაძე ასე გამოისტუმრა: „ჯერ არ არის არაფერი. ხო გითხარი, თუ რამე გამოჩნდა, მე თვითონ მოგძებნი-თქვა“. ამ დროს კი მდივანი გოგონა შემოვიდა და უფროსს ყურში უჩურჩულა;

აქ კი მიშველაძე თავის ამპლუაშია:
„თავმჯდომარეს ნელ-ნელა, თვალდათვალ დაუდგა თმა ყალყზე.

- რაო?! შენ ხვარ გადირიე... ამის? ლომი შენია?

- კიე, - ისე ჩვეულებრივად და სხვა-თა შორის მიუგო ტიტემ, თითქოს აღმასკომის მისაღებში ლომის გამოჩენა საკვირველი სრულიადაც არ იყო.

თავმჯდომარე ხელების ფშვნიტას მოჰყვა.

- დამთავრებული რა მაქვსო, რა მითხარი? - მზრუნველი მამის ინტონაციით ჰკითხა თავმჯდომარემ...“ (რ. მიშველაძე, „ლომი“, გვ.16).

იქვე იშოვა ტიტემ სამსახური... სულ ნახევარი გვერდი დასჭირდა დიდ მწერალს ეჩვენებინა, რომ იმ აღმასკომის თავმჯდომარიდან დღევანდელ გამგებელსა და მუნიციპალიტეტის მერამდე არაფერი შეცვლილა, მცირედი გამოწკლისის გარდა, როგორც ადრე, ისე ახლა. გინდათ მათთვის მიგიმართავს თხოვნით და გინდა კენიის ხელისუფლებისათვის: შედეგი ერთნაირი იქნება. ლომის კი ეშინიათ, მაგრამ ლომს ასე იოლად სად იშოვნი ახლა? ამიტომ დაჭირდა კლასიკოსს აღმასკომის დროინდელ ქუთაისში დაბრუნება. მისთვის იოლია, კალამი წმინდა გიორგის შუბივით აქვს აღესილი და ამ სოფლის ძლიერთათვის არაერთხელ მოუგვრია კანკალი და ციება ლომის გარეშეც და თუ აქ ლომი გამოიყენა, ჩვენ მიგვანიშნა: თუ ვაჟკაცურად მიუდგები მისადგომს და ისე მოთხოვ, როგორც საჭიროა, მიზანსაც მიალწევ. აი, ეს ჭეშმარიტება დავივინყეთ და ამიტომ დაგვემართა ქათმური სიბრმავე. მაგრამ მწერალი, რომელსაც ჩვენზე მეტი სიფხიზლე ევალება და ჩვენით, ქართველებით არის დაავადებული, ამიტომ ქმნის ასეთ შედეგს, ცხოვრება გვასწავლოს და გვითხრას, როგორ ვიცხოვროთ უფრო უკეთესად.

ამიტომ არის რეზო მიშველაძე დიდი მწერალი. ვინც არ მეთანხმებით, „ლომი“ წაიკითხეთ. სულ 15 გვერდია და დიდ დროს არ წაგართმევთ. მით უმეტეს, რომ ამ ნოველის სევდიან დასასრულზე არაფერს გეტყვით. ვისაც წაკითხული გაქვთ, ისედაც გეცოდინებათ. ვისაც არა, იმ დასასრულის გაგების მოლოდინით, კეთილი ინებეთ და წაიკითხეთ... დასასრულს კი ვიტყვი. კითხვის გვეშველება რამე? ერთადერთი პასუხია: როცა წიგნს დაუბრუნდება მკითხველი და წაკითხულის გაგებას შეძლებს, ე, მაშინ გვეშველება. შევლა და გადარჩენა რომ წიგნიერებაში და განათლებაშია, რომელმა ერმაც გაიგო, ბედნიერად ცხოვრობს. ამიტომ ჩავურთე ამ მცირე წერილში ამბავი „ვეფხისტყაოსნის“ შესახებ, რომელსაც, როგორც ბატონი რეზო ამბობს, მხოლოდ თითო-ოროლა აფორიზმით არ უნდა ვიცნობდეთ! მე კიდევ უფრო კარგი ხერხი ვიცი ამ პოემის შესაცნობად - რეზო მიშველაძის ტელელექცია „ჩემი ვეფხისტყაოსანი“ ვისაც არ უნახავს და მოუსმენია, დაუკარგავს ტკბობა რუსთაველზე შეყვარებული ქართული გენისა. ეს ორნაწილიანი ტელელექცია, რომელიც ქართულ ტვ-ზე გავიდა რუსთაველის იუბილის დღეებში, შეაფასა და დააფასა ყველამ, ვინც ნახა. ეს არის არა მხოლოდ ლექცია, არამედ ცალკე ტელენოველა, თუნდაც ტელემოთხრობა. ამას მე ვერ აღვწერ. ვისაც გასურთ, მიმართეთ ქარ-

თულ ტვ-ს და ჩანანერს გაგიმზადებენ. ეს ჩანანერი კი ისევე აუცილებელია რუსთაველის მოყვარულთათვის, როგორც თავად „ვეფხისტყაოსანი“. თამამად ვიტყვი, რომ იმდენად ვიზუალურად გადმოსცემს მწერალი ამ უკვდავ პოემას, რომ თითქოს ფილმს უყურებ. ასჯერაც რომ გქონდეს წაკითხული, ასმეერთედ მოგინდება წაკითხვა.

...და განა ბატონი რეზოს თითოეული ნოველა ცალკე ფილმი არ არის? გამოჩენილი რეჟისორი გიგა ლორთქიფანიძე ამბობდა: ჩვენ, ქართველი რეჟისორები სამუდამო ვალში ვართ რეზო მიშველაძის შემოქმედების წინაშე, ხოლო დიდმა რეზო ჩხეიძემ, ვისთანაც თანამშრომლობის ბედნიერება სწორედ მის მიერ დაარსებულ ქართულ ტვ-ში მქონდა, ერთ-ერთ სცენარზე მუშაობისას თქვა: აფსუს, რეზო მიშველაძე ამას სულ სხვაგვარად იზამდაო. გამოვუტყდი, რომ ამ მწერალს სტუდენტობიდან ვკითხულობ-მეთქი. მითხრა: „ჯარისკაცის მამას“ რომ ვიღებდი, რეზო ძალიან დაგვეხმარა ტექსტის ჩამოყალიბებაშიო. გაკვირვებული დავრჩი, თუმცა როცა ბატონ რეზო მიშველაძეს ვუთხარი ამის შესახებ, გაიღიმა, თვალი ჩამიკრა და მითხრა: გადაუჭარბებია, მხოლოდ ოდნავ წავუკარი ხელიო. რეზო ჩხეიძეს არავის დახმარება არ სჭირდებოდა და „ჯარისკაცის მამა“ მისი და სულიკო ჟღერტის შედეგიაო.

ეს ისტორია იმიტომ მოვეყვი, რომ მეჩვენებინა რამდენად დიდი მწერალია უკომპრომისო და ლამის მუშტებით წამსვლელია ხელისუფალთა ამა სოფლისა მიმართ, იმდენად თავმდაბალი და მოკრძალებულია დიდი ხელოვანების წინაშე. ალბათ სწორედ ასეთები იყვნენ გენიოსები ადამიდან დღემდე.

მგონი ცუდად არ ჩაიარა „ამ განწირულმა სულისკვეთებამ“. მ/წლის 16 დეკემბერს „იმედის კვირაში“ გასულმა სიუჟეტმა იმედი მომცა: ნუთუ იმარჯვებს გონი ქართლისაო? როგორც გვაცნობეს, ერთადერთი კონცეფცია, რომლის მიხედვითაც მმართველი გუნდის პოზიცია ცნობილია ასეთია: შეიძლება ავლაბრის პრეზიდენტის სასახლეზე, უახლეს მომავალში ასეთი წარწერა ვიხილოთ - „საქართველო - რუსთაველის სახლი“. ეს იდეა სოლოლაკის სახლში უკვე განხილულია ბიძინა ივანიშვილთან და ირაკლი კობახიძესთან. დავით შემოქმედელმა - რუსთაველის საზოგადოების პრეზიდენტმა, გვამცნო, რომ ბატონმა ბიძინა ივანიშვილმა მოინონა ჩვენი იდეაო. „რაკი კვირიკაშვილის იმედი გადამეწურა, ავატალახე კულტურის სამინისტრო. კვირიკაშვილის სენი რუსთაველისადმი უყურადღებობისა მიხედვით გიორგაძესაც გადასდებია. ბიძინა ივანიშვილამდე ვერ მივანვდინე ხმა, თორემ დარწმუნებული ვარ, ყოფილი პრემიერ-მინისტრი შოთა რუსთაველის 850 წლისთავის იუბილისადმი მსგავს უყურადღებობას არ გამოიჩენდა“, - ამას რეზო მიშველაძე ეუბნებოდა გაზეთ „რეზონანსს“ 2017 წლის 19 მაისს, ანუ რუსთაველის ჩაშლილი იუბილიდან ნახევარი წლის შემდეგ და

სიმართლესთან ახლოს იყო. თუ მომავალში მართლაც შეიქმნება - „საქართველო - რუსთაველის სახლი“ - ამით ბევრი მწერლის ნატვრა ასულდება.

„გიორგის (კვირიკაშვილს - ხაზგასმა ჩემია. ზ.ნემსაძე) კარგად ვიცნობ, პარლამენტში ოთხი წელი ერთად ვიყავით. მშვიდი, წყნარი, დამაინის შთაბეჭდილებას ტოვებდა, უხმოდ, შელოცვილივით იჯდა, არც ერთხელ მიკროფონთან არ მისულა, ვერ გავიგე, რამ შეაძულა ასე შოთა რუსთაველი, თორემ ჩემს თავს აღარ დავეძებ“. ამას რეზო მიშველაძე 2017 წლის 19 მაისს „რეზონანსში“ წერდა, მოქმედი პრემიერ-მინისტრის გიორგი კვირიკაშვილის შესახებ. ამიტომ მოგახსენეთ თავში, რომ ცოცხალი ლომით ქალაქში მოსეირნე კაცზე დაწერილი ნოველა მინიშნებებითაა სავსე-თქო. თქვენ თუ რამე განსხვავებას ხედავთ პასპორტისტ იოველ ვაჩაძესა და ყოფილ პრემიერ გიორგი კვირიკაშვილს შორის, გამოცანა გერგებათ. ძალიან მინდა ვთხოვო ახალ პრემიერ-მინისტრს: იქნებ თქვენ მაინც მოიცალოთ და მოუსმინოთ ქართველ მწერლებს. არ არიან ეგენი იოლად წასაქცევი ხალხი, უხსოვარი დროიდან აქვთ გადგმული ფესვები. წინა საუკუნეში ნაჩუქარი რეზიდენციის ამ საუკუნეში წართმევის მიზეზებითაც იქნებ დაინტერესდეთ. რეზო მიშველაძის „ლომის“ აღმასკომის თავმჯდომარესავით ან თქვენი წინამორბედებივით ნუ მოიქცევით. კვირიკაშვილზე აღარაფერს ვიტყვი, აღმასკომის თავმჯდომარემ კი ლომიანი ტიტეს თხოვნა ორიოდ წუთში შეუსრულა და როცა კმაყოფილი გაისტუმრა, მდივან გოგონას უთხრა: „არა, არა, ტყუილია ყველაფერი... არაფერი უშველის ამ ქალაქს. რა წესრიგი უნდა დავამყარო აქანა. ხო ხედავ, ლომებით დეინყეს სიარული“. (რ. მიშველაძე, „ლომი“, გვ.17).

აი, ეს არის კლასიკოსის ფორმულა. მარტივად გითხრათ როგორ დაუბრუნდეთ ჭეშმარიტების გზას, რომლის საშუალებითაც, ბატონი რეზოს თქმისა არ იყოს, ცხოვრება გადაუკეთესგადასხვაფერდება.

P.S. ვიმეორებ: ურჩი და ყრუ ხელისუფალისთვის (ყველას არ ეხება) ლომი და ლომიანი მწერალია საშიში, თორემ ვერც ორფეხა და ვერც ოთხფეხა მელია ვერას დააკლებს. ნოველა „ლომი“ საშუალო სკოლის სახელმძღვანელოებში ჯერჯერობით არ არის შეტანილი. ის უმჯობესია, საარჩევნო კოდექსის თითოეულ ეგზემპლარს დაურთოთ თავში ან ბოლოში, რომ ამომრჩეველმაც და ასარჩევამაც ყურადღებით წაიკითხოს და მეტი პასუხისმგებლობა გამოიჩინოს. განსაკუთრებით ამომრჩეველმა, რათა ბათურას დღეში არ აღმოჩნდეს... რაც შეეხება ბათურას, ეს ერთ დროს შემანუხებლად ფხიზელი ნაგაზი... გამოლენჩა, ინვა კიბის ქვეშ და აღარავის უყეფდა“. (რ. მიშველაძე, „ლომი“, გვ.18).

ნოდარ კობერიძე

თაფლოვის ღაგა „გოსტინიცა როსიაში“

1964 წლის 31 დეკემბერი იდგა. საბჭოთა საქართველო კმაყოფილი აცხადებდა ამ წელს, კმაყოფილი! რატომ კმაყოფილი და მიტომ რომ ჯერ ერთი თბილისის დინამო, ფეხბურთში საბჭოთა კავშირის ჩემპიონი გახდა, როგორც იქნა და მეორე-მობსნეს ნიკიტა ხრუშჩოვი, ქართველთა მტერი და „დიდი სტალინის“ მაგინებელი. ქართველ სტალინისტებს იმედი მიეცათ(მაშინ ისინი საქართველოს მოსახლეობს უმრავლესობას წარმოადგენდნენ), რომ აღდგებოდა დიდი ქართველი ბელადის სახელი და სამაგიერო მიეზღვებოდა ყველას ვინაც 1956 წლის 9 მარტს სისხლის კალო მოაწყო თბილისში, ერთი სიტყვით საბჭოთა საქართველო იმედიანად სუნთქავდა.

„ვასილიჩი“, როგორც მას ხელქვეითები ეძახდნენ ბატონ პაპუნას დიდ განამანიაში გახლდათ, ხუმრობა საქმე ხომ არ იყო მისი ვაჟი ქორწინდებოდა და ახლა იდგა დრო თავი გამოეჩინა და ქვეყანას და დაენახა თუ ვინ იყო „ვასილიჩი“. ქორწილს სასტუმრო ივერიის 16-სართულზე განთავსებულ პრესტიჟულ რესტორანში ას კაცზე იხდიდა. სულ რჩეულნი ჰყავდა დაპატიჟებული, სულ რჩეულნი. ნეფე პატარძალი იმავე საღამოს მოსკოვს მიემგზავრებოდნენ და თავლობის თვეს საბჭოთა დედაქალაქში გაატარებდნენ. იქაც ყველაფერი რიგზე იყო, მართალია „გოსტინიცა როსიაში“(ასე ეძახდნენ მაშინ ბობოლა ქართველები) ნომრის გაკეთება გაჭირდა, თვით ცეკას ჩარევა გახდა საჭირო, ნახევრად ლუქსის ნომერი გამოეყოთ, ასე რომ ეს საქმეც მოგვარდა. ადმინისტრატორ ვარვარა ვასილევნა ელოდათ და ას მანეთიანი უნდა გადაეცათ პასპორტთან ერთად. ეს „ურთულესი“ საქმე რომ მოახკვარაჭინა(საბჭოეთში ხომ სასტუმროში ადგილის შოვნა პრობლემათა-პრობლემა გახლდათ მით უმეტეს ისეთ პრესტიჟულ სასტუმროში როგორც „გასტინიცა როსია“ გახლდათ, მაგრამ ვასილიჩი რისი „ვასილიჩი „იქნებოდა რომ ესე საქმე ვერ გაეშანსა?) ამოისუნთქა.

ქორწილმა, რომელსაც როინიჩი თამაშობდა საკადრის დონეზე ჩაიარა და ნეფე დედოფალი ცხრა საათზე უკვე თვითფრინავში იჯდა და მისი გათვლით თორმეტზე ნომერში დაბინავებული იქნებოდნენ მერე კი მისი თემური ითემურლენგებდა-მაშა-მაშა!

მართლაც-და დროზე ჩაფრიდნენ და ტაქსში ჩაჯდომისთანავე

„შოფერს“ (ასე ეძახდა მამამისის მძღოლს და ვითომ აქ რატომ უღალატებდა ჩვევას?!) ამაყად მიუგოდო-„გასტინიცა როსიაში“ და ცოლს თვალი ამაყად ჩაუკრა.

სასტუმროში თორმეტი ხდებოდა რომ მივიდნენ. ვარვარა ვასილევნა გასული დახვდათ, მაგრამ მალე მობრუნდა და „ნემნოგო პოდოჟდიტეს“-ცოტა ხანს მოიცადეთო დაუშვია და წყვილს ნერვები. ეს „ნემნოგო პოდოჟდიტე“ მთელი ნახევარი საათი გაგრძელდა, მერე ვილა-ცამ ანკეტები მოუტანათ შეავსეთო და პასპორტებთან ერთად წაიღო. ახლა სხვა ქალი გამოჩნდა და გამოყვევით მიანიშნა. მერვე სართულზე ოთახში შეუშვეს. ნომერს არა უშავდა. პატარძალი სავარძელში ჩაეშვა. სიძე ცოტა შეიშშშუნასავით, სავარძლის კიდეზე ჩამოჯდა ხელი გადახვია უნდა ეკოცნა რომ კარზე ბრაზხუნი გაისმა. ვინ ოხერიაო ჩაილაპარაკა „პაპუნჩიმა“ და კარებისკენ გაემართა. გამოალო თუ არა სამი ქალი და ორი კაცი დალანდა, მათ შორის ვარვარა ვასილევნა, მაგრამ პარადი სხვა ქალს მიჰყავდა და მანაც ყოველგვარი ცერემონიალის გარეშე მიახალა: ‘სასწრაფოდ უნდა დაცალოთ ნომერი, მონღოლეთიდან ჯგუფი ჩამოდის და ისინი უნდა შემოვუშვათო. პირკატა ეცა სიძეს-პირკატა, თვალი ვარვარა ვასილევნასკენ გაექცა, მანაც ძლივს ამოღერდა-ეს ის საქორწინო წყვილიაო... სიტყვა აღარ დაამთავრა. უფროსმა შეათვალა ნეფე დედოფალი და კატეგორიულად გაიმეორა, სასწრაფოდ უნდა დაცალოთ ნომერი, მაგრამ ამალამ რამოდენიმე ნომერი იცლება და იქ შეგასახლებთო! რა ჩარა იყო, გაუხსნელი ჩანთა აიღო, პატარძალმა ნატის “დუბლიომკა“ მოიხურა და ნომერი დატოვა. რეცეფშენში უამრავი ხალხი ირეოდა. განმარტობით მდგარ ორ ადგილიან „კრესლო-სვარძელში“ უბრძანათ მოცდა ვარვარა ვასილევნამ და გაუჩინარდა. წყვილი ჩამოჯდა და ლოდინად იქცა. დაახლოებით ერთ საათში ჯერ პატარძალს მოერია ძილი და ქმარს მხარზე დაადო თავი, მერე სიძესაც მოერია რული და ცოლს ჩაეხუტა. დილის ექვსის ნახევარი იყო გამხდარი, რომ ვილაცამ შეადვიდა ჩახუტებული წყვილი, ეს ვარვარა „ვასილევნა“ იყო. ნომერი განთავისუფლდა და წამოდიოთ და თან დაამატა ნომერი კია სამ ადგილიანი მაგრამ ნუ გეშინიათ მესამეს არ შემოგისახლებთო. ფაცი-ფუციით წამოიყარნენ და გაჰყვნენ. კარი საგულდაგულოდ რომ დაკეტა შუა ოთახში აძაგძაგებული ცოლი დახვდა, რომელსაც ჩაეკონა და თემური სათემურლენგოდ გაემზადა.

აკაკი ბიძინაშვილი

აიაშლო!

შენი წამების მეც ვარ მონილე, გიხდი ალებულ ვალებს, თუ რამ მებადა, შენ შემოგწირე, სხეულსაც გიძღვნი მალე...

არ მინდა შენი რამე მემერთოს, შენს სადიდებელს შევესვამ; მინად ვიქცევი, რომ შევემატო მარადისობას შენსას!

სააკაძის მონოლოგი

არ მიცხოვრია მორჩილად, მარჯვედ ვხმარობდი იარაღს. მიტომ ვერ დამიმორჩილა, მტერმა მომდგარმა ტიალმა.

სახელი მამულს შევძინე, ვადექ შარაგზას დავისა... მე საქართველოს შევწირე, შვილიც და ჩემი თავიცა.

ვინ ღირსებია სამართალს, ფამმა ჩემთვისაც იავა, ლომის ჯან-ლონე წამართვა, ამ წუთისოფლის ტრიალმა.

ას როიალი

ზაქარია ფალიაშვილს

საუკუნეებს ჰანგად გაჰყვები, ცას სურნელებით ავსებ. სიმებს წაგავს შენი ძარღვები, ასხმული შენსავ ტანზე. შენი დიდება შუქით მოდის, უხმობს წარსულის ლანდებს, განმეორდები მეორედ როდის, ეს კითხვა სულ თან დამდევს. შენ მართლაც ისეთ ვარსკვლავებს მისწვდი, ღმერთი არასდროს დაგთმობს. ეს როიალი ისევ შენ გიცდის, ისევ შენს თითებს ნატრობს.

გიორგი ლეონიძეს

ამ წმინდა მთაზე მეც უკვე მოველ, ახლა ჩემს სხეულს ზეციდან ვუმზერ, უკვდავთა შორის სამარე ვპოვე, მთანმინდის მინას მაყრიან გულზე.

იქა ვარ სადაც მოსულა ვაჟა, სადაც ილია იშუშებს ტკივილს, სადაც აკაკი მღერის და ტირის და თვით სიკვდილი აღარსად არ სჩანს.

აქ განისვენებს მრავალი ბრძენი, ვინც აამალა მამულის ჭერი, ვინც საქართველოს დაენტო სანთლად და მიუნვდებათ ღმერთამდე ხელი!

ოზონი ინვისი

მურმან ლებანიძეს

ოზონი ინვისი, ოზონი ინვისი, კავკასიონის მწვერვალთან ახლო. ხვალ რა მოგველის არავინ იცის, არავინ იცის ზეცა რას ნაღვლობს...

სამარეში ხარ და მაინც გიმძიმს, მოდებულ ხანძარს ვერაფრით იქრობ, თან ჩაგყვა სევდა მშობელი მიწის და საფლავშიაც მამულზე ფიქრობ!..

მა, თქვენ მოგვლით

მერაბ ბერძენიშვილს

მე, თქვენ მოგვლით! აქეთ მომყვით! გულით მომენდეთ, სისხლით მომენდეთ! ქართლის საზღვარზე ორი ბოკვერი, მოერევიან ამ ხმალს როდემდე?! აზვითებული ტალღის ხმაური, გარდასულ დროთა რისხვას მიაგავს, როგორ გაუძლებს ეს მეზღვაური, ყველა კუთხიდან მოსულ ნიაღვარს?! მინდა, სიმრავლის რწმენით ვიცხოვრო, წარღვნამ ვერაფრით რომ ვერ წამლეკოს, შთამომავლობამ სული მიცხონოს და გამარჯვების ზარმა დარეკოს! სულ პატარები იყვნენ ოდესღაც - ვაჟაც, ილიაც, შოთაც, დავითიც, დევებზე მალლა სწევდნენ ლოდებსაც... მოდით, მოგროვდით, ხმალი ამინით! გაგაუკვდავებთ ჩემი სულივით, მიშველეთ! მე ვარ ომში დაღლილი, ჩემი ხმითა და ჩემი სურვილით გეძახით, თქვენი მიწის ძახილით. აქეთ, მომყვით! მე თქვენ მოგვლით! ხედავთ, სიმრავლე როგორ დაფასდა?! ქართლის საზღვარზე ორი ბოკვერი, მტერს შეახვედრეთ ასი ათასად!

დიდი სიმდიდრე

რევაზ მიშველაძეს

ცხოვრება ვიცი ატარებს ბევრ ცდებს, ხელში ბევრს აწვდის კალამს. უნდათ, სიმაღლეს რომ შენსას შესწვდნენ, მაგრამ არ შესწევთ ძალა.

საკუთარ სახელს შრომით იდიდებ, ხმაში არა გაქვს ბზარი. უპირველესი დიდი სიმდიდრე, შენთვის სამშობლო არის!

მირიან როხაძე

რამდენიმე ნომერს ერთბაშად თავზე უნდა გადავახტე და მეთხუთმეტის განხილვით უნდა დავინყო. აქ დაბეჭდილია „სენსაციური“ თარგმანი – უილიამ ფოლკნერის „ძველი ხალხი“.

მეგობარო მკითხველო, დამისახელეთ ნებისმიერი ტიპის შეცდომა და ამ ტექსტში მყისვე ათობით აღმოგიჩენთ. თუმცა კი რა აღმოჩენა უნდა – ეს „ვაჟადიდება“ გაზეთის ფურცლებზე ჭერეხივითა ყრია.

ჯერ მთარგმნელთაგან სრულიად დაუძლეველ აბზაცებს დავურილობთ. ტექსტის თითქმის მესამედი ბუნდოვანია, რაც, რა თქმა უნდა, ვაგლახიანი თარგმანის პირველი დაავადებაა, რომელიც შინაარსს ისე სწოვს წვესს, როგორც აზიური ფაროსანა – თხილის ნაყოფს. ავიღოთ პირველი ნიმუში: „ხელებიც, შეხებაც, პირველი შესაფერი სისხლი, ბოლოსდაბოლოს რომ მიაგნო აღსაბეჭდად, რამაც იგი და კაცი სამარადისოდ შეაკავშირა ისე, რომ კაცი ცოცხლობდა, როცა ბიჭი სამოცდაათი წლისა გახდა და მერე ოთხმოცისაც, მას შემდეგაც კი, როცა კაცი მიწაში ჩავიდა, ვითარცა მეფენი და ბოლადები ჩასულიყვნენ.“

ამ აბრაკადაბრაში რაიმე გაიგეთ, ძვირფასო მკითხველო?

ვერც მე გავიგე, თუმცა კი მთელი დღე ვუტრიალე ირგვლივ. ეჭვი არ მეპარება, იქვე დაბეჭდილი ტექსტის ავტორი დახვეწილი და რაფინირებული სტილისტი ემზარ კვიციანი-ვილიც ვერას მიხვდებოდა, თუმცა კი ამის ხმამაღლა აღიარებას, აბა, ვით გაბეჭდავდა?!

გარდა დაუძლეველი ტექსტისა, აქ თარგმანს აფუჭებს ორთოგრაფიული, სინტაქსური შეცდომები. „ბოლოსდაბოლოს“ ერთი კი არა, სამი სიტყვაა – ბოლოს და ბოლოს; „აღსაბეჭდად“ კი არა, აღსაბეჭდავად; „მიწაში ჩავიდა“ კი არა, სამარეში ჩავიდა; „ვითარცა მეფენი და ბელადები ჩასულიყვნენ“ კი არა, „როგორც მეფენი და ბელადები ჩავიდნენ“. უკეთესია „ჩაილაღენ“; მეორეც, აქ არაფერი დიადი და ზეიმური არ ხდება, რომ ხიზმართ ბგერათ-კომპლექსი „ვითარცა“; მესამეც, „ვითარცა ჩასულიყვნენ“ კი არა, „ვითარცა ჩასულან“; ნერია: „ბავშვი, ჯერაც არ იყო კაცი“. „ბავშვის“ შემდგომ მძიმე არადსალირალია. „ბავშვი“ ქვემდებარეა, ქმარია; „არ იყო“ – უუთქმითი შემასმენელი, ცოლი. ცოლ-ქმარს შორის თუ მძიმის კედელს აღვმართავთ, მაშინ ბავშვი როგორღა განჩნდება?!

ასეა, ერთის უცოდინარობა ისეთი მამა-ძალია, მეორე შეცდომაც თან უნდა მოიყოლოს.

ზოგიერთი ფრაზა დურბინდით თარგმნილსა ჰგავს. ნერია: „კეთილი“, მშვიდად თქვა ბიძაშვილმა. „ცხადია, მაიორ დე სპეინთან მოვავგარებ“ (13).

ჭოგრიტით და გაქცეულად იმად არის თარგმნილი, რომ აქ აკლია სიტყვა, რომელიც უმთავრესია. მოვავგარებ რას? რა თქმა უნდა, – საქმეს.

მაშ, „საქმე“ მთარგმნელებმა უსამართლოდ „შეიტყუავენ“.

თუ უფრო ახლოს მივალთ წინადადებასთან, შევამჩნევთ აუარებელ პუნქტუაციურ ხარვეზსაც. აქ ლაპარაკობს ბიძაშვილი. ამიტომ ჩართული წინადადება კომენტარი – მშვიდად თქვა ბიძაშვილმა – წინიდან და უკნიდან მძიმე-ტირეთი უნდა გამოიყოს; დასმულია 4 ბრჭყალი. საჭიროა ორი. ორი მთარგმნელის უხეირობას ერთი კარგი მთარგმნელი ასე გამოასწორებდა: „კეთილი, – მშვიდად დასძინა ბიძაშვილმა, – ცხადია, საქმეს მაიორ დე სპეინთან მოვავგარებ“.

ამგვარი ფუცხუნი და უაზრო სიჩქარე არაერთია. აი, სხვა ნიმუში: „როცა იგი ჩაუდგა საქმეს“ (12).

მკითხველი უჩემოდაც მიხვდა: აქ აკლია სიტყვა „სათავეში“. „ჩაუდგა საქმეს სათავეში“ ანდა „საქმეს მოეკიდა“, ან კიდევ „საქმეს ხელი მოჰკიდა“ და ა.შ.

კაცი ვერაფერს მიხვდება ამ შესიტყვეების შემყურე: „მისი გალია მაკქასლინები არა ვართ“ (12).

მოთხრობის შუაგულში კარგად ჩანს, თუ რასა გულისხმობს ეგ კუნაბეტ ლამეში ეთიოპიელის სახესავით გაურკვეველი ფრაზა. მე, ერთი კაცი, დავეხმარები ორ მთარგმნელს და ხელის მსუბუქი აქნევით დავძლევ მათს უსუსურობას: „მაკქასლინები მის გალიად არ გადაქცეულვართ“.

ერთგან მთარგმნელები ვერ გრძნობენ წინააღმდეგობასა და უხერხულობას, როცა გვიწერენ: „მოულოდნელად ხელის განვდენაზე აიჩონჩხებოდა ბამბისა და ხორბლის მინდვრები, უძრავად გადაწოლილი რუხი წვიმის ქვეშ“ (13). შეიძლება „აიჩონჩხოს“ მიტოვებული

„ლიტერატურული გაზეთის“ „მარბალიტები“

(გაგრძელება. დასაწყისი იხ. 7)

შენობა, ჩამონგრეული კოშკი, ძველი ციხესიმაგრე. ამიტომაც ამბობს გალაკტიონი: აჩონჩხილო შენობავ, მომკლავს მე უშენობავ, მაგრამ ყოვლად წარმოუდგენელია „უძრავად გადაწოლილი“ ბამბისა და ხორბლის მინდვრები აიჩონჩხოს. ეს ტყუილია და, თუ მართლა ასე უწერია ფოლკნერს, მაშინ ვერაფერი შეიძლება მთვარი ყოფილა! ერთიც არის: ასეც რომ ეწეროს, შენ, მთარგმნელი, მე, მკითხველს, საქმეს არ უნდა მიაღვილებდე, ტექსტის შეცნობაში არ უნდა მშველდები! იქნებ ის მიზრძნოთ, რომ ქართულს შესაბამისი სიტყვად ვერ ვაძლავებოდა უცხოური ტექსტი!

შენ ვერა, მაგრამ ნიკო მარს დიახაც დავუჯერებ, რომელიც აცხადებდა: არ არსებობს აზრი და მისი ნიუანსი, რომელთაც ქართული ენა ვერ გამოხატავსო.

იმავე „ოქროს ნიმუშს“ ვერც ამის შემდეგ მოვეყვებით. ერთი ნაკუპიკა კიდევ ეკუთვნის ორ მთარგმნელსა და ერთ რედაქციას. „რუხი წვიმის ქვეშ“ განოლილი მინდვრებით.

რა ჯანდაბა და დოზანაა „წვიმის ქვეშ“ განოლილი?!

ამ რამდენიმე წლის წინათ პროფესორ გრივერ ფარულავას ვასწავლიდი: რომ ამბობ – „ჩემ მიერ ლობიო იქნა შეჭმული“ – ეს ენის უცოდინარობაა. უვიცი 5 სიტყვას ნამოაბლაცუნებს იქ, სადაც მცოდნე ორს დასჯერდება – მეთქი და მისი ეგ ხოკეის მეკარეავეთ მოუხეშავი და უგერგილო ნათქვამი ორად ორი სიტყვით გამოვხატე: „ლობიო შეჭმამე“. ეტყობა, მთარგმნელ ძმებს ჩემი ის გაკვეთილი ჯეროვნად არ გაუაზრებიათ. ძმებო, „წვიმის ქვეშ“ (პად ოფდომ) რუსულის კალკია. ქართულად ასე ითქმის, ერთი სიტყვით: წვიმამში. „პად ნომერომ“ ასე კი ორთარგმნება – „ნომრის ქვეშ“, არამედ ამგვარად – ნომრით.

ახლა იმავე წინადადების პირველი კარენი გავსინჯავთ. ნერია: „მერე გამოვიდოდნენ, გასცდებოდნენ ხაზს, რომელიც ისეთი მკვეთრი ზღვარი იყო, ვით კედელში გაჭრილი კარი“ (13).

ამ ძალად გაბუნდოვანებულ (ძალად მაცხონე) თარგმანს ნელში გამართავდა ასეთი ხელმსუბუქი შესწორება: „მერე გამოვიდოდნენ, გამოსცდებოდნენ იმ ხაზს, რომელიც ისე მკვეთრი ზღვრად მოჩანდა, ვითარცა კედელში შეჭრილი კარი“.

შესაძლოა, ეს ნელში გამართული პასაჟი ზოგისათვის კომენტარს საჭიროებდეს. ნუ დავამადლით ამასაც. ხომ გაგიგონიათ: „მადლი ჰქმენ და ზედ მარილიც მოაყარეო“

აი, ჩემი ეშხიცა და მარილიც: თუ პირველი ზმნა იწყება სააქეთო ზმნისწინით გამოვიდოდნენ, მაშინ მას შეეწყობა „გამო-სცდებოდნენ“; უძღური მოქართულის ნათქვამს ჰგავს ესეც – „რომელიც ისეთი მკვეთრი ზღვარი იყო“. ეგ იგივეა, მცელავმა რომ ცელი უგერგილოდ მოიქნოს და ასო მოითიბოს. უნდა გაიმართოს ასე: „რომელიც ისე მკვეთრი ზღვარს ნაავგავდა“ – ან კიდევ – „ისე მკვეთრი ზღვრად მოჩანდა“. ცნობილ მთარგმნელებს უნდა დაეფიქსირო: „ისეთი კარგი“ ნაკიანი ქართულია, ვარგისიანია „ისე კარგი“. მაშ, „ისეთი მკვეთრი“ კი არა, „ისე მკვეთრი“. „მკვეთრი ზღვარი იყო“ უძღური ფრაზაა, ნელგაუმართავი; „კედელში გაჭრილი კარი“ კი არა, „კედელში შეჭრილი კარი“.

ვფიქრობ, გონიერი მკითხველი ნიუანსს ჩასწვდა! თქვენ, ძმებო გრაკებო?

მთლიანად გაურკვეველი და ბუნდოვანია უსაშველოდ განელლი ეს წინადადება:

„მერე შევიდოდა, დაუბრუნდებოდა იმას, რაც, ბიჭს სჯეროდა და ფიქრობდა, ჩემს ბიძაშვილ მაკქასლინსაც სჯეროდა, იყო მისი მარტოობა და განდევილობა“ (13).

რა თქმა უნდა, მკითხველი ვერაფერს მიხვდა, ოღონდ დედამ ხომ იცის, რისი თქმა სწადია მის ლულულა და ენაოქოქოქა შვილს? მე, როგორც დედა, ამ აბრაკადაბრას ხელის მსუბუქი აქნევით გავასწორებ. მართლაც ვადოქრობაა, აბა, რა არის, როცა ერთადერთ ნაცვალსახელს ჩავსვამ თავის ადგილას და ბასტა! აი, როგორ მოხდება ეს სასწაული: „მერე შევიდოდა, დაუბრუნდება იმას, რაც ბიჭსა სჯეროდა და ფიქრობდა,

ჩემს ბიძაშვილ მაკქასლინსაც სჯეროდა – ეს იყო მისი მარტოობა და განდევილობა“.

ხედავთ რა მოვიმოქმედე? ჯერ ერთი, ფრაზას „რაც, ბიჭს სჯეროდა“ ჩამოვაშორე, უაზრო მძიმე; მეორეც, გავასწორე ფონეტიკური უხერხულობა: შესიტყვებაში – „ბიჭს სჯეროდა“ დაჯარდა, შეჯგუფდა ოთხი ურთულესი ასო–ბგერა: ქსსჯ. ქართულს ამგვარი დაჯრა რთული, ძნელი თანხმოვნებისა არ უყვარს. სომხურ გვარს მკრტჩიანი იგი ხმოვნების ჩართვით ამსუბუქებს: მიკრტიჩიანი; ისტორიის გარკვეულ ეტაპზე ოძრის ხევი გახდა ოძრე. თავი შეიყარა სამმა (ძრხ) უძნელესმა ბგერამ. ერთ შემთხვევაში ენამ ამის წინააღმდეგ გაილაშქრა „უ“ ხმოვნის გამოყენებით – ოძურხე. მერმედ რთული თანხმოვანი (აფრიკატი) „ძ“ დაიშალა ორ მარტივ ბგერად „დზ“. „დ“ დაიკარგა და მივიღეთ ოზურხე თანამედროვე ოზურგეთის მინასახე.

ეს წესი, ქართულის მახასიათებელი ხერხი, უნდა გამოეყენებინათ ჩვენს მწერლებს, თუ მართლა მწერლები არიან. მაშინ შესიტყვება იმ სახეს მიიღებდა, როგორც ზემოთხსენებულ ნარმოვადგინე – „ბიჭს(ა) სჯეროდა“.

აქვე დავსძენ: „ეს“ აქ განმარტავადებელი ბგერათკომპლექსია და წინ ესაჭიროება გრძელი ხაზი, ანუ ტირე.

კიდევ ერთი უსასრულო გაუგებრობა: „ზინიცი არავის მოჰქონდათ, რადგან ძალზე პატარები იყვნენ, თვით უოლტერ იუელსა და მაიორ დე სპეინსა და მოხუც გენერალ კომპსონსაც კი, მრავალი ირემი და დათვი რომ მოენადირებინათ, ისინი ხომ მცირე ხნით მოდიოდნენ და უწინებელი იყვნენ, რათა შეემფოთებინათ მდუმარებით მოცული, იდუმალი, უზარმაზარი და თითქმის ყრუ უდაბურება“ (13).

„ხედავთ, ვითარის კადნიერებით შეკრბების ჩვენზედ უსჯულოება?“

აქ იმდენი სინტაქსური, მორფოლოგიური და სხვა შეცდომა იყრის თავს, რომ მკითხველი ვერას გაიგებს.

ჯერ ერთი, „არავის მოჰქონდათ“ ჩიქორთულია; ქართულია „არავის მოჰქონდა“; მეორეც, პირველი რთული ქვეწყობილი წინადადების შემდეგ მთავარი ზმნა უნდა გამეორდეს, ისე არაფერი გამოვა. უნდა ითქვას ასე: „თვით უოლტერ იუელსი, მაიორი დე სპეინი და მოხუცი გენერალი კომპსონიც კი, მრავალი ირემი და დათვი რომ მოენადირებინათ და მცირე ხნით მოდიოდნენ, სრულიად უწინებელი იყვნენ, არავითარი ზინი არ მიჰქონდათ, რომ შეემფოთებინათ მდუმარებით მოცული, იდუმალი, უზარმაზარი და თითქმის ყრუ უდაბურება“.

აი, რა მშვენიერად გავმართე ეს „უდაბური“ აბზაცი.

რა გავაკეთე?

ყველაზე მთავარია სინტაქსური უძღურების დაძლევა. ძმებს ქვემდებარეები ჩაუყენებიათ მიცემით ბრუნვაში, რაც მთელი ამ აბზურდის სათავეა: „თვით უოლტერ იუელსა და მაიორ დე სპეინსა და მოხუც გენერალ კომპსონსაც კი (...) სრულიად უწინებელი იყვნენ“. აი რა გამოუღდით მათ. მე ქვემდებარეები „ედურთე“ სახელობითი და ფრაზასაც მყისვე გაუარა საშინელმა იშინამა. შემდეგ, გაავრე ზედმეტი პირველი „და“ კავშირი; მერმედ, მთარმნელებს გადავიწყებიათ, რომ მე–12 გვერდზე გენერლის გვარი ასე უღერდა

– კომპსონი და დაუწერიათ ახალი ვარიანტი – კომპსონი. მე ესეც გავასწორე.

გონიერმა მკითხველმა შენიშნა: მთარგმნელი ძმები არ ფიქრობენ მკითხველზე, იგი ფხვებზე ჰკიდიან; ტექსტიდან გაიგებს რასმე თუ არა, ისე აინტერესებთ, როგორც კურდღელს – სტოპსიგნალი!

კიდევ და კიდევ მაგალითი: „და სისხლი, სემ ფადერსმა რომ ნასცხო, მარადიული ერთობის ნიშნად უდაბურებასთან, რომელმაც მიიღო იგი და სემმა როგორც ითქვა, ყოჩაღად იქცეოდა, როცა მოულოდნელად სემმა სადავეები მოქაჩა და ფორანი შეაჩერა და ყველამ გაიგონა შეუმტდარი და დაუწინყარი ხმა ირმის გამოჩენისა“ (13).

ამ აბრაკადაბრის გასწორებაც ძალმიძს, ოღონდ ფრაზებს წესიერად იმ შემთხვევაში გავმართავ, თუ ფულს ვადამიხდინა! ორ რასმე კი უფასოდ შევნიშნავ: აქ საჭიროა 2 „და“; გამოყენებულია 5; ნერია – „სემმა ყოჩაღად იქცეოდა“. უნდა „სემი“; „როგორც ითქვა“ ჩართულია. წინიდან სჭირდება მძიმე.

სხვას კი, უმთავრესს, თვითონ მთარგმნელებს აუფხსნი სათანადო ვითარებაში.

მთარგმნისას სინტაქსი უმთავრესია. ეს მთარგმნელებს არა სცოდნიათ. ნერია: „ორი მძიმე დაქუხება გაიგონეს ბუნ ჰოგენბეკის ძველი თოფისა, რომელსაც არასოდეს არაფერი მოეკლა მჯდომარე ციყვზე მოზრდილი“ (13).

მე ჩავიხედე დედანში და, ჰოი, საოცრება: იქ იმაზე კი არ არის საუბარი, რომ თოფს არასოდეს არაფერი მოუკლავს, არამედ იმაზე, რომ პერსონაჟ ბუნ ჰოგენბეკს არასოდეს არაფერი მოუკლავს, ციყვზე უფრო მნიშვნელოვანია. აქ კი უცოდინარობის სამარცხვინო ნებოთი ერთმანეთზეა გადაბმული თოფი და რემოლსაც; „თოფი, რომელსაც არასოდეს არაფერი მოეკლა“.

ამას თითქმის არ ჩამოუვარდება ეს წინადადება: „ხანდახან დევნა მოახლოვდებოდა“ (13).

„დევნა“ კი არ მოახლოვდებოდა, მდევნელთა ფეხის ხმა ახლოს ისმოდა ან რაღაც ამგვარი!

ადამიანი ვერც ვერასოდეს გაიგებს, რა აზრია ამ ფრაზაში: „ნელა მიიწინებოდა ცვალებად, მაგრამ მუდმივ კედლებს შორის“ (13). ვინმე განმეორებდა, თუ რასა ნიშნავს ხაზგასმული?! – ნვეერმორესი!

ასეთივე აბსურდია შემდეგი: „ბუნი უკან მობრუნდა ჭენებით“ (13). შევამოწმე დედანი და აღმოჩნდა, რომ „ბუნი“ ჰქვია არა ცხენს ან ჯორს, არამედ ადამიანს, პერსონაჟს.

თარგმანში, როგორცა ხედავთ, ადამიანებიც დაქენაობენ!

ნაკლები სარკაზმით აღვნიშნოთ „წერილ-მანი“ ხარვეზები. ნერია „თვითიული“ (12). ეს გახლავთ საუკუნის წინანდელი, უიმედოდ მობერებული და ამძალბებული ფორმა. სწორია „თითიული“. მიღებულია სიტყვისგან „თითი“; ნერია: „ამიტომაც აქვს ასეთი გამოხედვა თვალბში“ (12). „თვალბში“ ზედმეტია. აბა, ტაკუნებში ხომ არ ექნებოდა გამოხედვა?! სულ სხვაა იდიომი: „თვალბში გამოიხედა“.

მთარგმნელმა ესეც უნდა იცოდეს.

არც იმის ცოდნა აწყენდა მწერალს, რომ „აუდიოდა“ მაშინ იხმარება, როცა წინ არის ეპითეტი დიდძალი: დიდძალ საქმეს აუდიოდა, მაგრამ სრულიად უჯეროა ეს სიტყვა ამ კონტექსტში: „მარტივ სადურგლო სამუშაოსაც აუდიოდა“ (12). თუ მარტივია, მაშინ უნდა – ასრულდება.

ახლა ვილაპარაკოთ მწერლის სმენაზე, რომელიც მთარგმნელს გაორმაგებული უნდა ჰქონდეს. სამეზღოროდ, ორ მთარგმნელს ერთი მუსიკალურად გაუნათლებელი კაცის სმენაც არა ჰქონია. ეგ ერთი მე გახლავართ.

ფორტეპიანოს სათოფეზეც არ გავკარე ბივარ, ოღონდ ამდენი კი მესმის, რომ ერთ აბზაცში სამეზღის არ უნდა ააბმინო სახლი. რა ხდება? ნუთუ ისე ღარიბია ქართული ენის სალარო, რომ შემცველი სიტყვა აღარ მოიპოვება? ნერია: „გენერალი კომპსონიც მიიყვანეს სახლთან და მაიორის სახლისაკენ შემობრუნდნენ... რადგან ჯერაც ჩვიდმეტი მილი რჩებოდა სახლამდე“ (14).

ვიცი, ეს ხარვეზიც როგორ გასწორდება, ოღონდ ამის შესახებ წერის კულტურაზე ნაკითხულ ლექციაში ვისაუბრებ.

იმავე გვერდზე ვხედავთ ასეთ რასმე: „ცხენების ფლოკეებქვეშ და ეტლის ბორბლებქვეშ და მათ ფეხქვეშაც“ (14).

აქ ორი მამალი შეცდომაა, ენობრივი უძღურების მაცნე. ჯერ ერთი, ფლოკეებქვეშ რუსულის კალკია, როგორც უკვე მოვასხენეთ. უნდა „ში“; მეორეც, სამი „ში“ უნდა დაყვანილიყო ერთზე, ბოლოზე. თუ როგორ, ეს ჩემი მწერლური საიდუმლოა!

მთარგმნელთა ყურთასმენამ კრახი განიცადა მაშინაც, როცა ერთ აზრად (12) „ვინც“ ნახმარია ხუთჯერ, ხოლო კავშირს „და“ „უპრაგონოდ“ იყენებენ. აბა, ერთი მოუსმინეთ: „და ვიდრე ჩირაღდანის შუქზე მისი ქუდის სირმა და ქურთუკი ელაგდა, ღეჟი ჩიცუცუცკა ტალახთან მინაზე და ერთი ლეკვი ამოიყვანა კალათიდან და ენაზე ერთი მწიკვი თეთრი ფხვნილი დააყარა და ლეკვი მანამდე მოკვდა... და თუ როგორ დაბრუნდნენ პლანტაციიდან, სადაც უკვე მკვდარი ისეტიბუპა მის ვაჟს... შეეცვალა და მეორე დღეს რვა წლის ვაჟიშვილი მოულოდნელად მოკვდა და იმავე ნაშუადღევს, მოკვდებოდა და სხვათა“... (12).

ასე დაუსრულებელი გრძელდება „და“ კავშირის ეს უაზრო ბლაყუნა. ასეა სხვა ადგილებშიც. დასკვნა: ზედმეტი, როგორც ჭარბი მარინი, ანუ გადაძალაშება! ერთი სიტყვით, არავითარი სმენა, სიტყვის არავითარი გრძობა!

თეგობარი მკითხველი უჩემოდანც მიხვდა: ეს თავგანძირ კი არა, ბალაგანია, საიდანაც შეიძლება ამოქარო და ამოქარო უცნაური „მარგალიტები“.

მამასადაძე, ნედლი, უმნიფარი მასალა, ანუ დაბღურე ტექსტი, უნდა გაეკონტროლებინა სარედაქციო ამხანაგობას, ოღონდ ესეც კია: რომ გააკონტროლო, თავად უნდა იცოდეს რადაცა.

სარედაქციო კადრი რომ არ უფარვა გაზეთს, ამას ცხადლევი გვიმონებებს კიდევ ერთი მაგალითი. თეა თაბაგარს ერთ ლექსში უწერია: „როგორი უმადური“ (5). გულისხმიერი რედაქტორი ჩაუსწორებდა ასე: „რა უმადური“. ი. გროშაშვილი, ბაჯალლო მოქართულე, წერს: „რა კარგი ხარ, რა კარგი!“ და არა როგორი კარგი; მაგრამ ეგ არაფერი. თაბაგარს მოუვიდა სხვა, უფრო სამარცხვინო შეცდომა და ეგ რედაქციამ ვერავინ შენიშნა. ავტორი ერთგან წერს ასეთ რასმე: „ისრები კვლავაც უტარებენ საათს ხარაკირს“ (5).

ჯერ ერთი, სწორია „ჰარაკირი“ და არა „ხარაკირი“; მეორეც, გამოთქმა „ხარაკირი გაუკეთა“ ნიშნავს ჰარაკირის არსის სრულ უცოდინარობას. სხვა სხვას „ხარაკირს“ არ უკეთებს; ჰარაკირს თავად იკეთებს პიროვნება. ეგ იგივე თვითმკვლელობაა. მამ, სწორია გამოთქმა „ჰარაკირი გაიკეთა“.

მხოლოდ ამ ნომერს ნულარ გადაყვებით. გადავიდეთ მეთორმეტე ნომერზე. აქ დაბეჭდილია პაატა ბერიკაშვილის რომანის ფრაგმენტები. მიეყვით თანამიმდევრულად.

დასანყისშივე, პირველივე აზრად, უხეში ტავტოლოგიაა: დგას კუნძი და დგას ჯალათიცო (2); ავტორმა პერსონაჟი ჩემოდნით „დატვირთა“, თითქოსდა ძარიანი ავტომანქანა ან ურემი ყოფილიყოს: „ეს ვეებერთელა ჩემოდნით დატვირთული ბენედიქტეა“ (2). „დამძიმებული“ მაინც ეთქვა!

მამ, ასე: მანქანა, ურემი არის დატვირთული; ჯორი, აქლემი კი არის ატვირთული. აქ შეიძლება გამოვიყენოთ აკიდება, აკიდებული. მაგალითად, ტვირთაკიდებული და ა.შ. აი, რამდენი ნიუანსი აქვს ზმინსინის ქართულში. „შეკიდული“ სულ სხვაა, „გადაკიდებული“ – სულ სხვა და ა.შ. მწერალმა და რედაქციამ ეს უნდა გაითვალისწინონ! თავი დავანებოთ იმას, რომ სწორია ჩვენსენ და არა „ჩვენსკენ“ (3); ჩემკენ და არა „ჩემსკენ“ (3); თქვა და არა „სთქვა“ (3) და არაერთი სხვა, შევნიშნოთ უფრო მთავარი. წერია: „თავაზილ როიალსაც თეთრი მიტკალი ეფარა“ (3); თუ ქსოვილი ეფარა, როგორ შეამწინა, თავაზილი იყო თუ თავდახურული?! ამასთანავე, „რაშია საქმე?“ რუსულის თარგზეა გამოჭრილი. ქართულია „რა ხდება?“ ერთ ფრაზაში დროთა აღრევაც შეცდომაა: „დაირცხვინა და სათქმელს თავს ვერ აბამდა“. უნდოდა: საქმეს თავი ვეღარ მოაბა; წერია: „სიგარას ძილის დროსაც აბოლებდა. მინდოდა, წამერთმია, ცეცხლი არ გააჩინოს–მეთქი“ (3). ცეცხლს ანთებენ, ხოლო ხანძარს აჩენენ. მამ, ცეცხლის ადგილას უნდა ყოფილიყო ხანძარი; იქვეა: „აქ რომ კიდევ ერთი მათხოვარი დავინახო, ფანჯრიდან ვისვრი“. შევნიშნოთ: ისერიან რევილევრს, თოფს, ნაგანს, ქვას, ისარს... დაამიანს „ფანჯრიდან გადაუძახებენ“.

როცა გნადია, მუშაკს უტბინო, უნდა უწოდო არა „მზვერავი“, არამედ „მსტოვარი“. „მზვერავი“ დადებით ელფერს ატარებს. თანაც „შპონის“ კევივალენტია არა „მზვერავი“, არამედ „მსტოვარი“. გაიხსენეთ კ. გამსახურდაის რომანები, სადაც „მსტოვარი“ ყოველ გვერდზე გვხვდება!

ამის მერე აღარ მიკვირს, რომ არც ინა არ-

ჩუაშვილმა და არც რედაქციის წევრებმა არ იციან ელემენტარული რამ, კერძოდ, „როგორ სწრაფად“ (6 გვ.) კი არა, არამედ „რა სწრაფად“; იქვე უხეში ტავტოლოგიაც ილანდება. წერია: „როგორ სწრაფად გაირბინა დრომ, როგორ დაქალდნენ“ (6). სწორი ქართული რომ სცოდნოდა ავტორს, ამ უხეშ გამოვრებასაც აირიდებდა: „რა სწრაფად გაირბინა დრომ, როგორ დაქალდნენ!“ წერია უცნაური რამე: „სხედან მერხებთან“. ალბათ მერხებთან საგანგებო ჯორკოები უდგათ და იმაზე სხედან!

ავტორი აქებს მასწავლებელს, კარგი პედაგოგიაო. ტყუილია! კარგი პედაგოგი და სპეციალისტი მყისვე მიხვდება, რომ ფრანც კაფკა არაა მეთექვსისეული ავტორი! აქ კი ეს „კაი“ მასწავლებელი თურმე შეგირდება კაფკას შეყვარებაში ეხმარება.

კაფკა მე ვერ გამიგია, ფილოლოგიის დოქტორს, მკვლევარსა და მწერალს და არა მგონია, მეთექვსისეული გაიგოს. კიდევ მეტი: მეექვსეა, თვითონ ავტორს, ინა არჩუაშვილს, გაეგვიოდეს მისი რამე.

ის კი არა და, უფრო უბრალო რამეც კი ვერ გაუგიათ ჩვენს ავტორსა და რედაქციას. წიგნებს ისტორიები არ აქვს. წიგნს შეიძლება ჰქონდეს ამბავი. ამიტომ მამალი შეცდომაა, როცა გვწერენ: „მათი წიგნების ტრაგიკული ისტორიები“ (6); ქართველი კაცი ასე არასოდეს იტყვის: „თავს ყურადღებას არ ვაქცევ“ (7). იგი ამბობს: „ჩემი თავისთვის ყურადღება ვერ მიმიქცევია“; ასევე უსწორო ქართულია: „ყოველგვარი ძალდატანების გარეშე“. ეს რუსულის კალკია. ქართველი აქ მოიმარჯვებს ერთ სიტყვას: ძალდაუტანებლად.

ახლა ისა ვნახოთ, თუ როგორ ანანილებს (გურულად – აჩარიქებს) ავტორი ერთ ადამიანს: „შვილი მშობლიურ სოფელში გაანანილებინა სამუშაოდ“ (7). უნდა ზმნა „გაამნესებიანა“. მამ, ასე: ჯგუფს სამუშაოდ ანანილებენ; ერთ ადამიანს – განამნესებენ!

წურც ამ ნომერს გადაყვებით უსაშველოდ, რადგან არც სხვები უნდა დავივიწყოთ!

გვეშველა! ავტორმეცამეტე ნომერიც. პოეტობის მწიდი ნუგზარ ზაზანაშვილი წერს: „დროდადრო დასტვენს პატარა ჭოტი, ზუსტად არ ვიცი, როგორ ან როდის“ (1).

ჯერ ერთი, ზუსტად თუ არ იცი, როგორ ან როდის დაუსტვენს ჭოტი, მაშინ რაღად ლაპარაკობ?! ვინ გაძალებს, ვინა გთხოვს ამგვარ სიზუსტეს?! მეორეც, თუ „დროდადრო დასტვენს“, მამ, ცოდნია კიდევ! მესამეც, რა იცი, ჭოტი პატარაა თუ დიდა?! მეოთხეც, რა მნიშვნელობა აქვს, დიდა თუ პატარა? და მეხუთე, ჭოტი რომ არ სტვენს?! იგი კივის, ისე ვითარცა ბუ. სტვენს ბულბული, შაშვი კი გალობს.

ეტყობა ამეტი არც რედაქციამ უწყია! გადავშალე მეოთხე–მეხუთე გვერდები და ლაღად შემომანათა „მარგალიტების“ პოეზიამ. დიახ, სულ დარჩეული, ობოლი „მარგალიტები“.

ჯერ ისევ ნუგზარ ზაზანაშვილს გავსდით „პამეტ“ მანძილზე! პირდაპირ აღარ ვიცი, რომელი მაგალითი ამოვარჩიო. აჰ, ავტორ, ავტორ, ჩემო ბატონო, ურჩეულესი „პოეზია“:

კარგია მარტო რომ წევხარ ავგისტომი ლამის მდელიზე და ვარსკვლავებს შესცქერი

კარგია მარტო რომ არ წევხარ ავგისტომი ლამის მდელიზე და ვარსკვლავებს შესცქერი

კარგია მარტო რომ დგახარ სასტუმროს ნომრის ფანჯარასთან და ლამის შუქით განათებულ უცხო ქალაქს გასცქერი

კარგია მარტო რომ არ დგახარ სასტუმროს ნომრის ფანჯარასთან და ლამის შუქით განათებულ უცხო ქალაქს გასცქერი

და აქ აუცილებლად უნდა შევძახო: შენი ცოდვა დაედოს კისერზე ლია სტურუას! არც წერტილია სადმე, არც – მიმი. პირდაპირ ფუტურისტია ყმანვილი!

ამგვარი „სიაბღლე“ იმდენი შემიძლია დაწერო, მოცულობით რუსთველს, რისი რუსთველი, რას ვამბობ, თვით ფირდოუსის „შაჰ–ნამესაც“ გადავაჭარბებ. ახლა სხვა „შედევრი“ შევათვალთ. „აბა, მე როგორ შევაფასებ ფიზიკოსების ფილოსოფიებს,

მაგრამ ასე კი მგონია, რომ ეგ სულ ლექსებია: რა მნიშვნელობა აქვს – რას დაუძახებ მას, რაც საათის ისრებით იზომება, გინაოჭებს თანდათან სახეს და საბოლოოდ – გკლავს“.

როგორცა ხედავთ, აქ უკვე გამოჩნდა სასვენი ნიშნები, ოღონდ ვაი ამ გამოჩენას! არც ერთი არაა სწორად დასმული! სხვა რამეზე, ანუ მთავარზე, ანუ აზრზე, აქ საუბარი უადგილოა.

ერთგან პოეტი კაცი გვწერს: „გოჭს ჰგავს“ (4). ნუთუ პოეტად ყოფნის მსურველს ყურს არა სჭრის ასე უხეში შეყრა ოთხი უგერგილო თანხმონისა? – ჭსჰგ. ვერ უნდა მიხვდეს პოეტობის მწოდმელი, რომ საჭიროა თანხმონისა გაშველება? აი, როგორ უნდა გამოსულიყო რთული მდგომარეობიდან: „გოჭსა ჰგავს“.

მორჩა და გათავდა! მაგრამ ეგ რომ გააკეთო, ფონეტიკა უნდა გქონდეს ნასწავლი. იქვე ავტორს ყურს არა სჭრის ასეთი უგერგილო ფრაზა: „და სასწაულ რამეს ვუცდი...“ მურმან ლებანიძე ამას „ჭამდა“? არამც და არამც!

ის სულ მცირე ალიტერაციულ გაფაჩუნებასაც კი იგრძნობდა და ფრაზას ამგვარად მოარჯულებდა: „და სასწაულს რასმე ვუცდი“. ამიტომაც იყო პოეტი! ჩვენ კი რას ვაკეთებთ? ვაჩალიჩებთ ამგვარ პარადოქსულ სისულელეს:

„სასტუმრო პატარაა, მაგრამ – ხუთსართულიანი, თან – ულიფტო. სასაუზმე ოთახი მაინცდამაინც ამ მეხუთე სართულზეა, მე კი მეორეზე მერგო ოთახი. საუზმე ცუდია, მაგრამ მაინც სასაუზმომ – დილის წამალი საუზმის დროსაა მისაღები.“

ჰოდა, ვისაუზმე ხუთ ნუთში, მივიღე წამალი, ჩამოვიდვარ კიბეებით, ჩამოვიდვარ კიბეებით, ჩამოვიდვარ კიბეებით... (4)

ამის ავტორს ეს იმბეცილური აზრები პოეზია იმიტომ ჰგონია, რომ „ტავებდადა“ დალაგებული ტავებდა რომ არ იყოს დალაგებული, მაშინ არც პოეზიად მოეჩვენებოდა.

მამ, ასე: ხელთა გვაქვს „მოჩვენებითი“ პოეზიის ნიმუშები.

ამგვარი ნიმუშების გამომწვევაში არც თამარ ბაბუკიძე ჩამორჩენია ყმანვილს. დებუტანტის ლექსში „იოჰან“ მე ყოვლის უწინარესად ერთობ მენიზა ყოველი სტროფის თითო ბნკარი. 4 სტროფია და ჩემგნით მონონებულა 4 სტროქონი. აი, ისინი: 1. „გუთხარი ხელახალ გაზაფხულს უარი“ (5). ნამეტნავად მესულღული „ხელახალი გაზაფხული“; 2. „იოჰან“, როდემდე მივმართო ლოდინებს“; 3. „შენამდე ვერ ვყვები ქარების მიმობრას“; 4. „იქნებ და გამოჰყვე სიკვდილის შეგირდებს“. ამ ბოლო ტავში განსაკუთრებით მესულღულია „სიკვდილის შეგირდებს“. მე, მაგალითად, მეტეოროლოგიურ „ქარების მიმობრახზე“ უფრო მალა ვაყენებ ფილოსოფიურ „სიკვდილის შეგირდებს“.

მამ, ასე: აქ ყოველ სტროფში ერთი მამალი სისულელია, სტროფი ოთხია, ხოლო დიდი სისულელე – ერთი.

ლექსი „ჩემი თავის პატრონი“ საკმაოდ გვამარბებს სახობმარეკო მასალით. აი, ისინი: „არა აქვთ დროში სიზუსტე ჩემი ფერის მსგავსებს“; „თითქმის ორნახევარი ცხოვრება მაქვს საფიერი“; „ის რა ჩემი საქმეა, მტერი რა დროს იხელთებს“.

აღნიშნულ ტავებში იმდენი სიბრძნეა, მათი კომენტირება იგივეა, ღმერთის განმარტება რომ დაიწყო.

აღნიშნული თვალსაზრისით, არც მომდევნო „ლექსები“ უყურადღებოდ დასატოვებელი. ერთგან ვკითხულობთ: „ნეტავ არ იკადრებდეს ჩემში ყინვის რეისებს“. მართალია, ვინ არ იკადრებდეს, ეს არა ჩანს, ოღონდ არა უშავს რა. სამაგიეროდ „ყინვის რეისები“ ხომ არის გადასარევი სახე – ხატი?!

განსაკუთრებით დიდის პატივით უნდა წარმოვიდგინოთ „გადაკასული ვარდების“ (კალკული მიღწევები. ერთი ასეთია: „შგავს შეღამება სართულთა ვარდნას“. მართალია,

გრამატიკულად სწორია არა „სართულთა ვარდნა“, არამედ „სართულთა ცვენა“, ოღონდ გენიალურ ტავში ეს რა საკითხავია?! მომდევნო ტავშიც საგულისხმოა: „შეჰკედლებინა ჩრდილები ჩარჩოს“. კიდევ უფრო საინტერესოა ფრაზა – „დამხრწვალ გვამებთან ტივტივებს მორი“. ჩვენი ავტორი ჰუმანისტია და ამიტომაც ცოცხალ ადამიანებს კი არ ახრჩობს, არამედ – გვამებს. „დამხრწვალ გვამებთან“ სწორედ ამას გამოხატავს. მართალია, ტავში – „მოვიდვარ, მაგრამ ჰაერი არ მტევს“ ენობრივ უძღურებას მოასწავებს, მაგრამ რა ქნას ავტორმა: სართიმო სიტყვა წინა ტავისა ამას მოითხოვს. იქ კი წერია: „რადგან არყოფნის მეტობა მამტვერეს“. კინაღამ გამომრჩა! აი, ავტორც „რქუა რუქამ არაკი“: „ცას გაელია ფერთა სასრული“ (5).

მომდევნო პოეტური ოპუსიდანაც უნდა დავითრიოთ რამდენიმე ნიმუში: 1. „მთვარე დამდის, ფეხმოდვა ახალ ნანვიმარზე“; 2. „ტავები ფარდა თვალდათხრილი, უფანჯრო ოთახს“; 3. „თვალს ვხუჭავ, მბედავს ნაბიჯები თითო და თითო“; 4. „შენში უსრულ მოტივებზე დავიწყებდი ბორილებს“; 5. „ბედის გადამწერს ეთამაშე ნესების შეცვლა“; 6. „ან ერთის ნაცვლად უამრავი იცი და ვერ სცემ“. რას ვერა სცემ, ეს საკითხავი სულაც არ არის. სამაგიეროდ „ყოფნა–არყოფნა, საკითხავი აი ეს არის!“

კიდევ ერთი „მარგალიტი“: „როგორ გაყიდიდა მორგებულ ნიღაბს“. მე აქ ყურადღებას ვაგვამხვილებ ავტორის ნეოლოგიზმზე „გაყიდიდა“.

კაცს შეიძლება შეექმნას მცდარი შთაბეჭდილება: ამ ჩვენს ავტორს საშუალო სკოლაც არ დაუმთავრებიაო. სინამდვილეში ასე მარჯვედ იმდა წერს, სწორედ რომ დაუმთავრებია, თუმცა კი არ უსწავლია. არ უსწავლია კი იმიტომ, რომ ამას კითხვა უნდა. ჩვენი ავტორი კი მწერალია და არა მკითხველი.

ამრიგად, აქ გასაოცარი არაფერია! მერვე–მეცხრე გვერდზე გვერდიგვერდ დაბეჭდილია შოთა ზოიძისა და გურანდა ბერიას ლექსები. გამოცდილი პოეტი შოთა ზოიძე ალბათ ხარხარებდა, როცა გურანდას ნაწერებს კითხულობდა. მიკვირს, როგორ არ დაიხრჩო და გადაერჩა!

არადა, კაცი ვერ გაიგებს, რას ერჩის ავტორი თავის ნორჩ ფრთებს? „ჩემი ფრთები ჩემი იმედებია, რომლებიც ბოლოს კი არა, – ძალიან ადრე კვდებიან“.

სართიმო სიტყვა „კვდებიან“ სიტყვას „იმედებია“ შეურითმა ავტორმა, თორემ კარგად ეცოდინებოდა ავადსახსენებელი მეოთხე კლასის გრამატიკის სახელმძღვანელოს მითითება: ერთი კვდება, ხოლო მრავალი იხოცება. მამ, გრამატიკულად სწორია „იმედები იხოცებიან“ და არა „კვდებიან“.

„ალბათ, საჭიროა მანამდე დაეცე, რომ შემდგომ, ფეხზე წამომდგარმა გამარჯვების გემო გაიგო“ (9).

ვითომ ლათაო?! ან კიდევ: საიდამოხდაო?! მამასადაძე, თუ დაეცე და ფეხზე წამოდგები – ეს გმირობა ყოფილა!

ვიშ, ვიშ და კიდევ ვიშ! უფრო უარესი მაგალითების მოხმობაც ძალმიძს, თეგობარო მკითხველო, ოღონდ შენს ჯანმრთელობას უფურთხიდებდი: ამავების წაკითხვამ გული არ გაგივითქოს!

სხვათა შორის, ამგვარი ბალასტის კრიტიკაც იქვეა წარმოდგენილი. ჟაკლინ სირაძე მითითებს: „პოეზია ერთ დროს უმშვენიერესი და ნელსურნელოვანი ყვავილებით დამშვენებული ბალი იყო, რომელიც თავანკარა წყარო მორაკრაკებდა და ფრინველები თავდაფინყვით გალობდნენ. დღეს კი ის მწვანე ფერის, დამყაყებული, ბლანტნებოვანი ჭაობია, რომლიდანაც ბაყაყების მომბებრებელი ყიყინი ჩაგვემის... ლათინები ამბობენ: – ირქარე ნულა! დღევანდელი თაობა კი გაჰყვირის: – ირქარე ჩქარა! ანუ დამეგავსე უსახურობას და ბერნი დედაკაცივით უნაყოფო გახდი... თანამედროვე თაობა ცდილობს, მოიპოვოს სული, რომელიც არაფერსა ჰგავს“.

დიდებული ნათქვამია და ზემონაჩვენები „პოეტური“ ოპუსების ჩემეული ანალიზის ერთგვარი დასკვნა – დაგვირგვინება.

(გაგრძელება იქნება)



გულო კობიაშვილი – 70

70 წლისა შესრულდა თვალსაჩინო ქართველი მწერალი გულო ზაქარიას ასუ-ლი კობიაშვილი. ამის გამო საქართველოს მწერალთა კავშირმა იუბილარს მისალმება გაუგზავნა. მისალმებაში ნათქვამია:

ძვირფასო ქალბატონო გულო! საქართველოს მწერალთა კავშირი, თქვენი მეგობარი ქართველი მწერლები დიდი სიყვარულითა და პატივისცემით მოგესალმებიან თანამედროვე ქართული მწერლობის ერთ-ერთ გამორჩეულად საინტერესო წარმომადგენელს და გილოცავენ ღირსშესანიშნავ თარიღს თქვენს ცხოვრებაში — დაბადების 70 და ლიტერატურულ-შემოქმედებითი მოღვაწეობის 40 წლისთავს.

ქართულ მწერლობაში 1980 წელს შემოაბიჯეთ, როდესაც ჟურნალ „ცისკარში“ პირველი ნოველები დაბეჭდეთ. მას შემდეგ თქვენი ნაწარმოებები – ნოველები, მოთხრობები, ლექსები, პუბლიცისტური სტატიები პერიოდულად ქვეყნდება ჩვენს სალიტერატურო ჟურნალ-გაზეთებში, გამოდის ცალკე წიგნებად.

ქართველი მკითხველი, გემოვნებიანი და მომთხროვნი მკითხველი მოწონებით შეხვდა თქვენს ისეთ პროზაულ კრებულებს, როგორცაა „ალვის ხეები“, „გაზაფხულის საღამო“, „ლალი, როგორ ფრინველი“, გადაუღებელი წვიმების შემდეგ“. ამ კრებულებში შესული ნოველები ყურადღებას, უპირველესად, გულწრფელობით, ტრაგიზმით იპყრობს, შეფარული ტრაგიზმით, რომელიც საქართველოს – თქვენი და ჩვენი სამშობლოს ძნელბედობითაა გამოვლენილი. სევდა და იუმორი თქვენს ნოველებში ჰარმონიულად ერწყმის ერთმანეთს, რაც კიდევ უფრო აძლიერებს მათ შემეცნებით მნიშვნელობას. ყოველივე ამას თქვენს თვალსაჩინო ქართულს და ხასიათების, ტიპაჟების ძივების ხელოვნებას თუ დაემატებთ, ცხადი გახდება, რომ თქვენი სახით ქართულ ნოველისტიკას დიდებული წარმომადგენელი ჰყავს.

მშვენიერი პოეტი ბრძანდებით და უნაზესი ლირიზმით, სევდით და ტროპული აზროვნებით გაჯერებულ სტრიქონებს სთავაზობთ მკითხველს.


თქვენი ნაწარმოებები თარგმნილია რუსულ, სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე.

სხვადასხვა დროს მუშაობდით საქართველოს სახელმწიფო წიგნის პალატაში რედაქტორად და განყოფილების გამგედ, გამომცემლობა „ეროვნული მწერლობის“ რედაქტორად და ყველგან პასუხისმგებლობის დიდი გრძნობით გამოიჩინებდით, ყველგან სიკეთესა და სიყვარულს ასხივებდით.

თქვენი მრავალწლიანი მოღვაწეობა ნიკო ნიკოლაძის, ნიკო ლორთქიფანიძისა და რევაზ ინანიშვილის სახელობის პრემიებით აღინიშნა.

ჩვენო ქალბატონო გულო! კიდევ ერთხელ გულმხურვალედ გილოცავთ საიუბილეო თარიღს ჩვენს ძვირფას მეგობარს და თანამოქალმესს, დიდხანს სიცოცხლეს, ჯანმრთელობას და ახალ შემოქმედებით გამარჯვებებს გისურვებთ.

საქართველოს მწერალთა კავშირი



ივანე ჯაფარიძე — 75

75 წლისა შესრულდა თვალსაჩინო ქართველი ლიტერატორი და საზოგადო მოღვაწე ივანე ნოსე ძე ჯაფარიძე. ამის გამო საქართველოს მწერალთა კავშირმა იუბილარს მისალმება გაუგზავნა. მისალმებაში ნათქვამია:

ბატონო ივანე! ჩვენო საყვარელო კოლეგა! საქართველოს მწერალთა კავშირი, თქვენი მეგობარი ქართველი მწერლები გულმხურვალედ მოგესალმებიან ქართული სიტყვის, ქართული მწერლობის, ქართული სულიერების აღიარებულ მეციხოვნეს და გილოცავენ დაბადების 75 წლისთავს.

ჩვენთვის, ქართველი მწერლებისათვის, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის დიდი ყურადღება და რუდუენობა, რასაც ქართული მწერლობის წინსვლის და განვითარებისთვის იჩენთ. საქართველოს რადიოში თქვენი საქმიანობა უმთავრესად, სწორედ ქართული მწერლობის წინაშე მდგარი პრობლემების გამოქვეყნების უკავშირდება. თქვენს გადაცემას სათაურიც ხომ სიმბოლური აქვს – „ჩვენი საგანძურის“. თქვენი საუკეთესო გადაცემები და ციკლი საქართველოს ტელევიზიისა და რადიოს ოქროს ფონდში. სწორედ თქვენი ძალისხმევით შეიქმნა ისეთი მნიშვნელოვანი ტელე-რადიო პროგრამები, როგორცაა „ირაო“, „ამერი-იმერი“, „საქართველოს სოფლები“, „დილის ირაო“, „ამ შაბათ-კვირას“, „თბილისის ისტორია“...

დიდი ღვაწლი დასდეთ ქართული ალბინიზმის ისტორიის საკითხების შესწავლას და შთამომავლობის შემოუნახეთ ქართული მითაქვედობის თითქმის საუკუნოვანი მატჩანე. ეს ყოველივე აისახა სატელევიზიო ფილმებში და ისეთ მნიშვნელოვან წიგნებში, როგორცაა „მეცხრანევერიდან ევერესტამდე“, „საბჭოთა ალბინიზმის სახელოვანი წარმომადგენლები“, „ქართული სპორტის ოქროს წიგნი“. თქვენმა სატელევიზიო ფილმმა „სუ-ალტო“ (მიხილ ხერგიანზე) მთისადმი მიძღვნილი ფილმების მე-5 საერთაშორისო ფესტივალზე ერთ-ერთი მთავარი პრიზი მოიპოვა. ფესტივალ „ნიაშორის“ 2008 წლის ლიტერატურულ კონკურსში თქვენმა დოკუმენტურმა მოთხრობამ პირველი ადგილი დაიკავა. სწორედ ქართული ალბინიზმის კორიფეთა წარმომჩინისათვის მოგვიწიათ დავით აღმაშენებლის სახელობის ისტორიულ-ლიტერატურული პრემია. არც ის არის შემთხვევითი, რომ ალიოზა ჯაფარიძის სახელობის ალბური კლუბის დირექტორი, საქართველოს მთავრობის ეროვნული ფედერაციის ერთ-ერთი დამფუძნებელი, პრეზიდენტის ნევი და პრეს-სპიკერი ბრძანდებით.

თქვენ ხომ ბრწყინვალე გეოლოგი ბრძანდებით, გეოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, მრავალი სამეცნიერო შრომის ავტორი. როგორ შეიძლება, არ ავღნიშნოთ ის გარემოება, რომ დიდი წვლილი მიგიძღვით უფლისციხის ისტორიულ-არქიტექტურული ძეგლის ცვეთის თავიდან აცილებისა და დავით გარეჯის მონუმენტში უნიკალური არქეოლოგიური აღმოჩენის – ძველი ნაქალაქარის მეტალურგიული ნარმოების კვრებისათვის რკინის საბადოს აღმოჩენასა და მისი ავტოქტონობის დადგენაში. მოგვიანებით იმავე უფლისციხეში აღმოაჩინეთ 20-25 მილიონი წლის წინანდელი უნიკალური მცენარეული ნაშთების ნაპარხი, რაც თქვენი დისერტაციის თემად იქცა, რომელიც სტრატეგიაშია – პალეონტოლოგიაში პირველი იყო ევროპაში. ეს მონოგრაფიული გამოკვლევა („ალმოსავლეთ საქართველოს ადრემიოცენური ფლორა“) ცალკე წიგნადაც გამოიცა.

მართლაც რომ დიდ და ნაყოფიერ საზოგადო მოღვაწეობას ეწევით. არჩეული ხართ ჟურნალისტთა კავშირის, გეოლოგიურ და გეოგრაფიულ საზოგადოებების წევრად, საქართველოს ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის შემსწავლელი ასოციაცია „სომლის“ საპატიო წევრად, ხართ ლიტერატურულ ჟურნალ „ანულის“ და საზოგადოება „ანულის“ დამფუძნებელი, ჟურნალისტი კავშირის ნიკო ნიკოლაძის სახელობის პრემიის მიმნიჭებელი ჟიურის თავმჯდომარე, ლიტერატურული კონკურსის „ოდონის“ ჟიურის წევრი, ჭიათურის მუნიციპალიტეტის გამგებლის მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარე, ფაზისის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, დავით აღმაშენებლის აკადემიის საპატიო პროფესორი...

მონიჭებული გაქვთ საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტიკისა და საქართველოს სპორტის დამსახურებული მოღვაწის ნოდებები, ნიკო ნიკოლაძის სახელობის პრემია, არჩეული ხართ ჭიათურის საპატიო მოქალაქედ...

კიდევ ერთხელ გულითადად გილოცავთ საიუბილეო თარიღს ჩვენს უღალატო ძმასა და მეგობარს, დიდხანს სიცოცხლეს, ჯანმრთელობას და თქვენი საესავის მამულის გაბრწყინებას გისურვებთ.

საქართველოს მწერალთა კავშირი



რეზო ნაცყეზია – 70

70 წლისა შესრულდა თვალსაჩინო ქართველი მწერალი და საზოგადო მოღვაწე რეზო ნიკოლოზის ძე ნაცყეზია. ამის გამო საქართველოს მწერალთა კავშირმა იუბილარს მისალმება გაუგზავნა. მისალმებაში ნათქვამია:

ბატონო რეზო! ჩვენო ძვირფასო თანამოქალმე! საქართველოს მწერალთა კავშირი, თქვენი მეგობარი ქართველი მწერლები სიყვარულით მოგესალმებიან ჩინებულ შემოქმედს, ღირსეულ ერისკაცს და გილოცავენ ღირსშესანიშნავ თარიღს თქვენს ცხოვრებაში — დაბადების 70 და ლიტერატურულ-შემოქმედებითი მოღვაწეობის 45 წლისთავს.

სამწერლო ასპარეზზე 1974 გამოსვლით, როდესაც ჟურნალ „ცისკარის“ დამატება „ნოათში“ თქვენი პირველი მოთხრობები დაიბეჭდა. მას შემდეგ თქვენი ნაწარმოებები სისტემატურად ქვეყნდება ჩვენს სალიტერატურო პერიოდიკაში, გამოდის ცალკე წიგნებად.

თქვენი რომანები „ჯუჯა ალვის ხეები“, „მეზობელი ციცარი“, „სადგურიდან სადგურამდე“, „ჩვილის სიზმრები“, მოთხრობებისა და ნოველების კრებულები „ცეცხლის კაცუნების დღესასწაული“, „პორტრეტები“ შეიყვარა ქართველმა მკითხველმა, შეიყვარა მწერლური ნიჭიერებისა და სახეობრივი აზროვნებისათვის, დიდი ტკივილებისა და ვნებებისათვის, დახვეწილი იუმორისათვის, რაც მხოლოდ ქვეშარტი შემოქმედით ხელნეშობათ, ტიპებისა და ხასიათების მონუმენტური ძივებისათვის, ყოველივე იმისათვის, რაც ნამდვილი მწერლობის თანამდევნიშან-თვისებაა. თქვენს დოკუმენტურ მოთხრობებში დიდი სიყვარულით ხატავთ ირაკლი აბაშიძის, ოტია იოსელიანის, რეზო ჭიჭიშვილის, ოთარ მამფორიას მონოლითურ სახეებს...

თქვენი პიესები („სახლი ღრუბლებში“, „მატარებელი ხუთ ნუთში გავა“, „დათიკოს გამოხვეწება“) ნარმატებით იდგება ქართული თეატრების სცენაზე.

წლების განმავლობაში მუშაობდით საქართველოს მწერალთა კავშირის ქუთაისის განყოფილების რეფერენტად, ქუთაისის კულტურის ცენტრის დირექტორად, ქუთაისის მერიის ეკონომიკისა და ბიზნესის დეპარტამენტის თავმჯდომარედ, ქუთაისის პრესის სახლის დირექტორად. სადაც კი გიმუშავიათ ყველგან პროფესიონალიზმითა და პრინციპულობით, მოყვასის სიყვარულით გამოიჩინებდით.

თქვენი ღვაწლი დიდი ქართველი მწერლის ნიკო ლორთქიფანიძის სახელობის პრემიით აღინიშნა.

ჩვენო რეზო! კიდევ ერთხელ გულითადად გილოცავთ საიუბილეო თარიღს ჩვენს სამწერლო ოჯახის ღირსეულ წევრს, დიდხანს სიცოცხლეს, ჯანმრთელობას და ახალ შემოქმედებით გამარჯვებებს გისურვებთ.

საქართველოს მწერალთა კავშირი



ხეთისავარ არჩემაშვილი – 85

85 წლისა შესრულდა ცნობილი ქართველი მწერალი და ჟურნალისტი ხეთისავარ იოსების ძე არჩემაშვილი. ამის გამო საქართველოს მწერალთა კავშირმა იუბილარს მისალმება გაუგზავნა. მისალმებაში ნათქვამია:

ჩვენო ხეთისავარ! საქართველოს მწერალთა კავშირი, თქვენი მეგობარი ქართველი მწერლები დიდი პატივისცემით მოგესალმებიან ძვირფას თანამოქალმესს და გილოცავენ დაბადების 85 წლისთავს.

პირველი ნაბიჯები სამწერლო ასპარეზზე 1947 წელს გადადგით, როდესაც გაზეთ „ნორჩი ლენინელში“ გამოაქვეყნეთ მოთხრობა „ბეჯითი მოსწავლე“. მას შემდეგ თქვენი ნაწარმოებები – მოთხრობები, პუბლიცისტური სტატიები, ლიტერატურულ-კრიტიკული წერილები პერიოდულად ქვეყნდება ქართულ პერიოდიკაში, გამოდის ცალკე წიგნებად.

საქართველოში თქვენი მწერლურ-ჟურნალისტური მოღვაწეობის ანი და ჰოე, საქართველო თქვენი ყველაზე დიდი ტკივილიცა და ყველაზე დიდი სიხრულიც. განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობთ საქართველოს მთიანეთის მძიმე სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული ცხოვრების პრობლემებს. სწორედ თქვენი მართალი და პრონციპული პუბლიცისტური სტატიების შემდეგ დაჩქარდა უკანა ფშავში (შუაფხო) სამანქანო გზისა და ელექტროქსელის გაყვანა. სწორედ თქვენი ინიციატივითა და ხელშეწყობით დაიწყო ფშავის არაერთი საკულტო ნაგებობის რესტავრაცია.

თქვენი წიგნები „როცა კლამი ხიშტს გაუთანაბრდა (1941-1945)“, „უნდა ვენამლოთ სამშობლოს“, „ფშავის ასული“, „ბროშურები“ ვეტერანები ცხოვრების მხარდამხარე, „მგზავარე სიტყვის ოსტატი“ სამშობლოს ერთგული შვილის ნაკალმარს წარმოადგენს, რომლისთვისაც სულერთი არ არის, როგორი იქნება მისი სამშობლო ხვალ და ზეგ...

თქვენი მოთხრობების ციკლმა „ჩემს სოფელში ომი არ ყოფილა“ 1985 წელს საქართველოს მწერალთა კავშირისა და კომკავშირის მიერ გამოცხადებულ კონკურსში ნამახალისებელი პრემია დამსახურა, ხოლო კულტურის სფეროში განუვლი ღვაწლისათვის (ქალაქ სოჭში ქართული კულტურის ცენტრის „ივერის“ შექმნისა და ლამარის ჯვრის კომპლექსის აღდგენის ინიციატივისა და ხელშეწყობისათვის) 2009 წელს მოგვიწიათ ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის პრემია. ბოლო წლებში მოგვიწიათ ნიკო ნიკოლაძის სახელობის პრემია და საქართველოს ჟურნალისტიკის კავშირის დიპლომი ჟურნალისტიკის განვითარებაში შეტანილი მნიშვნელოვანი წვლილისათვის.

მეოთხედი საუკუნის განმავლობაში საქართველოს რადიოში მოღვაწეობდით და ქართული კულტურის, ქართული ხელოვნების, ქართული ტრადიციების, ქართული სულიერების თავგამოდებულ მეციხოვნედ გვევლინებოდით. იყავით გაზეთის „მოგესალმებით ქედები!“ მთავარი რედაქტორი. სრული პროფესორი წლების განმავლობაში თქვენს მდიდარ ცოდნასა და გამოცდილებას სტუდენტებს – მომავალ ჟურნალისტებს უზიარებდით.

ბატონო ხეთისავარ! კიდევ ერთხელ გულითადად გილოცავთ საიუბილეო თარიღს მსოფლიო შემოქმედს, გისურვებთ დიდხანს სიცოცხლეს, ჯანმრთელობას და თქვენი საწუკარი ოცნებების აღსრულებას.

საქართველოს მწერალთა კავშირი

გალაქტიონ ლლონტი

აი, ჩემი მამული

სახლი მთაში, სახლი ბარში, ზედ ზღვის პირას ჩადგმული, ხალხი ლალი, გულგადაშლით, აი, ჩემი მამული.

აივნები, აივნები მძივებივით გაბმული, ხალხი თბილი, წმინდა ნების, აი, ჩემი მამული.

ვაზი ხეზე, ვაზი სარზე, სახლებზე განაბული, აღმაფრენის სილამაზე, აი, ჩემი მამული.

სუფრა სახლში, სუფრა გარეთ, ღვინოთი დანამული, მასპინძელი გულმხურვალე, აი, ჩემი მამული.

თუმც ჩავეხუტე თბილისს

თუმც ჩავეხუტე თბილისს, ვერ ვთმობ ჩემს გურულ ოდას, კერა დედისებრ თბილი სულ გულის გულში ხმოვდა.

გურია - შვილი ამ ცის სიამე გახლავთ სრული, სადაც შობილა კაცი, იქ სამკვიდროა სულის.

სოფლად მეგულვის დედა, სოფლად მეგულვის მამა, გურია მერგო ბედად, თანმხლებ, თანამდევ ჟამად.

ხანდაზმულობის წლებში სოფლად ბავშვობას ვხვდები, ახალგაზრდობა ფრთებს შლის და ქუხს „გურიის მთები“...

გულს, გულს ვუსმინოთ ჯერ არს, ყოფის ფერხულში ჩაბმულს, ნუ დავაობლებთ კერას, ნუ მოვაკლდებით მამულს.

ღვიძლო ქართული სიმღერავ!

ისე არ მხიბლავს არარა, ისე არავის არ მჯერა, როგორაც შენი, თაკარავ, ღვიძლო ქართული სიმღერავ.

შენა ხარ სული ქართველის, ნაღდი ქართული ხმის ძვერა, სილადე ჩვენი მთა-ველის - ღვიძლო ქართული სიმღერავ.

ზეციურია ნამდვილად ქართულ საკრავთა სიმთ ჟღერაც, გულს ეხუტები რა ტკბილად - ღვიძლო ქართული სიმღერავ.

მრავალხმიანო, ფრთიანო, სულს ასხივოსნებ მზისფერად, ღმერთმა გშვა, რომ იხმიანო - ღვიძლო ქართული სიმღერავ.

ისე არ მხიბლავს არარა, ისე არავის არ მჯერა, როგორაც შენი, ანკარავ, ღვიძლო ქართული სიმღერავ.

თბილისს

ნაირ ხატულა უბნები სულის მეოხად თილისმოვს, ლალი ქართული ბუნებით გულს ეკონები, თბილისო.

ვერვინ გახდება მხილველი შენზე უთბილეს, თბილისო, სათაყვანო ხარ პირველი, მარად ჭაბუკო თბილისო.

ნარსულიცა ხარ, ანმყოცა, რიჟრაჟიც ნანატრ დილისო, უღვთო ძალამ ვერ წარხოცა შენი ნათება, თბილისო.

ნარიყალა და მთაწმინდა სულ ჟრუანტელად მივლისო, მამული შენით გაბრწყინდა სულო და გულო, თბილისო.

სილამაზის ხარ ხატება და უტკბილესი ტკბილისო, ზეძალით რომ იხატება, გულის დამპყრობო თბილისო.

მაჯისცემა ხარ ცხოველი ყველა ალალი შვილისო, ქართველი შენგან მოელის ყოველ სიკეთეს, თბილისო.

საქართველო როცაა

უნდა ჩქეფდე მთის წყაროდ და დრო ვერა გაგრიყავს, გულო, უნდა იხარო საქართველო რაკი გყავს.

მწველი ფიქრის გარეშე ნამიც არა მქონია, მაგრამ სევდით თარეში არასდროს მიღონია.

წუნწუნი და წრიალი ეშმას მონაგონია, ქართული ცის ციალი სულის მოსაფონია.

ზეციერი გვდარაჯობს, ღვთის ხმა გასაგონია: გასვლა სწორედ იქა სჯობს, სადაც სანდო ფონია.

სამშობლოა ყოველი, მზე სიცოცხლის კოცნაა, სული არის ცხოველი, საქართველო როცაა.

მირანდა კოზმანაშვილი

კრძალვით

არ მკითხე ისე მიიზიარე, ჩემი გულისტქმის სანირი კრავი, თავს დავიტუქსავ, ძალიან ვნანობ, რომ განგადიდე რიდით და კრძალვით. ვკრთი, ვით უმწეო ბაბუანვერა, ხატი გაქრობის და განქარვების, ჩემ წილ დროებავ, არაფრით არ მსურს, მომელაქუცო ბრმა ანგარებით. იქნებ გამავალ ჟამსა ვაჯობო, ფიქრი გასწავლო მკაცრსა და ზვიადს. ვითარც დედის რძე შეგარგო ეგებ, ჩემზედა ფიქრში მზე შეგისვია... შენ ჩემო პატარა არარაობავ, პყრობილო მუდამ სიცოცხლის რწმენით, თავი ვიმართლოთ უფლის წინაშე, სიყვარულით და ერთურთის კრძალვით.

გენაცვალე

„გენაცვალე“ ნათქვამს ჩვენად, ვერა თარგმნი სხვა ენაზე, მოსასმენად საამოა, მოლულუნე მტრედის ხმაზე.

ღმერთს ეფარება

გონებით გიხმობ, ყველგან დაგეძებ, არა მპასუხობ, რა გემართება? ღვთიურ სულდგმულზე ფიქრებით მოცულს, ტირილის გრძნობა თავს მეახლება. ვერა ვივარგე, ყურად არ ვიდე... ჩემი ცოდვები მას შემართლება, სიამტკბილობას ზურგი ვაქციე, ბევრსა ჩემს მაგვარს რომ ენატრება. გაოგნებულმა არვის შეეჩივლე, ყურებს შენი ხმა დღეს ენატრებათ, ღვთიურ ასულზე და ისიც შენზე, უფლის წყალობა რატომ არ ხდება? საჯაროდ თქმული ჩემი სიტყვები, წიგნად რჩენილნი, ღმერთს ეფარდება.

არ ღამიტირა

სარკინეთს მზე რომ მოეფარება, თვალთ დამიდგება მწუხრი თვალეები, დიდი სიმართლით შემოირბენენ, ბნელი სამყაროს ნახვით მხარები. კუდში თანა სდევს ნიავს ფიქრები და აგერ დასი რიცხვი ულევი, ჭრელ-ჭრული კაბით, ჩვეულ კისკისით, ენაცვლებიან ტურფა სულეები. არმაზს ვისტუმრებ, კარსანში ავალ, მიდამო მოჩანს ყველგან ცვრიანი, ის მოჩვენება ტურფა ქალწულის, მომესალმება მორცხვად მღიმარი. ყველგანა გძებნე, ვერაფრით გპოვე, რატომ მიხმობენ მორცხვად თვალეები, მათობელ მზეთა ოდეს მიმაჩნდი, არ მპასუხობენ ჟამზე მწყრალეები.

ძველი ქალაქის სუნთქვას ვუსმინე, თაიგულებით კოდმანს მესტუმრე, მწყრალად შეხედე ეპიტაფიას, ისე ნახვედი არ დამიტირე.

ციდან ჩამოვხვებო

ძელსა ჰკრეს ძალისა ხმოვით, მოსაგონარი თვალწინ დამიდგა, აათამაშა გრძნობა, ვით სხივი და გათვალული ნატერა ამიხდა. კვლავაც მენვია ძველი სურვილი, შენს შესამკობად ცად ავენთები, ტურფა ხატებას თვალი იხილავს, გარწმუნებ, ციდან გადმოვქმევი.

ხელაგაპლილი

შესაბრალისი იერი მქონდა, თითქოს ვუმზერდი სარკმლიდან ღამეს, დავბერებულვარო, რა ძალიან, ძალას ვატანდი დაჭყეტილ თვალეებს. თმა ერთიანად გამთეთრებოდა, წილად მრგებია მწუხარე ბედი, ჩამოქცნობია კისრის ღანვები, ურჩენელ სენსა ვერაფრით ვშველი. არა მჯეროდა მე თუ ვიყავი, ტვინს მიხვრეტავდა ფიქრი აშლილი, გრძნობებსა ვძლიე, შუბლი გავხსენი და შეგეგებე ხელეგაპლილი.

მარჯანიშვილის 12

ციხის უბანში დღესაც ვისტუმრე, ძველი ალაგი აღარ ხმაურობს, რად გაეცალე? სად გიდევეს ბინა? მგრძნობარე სული აღარ საუბრობს. უნინ მელოდი, დღეს არვინ მელის... „ოქროსი ხანა“ გავიდა, ჩაქრა, რა მოკლე იყო ჭარმაგობის გზა რატომ დაგჭირდა უდროოდ წასვლა? ბორცვზე შემდგარი აივანს ვუმზერ, სახლისა კარი მოჩანდა ღია, შენი ხატება ვერ დავინახე, დამინყებს გული დარდისგან ფრიალს. თავს დამდგომიან ციხის კედლები, ვებერთელეები დევების ხელა, სარკმლიდან უცხო თვალეები მიმზერს, მას შუძლია სწეულის შველა, ამაყად მიმზერს დღეს ძველი ბინა, დაჟამებული ქვისა კედლებით... არა, არ ვცდები ის ხომ შენა ხარ, ცქრიალა გოგო არა ბერდები. თვალსა მოვავლებ ვინრო, ძველ ქუჩას, ხეების ჩრდილში ჩანან ბავშვები, ასე მგონია მათ შორისა ხარ, ჭრელი კენჭებით ეთამაშები. იმ დროისათვის სულ სხვა იყავი, არა სჭირდება ამას კამათი, არა შეცვლილხარ, ისევ ისა ხარ, არ შეგიცვლია ეს მისამართი. ვესალმუნები ციხისა კედლებს, ცაში აჭრილებს დევების ხელას, ღია სარკმლიდან ვილაცა მიმზერს... მარჯანიშვილის ქუჩას ვთხოვ შველას.

რობერტ ადარი (აჯიაშვილი)

ჩემი თბილისი და ნარიყალა მუდამ მათობდა, იერუსალიმი, ბეთჰემიკდამი ვის არ გადარევეს, მაშ, გაუმარჯოს, ქართველებო, ჩვენს მეგობრობას, ოცდაექვსი საუკუნე სიყვარულით და გულით ნატარებს. დიდებულო, ტანწერწეტავ, ლამაზო მხარევე, სილიადე შენი ბრწყინავს, როგორც ალმასი, გამრიყე იქით, მტკვრის ნაპირას დამბერე, ქარო, სადაც მეგულის ჩემი ხალხი, მხნე და ლამაზი! ოხ, სიცოცხლეო, ხანმოკლეო, ხარ ულმობელი, ოი, ეს წლებიც გამეპარა, როგორ გავიდა, ჩემი თბილისი ისე მიყვარს, მერწმუნეთ, ხალხო, მივემგზავრები, რომ სიყვარულის ძეგლი დავუდგა!

ნუნუ ბერიშვილი

მიყვარს წვიმა...

მიყვარს წვიმა, ნაზი წვიმა, საფანტივით, რომ ეშვება, მის ხმაურში, მწყობრ რითმებში, თითქოს გულზე მოგეშვება, თითქოს აფრქვევს მოგონებებს, ოცნებები აგორდება, მოგერევა ტკბილი რული, იავნანაც გაგონდება... ნაცრისფერი მთების ჩრდილი შორს ნისლებში ეფინება, ალაგ-ალაგ ღრუბელთ გროვა თითქოს ზეცას ებჯინება, გადაიღებს, მზის ნაკადი ამოსვლისთვის ემზადება, ამონვერილ ნაძვთა რიგებს მზის ლივლივი არ ბეზრდება... ჩიტუნებიც ირევიან, ჟღერტულელებენ მაღლა ხეზე, აქა-იქა გაჟღენთილი ყვავილნარიც დგება ფეხზე, პირდაბანილ, სუფთა მოლზე, ყურშაც ღელავს, იღრინება, ვარიებიც იშლებიან, წინკნენ ბალახს ნება-ნება... ისმის რითმი იმ სუნთქვისა, ვინც ქვეყანას ევლინება, თითქოს თავიდან იღვიძებს დალოცვილი ეს ბუნება...

ეკატერინე აბუთიძე

გალას!

უკანასკნელად მათ არევეს ბედი, ჩეხავს უფსკრულში მზის გვამს მორებად... გადის სიკვდილის მატარებელი და ჭირისუფლად დგას განშორება... დილა დაბნელდა უცებ ხალასი, ვით ზღვამოკლული ნაპირს თოლია, სული ქვიშაზე დაძრწის გალასი, მაგრამ შორს არის უკვე ოლია... ბედის ღალატი კვლავ შემიტყვივა, ვით მზის აჩრდილი მივდევ ლიანდაგს, შვებას ვერ მომცემს ვერც შავი ტყვივა, დრო ყოველ წუთში მაცლის ნიადაგს... სუნთქვა-დახვრეტის თითქმის ტოლია, ყველგან სიცოცხლის წამის პარვა გლლის, უკანასკნელად გიხდი ოლია, ამ სიყვარულის ღვთიურ პარაკლისს...

დატოვებს მზე ცისფერ მოედანს, როცა სულს ცის კართან მოიტანს... მუზების სავანის გალავანს, დახედავს ამაყად გალა-ვანს... მიყვება ცის კიდე მტევრებით, სულში შავ ღრუბლების მტევნებით... უბოძა, სიცოცხლის, ნოემ-ბერს, მზის ტივი, სამყარო-ნოემბერს... ცეცხლების ქარში კვლავ ჭრი-ალებს, აქ ბედის ბორბალი ჭრიალებს... ეჰ, ამდენ წვალებას ვითმენ რით, მთვარე გზას მიღობავს, ვით მერი... სურვილის ვაშრობდი მე ხომ ტბებს, მოკვდავი, მარად ცის მეხობტე... და ღამის პერანგში ჩაცმული, სული ცად მიმადრენს ჯვრაცმული... სამოთხის მნათობი თურმე მზე, ვინეკ ჯოჯოხეთის ურემზე..

ლია მუმლაძე

სიყვარულს არ გამყარო...

არ მითხრა, რომ გადაგლეკეს შემოდგომის წვიმებმა. არ მითხრა, რომ გრძნობა გაქრა და ზამთარი იწყება, რომ გაშიშვლდა ყველაფერი სულშიც ცოტა აცივდა სიყვარულიც უშენობით სიყვარულიც გაცივდა. ისევ მოვა გაზაფხული ღურჯთვალევა იებად... გრძნობაც ისევ იფეთქებს და... აყვავდება სამყარო! ოღონდაც გთხოვ, ძალიან გთხოვ სიყვარულს არ გამყარო!!!

გელა ბუილიშვილი

ქ-ნ გულიკო სალუქვაძეს, პოეტს, უძვირფასეს მასწავლებელს და მეგობარს

ნარგიზნარევა ამ ლექსის თხრობამ თუ განყენინოთ, მე მაპატიეთ, არ გაგიკვირდეთ ეს დიდი გრძნობა პატარა გულში როგორ ჩავტიე. ნეტავ შემეძლოს ტატოს მერანით ქარიშხლის შეხლა, კვეთა, დგრიალი, ვერ დამჩხავლებდა თავზე ყორანი, გულს დამრჩებოდა ლექსის ტრფიალი. განა ცხოვრება მხოლოდ ომია, მხოლოდ ბრძოლაა სხვა არაფერი?! მაშ რატომ არის ყველა ფერია ასე ლამაზი და მიმზიდველი. მე არ ვიქნები თქვენს ახლოს მაშინ, როცა საათი ისრებს შეარხევს, ახალი წელი შემოვა მარშით და ყველა სახლის კარებს შეაღებს. მაშ, მომილოცავს თქვენთვის ეს წელი აგსრულდებოდეთ, რაც გინატრიათ, დე, მეგობრობაც სულ დარჩეს მარად, არ შელახოდეს თეთრი მანტია.

იამზე არველაძე

ბახსენება

შთავგონებელი ამირან შალიკაშვილის ხელოვნებით

სცენაზე მდგარი ბრგე კაცი თითქოს - მთრთოლვარე კდემით რალაცას ითხოვს. აქანდაკებულ ხელებს ნატიფებს თუ ვერ გავუგებთ არ გვაპატიებს. შეგვიყოლია გრძნობის მორევეში, ვითარც გამომწვარ სულის თონეში. გარდასახვებით დაიპყრო სცენა, გონი წამერთვა, დამება ენა. ხელოვნებისთვის ინვოდა-ძრწოდა.. ამ მინით, ამ მზით გამოძერწილი. დღეს, ქრისტესავით წამომართული დგას, მახათაზე ძეგლი - კვართული!!

ელისო ქიტიაშვილი

მეგობრობა

„საბრალოა კაცი, რომ არა ჰყავს ტოლი!“ ფრანსუა ვიონი

მეგობრობა გზად და ხიდად გაგვდებოდეს, გვერგო ძმობად და სხვაგვარი ხილია, დე, რომ ძმობა არაფრით არ თავდებოდეს, მეგობრობა სხვა ფარი და ხიბლია. გვერგო ძმობად ზეციური წმიდა ხმებით, მეგობრობა - წმიდა გულის სანმისი, მეც მოვლოცავ დღეს ღვთიური ჯვრით და ხელით მეგობრობას, სიყვარულის სასმისით. გვერგო ძმობად, თვით ნათელი ნარუვალი, გვივის კიდეც სულ ვარდებოდ, რაოდენ, მეგობრობა, ვით სანთელი ჩაუმქრალი, კიდი-კიდე უკვდავებად ყვაოდეს.

ნინო უძილაური

ამიტომ, პოეტო!

სულით ფაქიზი ხარ და ინვი, პოეტო! სულში ჩამალული დარდით და ფიქრებით, პოეტნიც ამიტომ, ამიტომ ვპოეტობთ, ავენთოთ კელაპტრად, სანამ აქ ვიქნებით. და მერე სანუთრო ჩვენს ლექსებს მოაბნევს, ღიმილად, ფიქრებად და დასაფიქრებლად, ამიტომ, პოეტო, უნდა იპოეტო, უნდა გადმოდინდე ზღვა მარგალიტებად.

ვეფხია სამსონიძე

წმინდანის მანდილი... ხმაურში სიმშვიდე... არ არის ადვილი... ტაძრამდე მიხვიდე ტყუილის მორევეში სიმართლე ჰკიდა... დამოკლეს მახვილი... სამოთხეს დავეძებ... უდაბნო მომელის... არსაით ძახილი... გაძლება - გმირობა... მოკლული პირობა... ბლავილში - ჰანგები... არ დაიკარგები... სიტყვაში ქარაგმად თუ დაიქარგები... და სულის ვედრება... ლოცვად და მხედრებად, სამშობლოს დარაჯად... თვალწინ რომ ლანდად მაქვს... ნაკუნ ჩოხის და ტყვიებით ფარაჯა... კოშკების დამცველი... არასდროს მშორდები... ლეგენდად გმირობის არ განმეორდები... სინათლე ... ბნელეთში... ღრუბლები - ხევებში... ლამაზი ზმანება... უკვალოდ გაფანტვა და კვლავაც არხილვა რომ დაგენანება... სინორჩე ტალახში, სინაზე ბალახში ქარმა რომ გათელა... გრძნობების ტრიალი დარდად და მორევეად... უეცრად გამხელა სტრიქონი სტრიქონთან... სული არ იღლება... ფრენად და დარდებად რომ გადმოიღვრება... დრო-ჟამი - ძუ მგელი... არ იცის დანდობა, სტრიქონი სხივებად... წყალობად განდობა... ჩვილია მირონით ზეიმი ნამდვილი... ცოცხალი არ მოკვდე არ არის ადვილი...

გულნაზ გვალია

ხელოვანი რომ არამინიერი ფენომენია და კოსმიურ ძალთაგან იმართება, დღესაც კი გაუგებარია მრავალთათვის. ზეციური და მინიერი იდუმალ დასთა დასები ორგანულად თანამშრომლობენ და კოსმიური რეალიზმიც ფრთებს ისხამს მუსიკის, ფერწერის პოეზიის... სფეროში.

21-ე საუკუნემ მეცნიერებასა თუ ხელოვნებაში სიმბიოზური სტილით გამოკვეთა ახალი ეპოქის თავისებურება და განსხვავებულობა. ყოველ დროს ჰყავდა გამორჩეული პიროვნებები, რომელთაც სამარადისო დიდება მოიპოვეს და დამკვიდრდნენ „ორსავ სოფელსა ზედა.“ ამა თუ იმ სფეროში მიღებული ნორმების გადაცდენა და გადაღახვა დაშტამპული საზღვრისა, ყოველთვის იწვევდა საზოგადოებრივ რეაქციებს, მაგრამ ვერაფერს აკლებდა ჭეშმარიტს, უზენაესისგან ხელდასმულს. ეპოქებში იბადებოდნენ გენიოსები და იქმნებოდა შედეგები.

ცდილობდნენ რა, გადაელახათ ამა თუ იმ გენიალური ქმნილებების სირთულეები სიღრმისეული წვდომით და გაეხსნათ იდუმალი კვანძები, ათასი გაუგებარი ტერმინოლოგია მკვიდრდებოდა მკვლევართა მუშაკობით და გარკვეული შეხედულებები მხოლოდ გარკვეულ დროს ემსახურებოდა. დღევანდელი გადასახედიდან ეს ყველაფერი არადაძველებულია. ხელოვნების უკვდავი ნიმუშები მოითხოვენ ახალ გააზრებას. ფუნდამენტური მოსაზრება შედეგების უნივერსალობისა, უცვლელად რჩება, ხოლო ამ რანგის ზემადალი იდეალების გამოხატვის ფორმები და ხერხები უცვლელად სულიერ-მეცნიერულ ჩაღრმავებას საჭიროებს.

მრავალთა და მრავალთა შორის, ქართულ სინამდვილეში, გალაკტიონის გენიალობის ფორმულა დღემდის ამოუხსნელია. გალაკტიონოლოგებიც კი ამაოდ დაშვრნენ, ვერაფერი მნიშვნელოვანი ვერ შესძინეს მისი ფენომენალური ნიჭიერების საიდუმლოს. მოდერნიზმის ძირითადი მახასიათებლები გალაკტიონის შემოქმედებაში უმაღლეს გამოხატულებას ჰპოვეს, მაგრამ მასში ასევე ისეთი რამეებიც იკვეთება, რომელიც მანამდე ლიტერატურაში არ ყოფილა და რომლის ამოხსნაც ვერაფერს შეძლო. რომ გაუგო ავტორს, შენც იქ უნდა დაიბადო, სადაც ის და იმ პლანეტის ენაზე უნდა ამეტყველდე, რომელზეც ის. ე. ი. სხვათა საიდუმლოს ამოხსნა მხოლოდ მათ სამყაროში შედევითაა შესაძლებელი.

ჩვენი დროის გენიოსმა, მხატვარმა რეზო ადამიამ გალაკტიონის სულიერ სამყაროში არა თუ შეაღწია, არამედ იქ დაიდო ბინა და მისტიკური განზომილებების კოსმიური რეალიზმი ტილოზე გააცოცხლა. დაიხ, კოსმიური რეალიზმი, რომელსაც ძალიან უფრთხიან მკვლევრები, მათ ლექსიკაში ასეთი რამ საერთოდ არ არსებობს. უზენაესი ღირებულებების შემეცნების ჭეშმარიტი გაგება მხოლოდ სხვისი დამონებით და ნიგნებიდან ამოკითხულით შეუძლებელია. რეზო ადამიას ფერწერული ტილოების ტყვეობაში მაშინვე აღმოჩნდებით, როგორც კი მათ იხილავთ. აქვს მის ნამუშევრებს მხატვლის მონუსხვის, დატყვევების უნარი. რაც დაწერე პათეტური იმათთვის, ვისაც არასოდეს განუცდია ენერგეტიკული ველით ურთიერთობა ავტორთან, არ შეუგრძენია ხელოვანის აზროვნების რთულ სტრუქტურაში წვდომისა და მისით მოხიზვლის ექსტაზი. სწორედ კოსმიური რეალიზმი ის მიმდინარეობა, რომელსაც ძალუ-

ძს ყველაფერს თავისი სახელი დაარქვას და ხელოვნება სიყალბისაგან იხსნას.

მავანთათვის გალაკტიონის წერის მანერა, აზრობრივი გადაცდომები ჩვეულებრივთან მიმართებით, არაზუსტი სიმბოლოები, სათქმელის ბუნდოვანება, მხოლოდ ერთი რამით აიხსნება, ჩვეულებრივ მოკვდავთათვის რთულია გალაკტიონის კოსმიური მეტყველების გაგება. რეზო ადამიამ, თავადაც კოსმიურად მეტყველმა, მისი შემოქმედება თარგმნა ფერწერის ენაზე და დაამსხვრია მითი-გალაკტიონის სხვა ენაზე ვერ ითარგმნება. ხელოვნების სხვადასხვა დარგების ენაზე თუ ითარგმნება, ნიშნავს, რომ მათი წარმომავლობა ერთი იმავე ფუძიდანაა (კოსმოსიდან) და ასეთ ენაზე ამეტყველებული ლექსები, რა თქმა

რეზო ადამია და გალაკტიონი

უნდა, მოკვდავთა ენაზე არ ითარგმნება.

რეზო ადამიამ კოსმიური გონით, კოსმიური ჭკერების წყალობით გალაკტიონის პოეზიის დედულეთის რეალური კადრები ტილოზე გადმოიტანა და ფერთა ზუსტი დასმით უზენაესი განზომილების ნატურალური აღქმა შეგვაძლევინა.

ამ საუკუნეს, მის ბუნებრივ კულტურულ-შემეცნებითი ღირებულებების აღქმასა და მოკვდავთათვის გასაჯაროებას, სიმბიოზური გონი ჭირდება. გონი, რომელიც თანაბრად გაერკვევა რამდენიმე მოცემულობაში. რეზო ადამია სწორედ იგი თანაბრად წარმატებულია ხელოვნების სხვადასხვა დარგში.

მხატვარმა სულიერი გარდასახვის საოცარი უნარით შეძლო გალაკტიონის მონახულება კოსმოსში და აღმოაჩინა თავად პოეტისა და მისი პოეზიის არაორდინალობის კოსმიური წყაროები.

რეზო ადამიამ გალაკტიონისეული ქიმერები ფერწერაში პოეტზე არანაკლები ფილოსოფიური ჭკერებით წარმოაჩინა და შეუცნობი იდუმალების ბინდი გაფანტა. - იცის გალაკტიონმა რას ამბობს, - ამას გაუსვა ხაზი მხატვარმა და პოეტის სათქმელს ფერწერული მტკიცებულება შემატა.

გალაკტიონის პიროვნების რთული ფენომენი საზოგადოებისათვის ცნობილია. ამას პოეტის უცნაურობად ნათლავენ და საკითხი ვითომც ამოწურულია. ახლა იმათ, ვისაც პოეტის სულიერ მდინარეებაში კოსმიური შენაკადების ღვარცოფში უნდათ თავადაც მოყვნენ, გალაკტიონის ლექსებიდან რეზო ადამიას ტილოებთან გადაინაცვლონ და მერე ნამდვილად მიხვდებიან რომ გალაკტიონობა არ იყო ადვილი. ტილოები პოეტის ლექსებითაა დასათაურებული, სტრიქონები კი ფერებადაა გადმოშლილი. იშვიათად შეხვდებით ფერთა ასეთ ჭიდილს, ამით მხატვარი ზუსტად გადმოსცემს პოეტის ფსიქოტიპს და მხატვლისათვის ერთგვარი კოსმიური ფსიქოანალიზის საშუალებასაც იძლევა. გალაკტიონი არ ეკუთვნოდა ამქვეყნიურ განზომილებას, მისი პოეტურ-შემოქმედებითი გენია ზეციდან იმართებოდა.

რეზო ადამიას ნამუშევრებში გამოკვეთილია ასევე დემონთა სამყაროს მონადინებული ინტერესი გალაკტიონის ღვთიური გონით ბოროტეულ ზრახვათა შესაფუთად და გამაკეთილშობელი ილუზიური იმიჯის შესაქმნელად კაცობრიულ აზროვნებაში. მძიმე იყო დემონური კლანჭებისგან დაძრომა. მხატვარმა არაერთი ტილო მიუძღვნა ამ თემას და უფრო თვალსაჩინო გახადა გალას შინა-

განი სამყაროს ხელწართული ომი ეშმათა ბატალიონებთან. რეზო ადამია რომ მართალია პოეტისა და საკუთარი თავისისმცემლების წინაშე, ამაზე მეტყველებენ მისი რეალისტური სურათები, რომლებიც პირდაპირობით გამოირჩევიან და არ მალავენ გალაკტიონზე ზოგჯერ დემონთა ძლევის ფაქტებსაც. ერთ-ერთ სურათზე პოეტს მახრჩობელებივით შემოხვევიან ისინი და გალაკტიონის მზერა წარმოუდგენლად, დაუჯერებლად მშვიდია, მაგრამ ცოცხალი კადრების მონაცვლეობით ტილოს სივრცულ სიღრმეში, ხვდები, რომ მხატვრის სწორედ ასეთ გადაწყვეტაში დევს ჭეშმარიტება. დემონები სრულ იზოლაცია ადნევენ პოეტისა უზენაესისგან და განიარაღებული გალაკტიონიც კარგავს

წარსულის შეგრძნებას, შემდგომ მხატვარი სრული სერიოზულობით გადმოსცემს რეალობას-ბედს მინდობილ გალაკტიონს. აი, სად იმალება პოეტის შემოქმედების დემონური შეფერილობის საიდუმლო. ამის გარკვევაში ძალიან დიდია რეზო ადამიას წვლილი. მხატვრის სიცოცხლეშივე მისი და პოეტის სულები კოსმოსში ერთმანეთს ელაცვიციებიან და ამიტომაც არ უჭირს რეზო ადამიას კოსმიური ხედვის ფერებით ამეტყველება. მათი სულიერი მეგობრობის უტყუარი გამოხატულებაა ეს ფერწერული ტილოები.

გალაკტიონის ღამესთან დამოკიდებულების აღქმა რეზო ადამიას ფერწერაში პოეტისა და ღამის კოსმიური მეგობრობის უნივერსალური გრძნობად-ემოციური ნეტარებაა. ბუნებრივი გალაკტიონის გამოჭერა ძნელია მის პოეზიაში, ასევე ვერ იპოვით მას მხატვრის ტილოებშიც, მაგრამ აი, აქ, სადაც ის ღამეს ემუსაიფება, თავს ვერ შეიკავებთ აღტაცებისგან, რადგანაც პოეტის ბუნებრივი ნუთების აღმოჩენით სიამოვნების განცდას ვერსად ნაუხვალთ და მხატვრის საიდუმლო რეცეპტით, შესაძლებელია მათ საუბარსაც მიუგდოთ ყური. ძნელია, ძალიან ძნელია ამ მომენტში თავი შეიკავო და არ დასვა კითხვა-ვინ უფრო დიდია, მხატვარი თუ პოეტი-გალაკტიონი თუ რეზო და თქვენდა უნებურად თვალს გააპარებთ სხვა ნამუშევრებისკენაც, გონებას მოაძიებინებთ გალას ლექსებსაც და მიხვდებით, რომ თითოეულს დამოუკიდებელი ნიშა აკავშირებს კოსმოსთან.

რეზო ადამია გალაკტიონის საიდუმლოს სხვადასხვა რაკურსიდან მიუდგა და ყველაზე მთავარი, რაც მანამდე არავის უთქვამს, მისტიკური ჩრდილებით გამოხატა: გალაკტიონი კოსმიური ორომტრიალის ხილვის შუაგულში თავის თავს პოულობს და იმ სამყაროსთან ორგანულ თავსებადობას პოეზიაში რეალისტურად ასახავს. თუმც მკვლევრები ამტკიცებენ, რომ პოეტს ფანტაზია ფანტასტიკურ ხილვებს კარნახობდაო. არა, ასე ამბობს რეზო ადამია, მას ფანტასტიკური კი არა, რეალური ხილვები ჰქონდა. მე ვეთანხმები და დავძენ: მისი უცნაური ცხოვრების სტილი და სხვათაგან აშკარა, აუხსნელი განსხვავებულობა, სწორედაც რომ კოსმიურ ძალთა გალაკტიონზე უშუალო შემოქმედების გავლენით იყო. განსაკუთრებით საინტერესოა ლურჯა ცხენების ორმხრივი ქროლვა. ამ ქროლვითაა ზღვარზე კი შეუცნობთავე ცხენი, რომელიც ვერ გარკვეულა რომელ დინებას გაყვას, ცხოვრების ამაოებასა და ქაოსურ ფერხულში ჩასაბმელად იწვევს პოეტს. ფერთა გრადაცია უკა-

ვშირდება უმთავრეს საიდუმლოს- გალაკტიონს ხან უფლის გავლენა იმორჩილებდა, ხანაც დემონის. ამ ორ ძალას შორის გადანაცვლებადობა მას თითქმის არ აძლევდა საშუალებას საკუთარ თავთან მარტოდარჩენისა. რეზო ადამიას ტილოების ზოგადი სათქმელი გალაკტიონის პოეზიის ჭეშმარიტი თარგია.

დიდი სამსახური გაუწია გალაკტიონოლოგებს რეზო ადამიამ, პოეტი რომ კოსმიური რეალიზმის ფუძემდებელია (ეს მიმდინარეობა დღესაც არ არის აღიარებული ლიტერატურაში), ამის დასტურად გონიუწვდომელი სანახებიდან მუქლურჯი ფერი დაუსვა მონმედ. მხატვარმა შანსი მისცა როგორც გალაკტიონის პოეზიის, ასევე თავისი ფერწერის მოყვარულებს გაიფართოვონ კოსმიური აზროვნების არეალი.

გალაკტიონისა და კოსმოსის ურთიერთმომცველობის გამომხატველ ტილოზე სიღრმისეული გაშვებამდე დასული უსივრცო დასაღერის სიღრმეში ჩაკარგული მნათობთა ციალი იმდენად ბუნებრივია, რომ (ვინც არ უნდა იყო შენ,) ორგანული მეკავშირის შეგრძნება გაახლოებს იმ იდუმალ სამყაროსთან, სადაც ზენა და ქვენა ყანის სივრცობრივი ზღვარი არ არსებობს და იმერ-ამერში გაერთხელებული გალაკტიონის ზებუნებრივი ნიჭიერების ჭეშმარიტებაში გარწმუნებს, თან ხვდები, მართლა ჰყავს უფალს რჩეულები და ამ საზომით მართლდება გენიოსების განსხვავებულობა დედამინაზე.

გალაკტიონისა და კოსმოსის ჰარმონია მთავარი აზრია გალას პოეზიისა, რომლის რიტმი და სათქმელი დინამიურად მზარდი და ამალელებულია. მიჯნაგადაღახული პოეტის უფაქიზესი შემეცნების ლექსად ამოთქმის საბაბს ადვილად აღიქვამთ რეზო ადამიას ფერწერულ ციკლში. ასევე ცხადლივ შეიგრძნობთ პოეტის გახელების მიზეზსაც. რამდენიმე ტილოზე დემონებს იგერიებს გალაკტიონი და განრისხებული, უმისამართო გამომეტყველებით ღამისაა ტილოდან გადმოვიდეს. ასეთი ოსტატობა მხატვრისა, პოეტის სიღრმისეული განცდილობა და შინაგანი ბრძოლების განსჯის შესაძლებლობას ადვილებს, ამზერებს გალაკტიონის ინდივიდუალობის საიდუმლოს.

დაგენანება ცალკე გამოსაყოფად რომელიმე ნახატი. ისინი ერთ მთლიან სამყაროს ქმნიან გალმა და გამომლა ფონის სივრცული უსაზღვროებით. გალაკტიონი თავის ქოხში თუ პლანეტათა გალერეაში, ყველგან კოსმიურია. მისი მზერა მხატვრის ფუნჯით სხივამდგარი, დახატულზე მეტია, ის პოეტის მარადიული ხედვის ჩაუმქრალი ფენომენია.

ფერებით და ამ ფერთა ტონალურ ურთიერთობაში (ცილილბს რეზო ადამია გადამოსცეს გალაკტიონის ზეციურობა, ეს ისე კარგად გამოსდის, რომ ეჭვგარეშეა, თავადაც იმავე განზომილებიდან იკვებება. ამიტომაც გვევლინება იგი შედეგების ავტორად.

თუ სიტყვების რთული სტრუქტურის ლაბირინთებში ვერ შეაღწევ, ვერასოდეს ვერ ჩანვდები სინამდვილეს და, მითუმეტეს, ვერ გადმოსცემ მას ფერებით ისეთს, რომ „იცოცხლოს“ კაცობრიობის არსებობის მანძილზე.

რეზო ადამიას სიდიადის საიდუმლო უკვდავი შედეგების ავტორებთან სულიერ მეგობრობაა. მათ შორისაა გალაკტიონიც. ეს მეგობრობა რომ არა, აბა, როგორ გამოსტყუებდა საიდუმლოს, რომელსაც პოეტი მხოლოდ ღამეს ანდობდა. კოსმიური სამყარო გალაკტიონის სტიქიაა. რეზო ადამიას პოეტისადმი მიძღვნილი ტილოები კი გალაკტიონის პოეზიის კოსმიურ წარმომავლობას ადასტურებენ.



ივეტა პავლიაშვილი

ვასო პაპას ჭიშკართან კაცებს თავი მოეყარათ და სოფლის ამბებს არჩევდნენ. იჯერეს რა გული მონაჭორის თურელობის გარჩევით, ყაყანიც შეწყდა და ყველა გოდერძის მიაჩერდა - აბა ახლა რას იტყვისო. - როგორც ყოველთვის დღევანდელი თავყრილობა ისევე გოდერძიმ დააბოლოვა ახალი ანეგდოტით, მერე ცას შეხედა და სხვათაშორის თქვა: დღეს ამინდს კარგი პირი არ უჩანს, წამო სადმე ჩაუსხდეთ და სუფრაზე ვაქოთ ერთმანეთიო აბა იმათაც რა უნდოდათ? უცებ დატრიალდნენ: ვასო პაპას ბაღში შეაგროვეს ხმელი ტოტები, გამხმარი ტყემლის ხეც დაჩეხეს და კარგი ცეცხლიც დაანთეს. მერე ბაღში ნაქცეული ძელსკამი მარჯვით წამოაყენეს, რიყის ქვა მიარტყ-მოარტყეს გასამაგრებლად და სახელდახელო პურ-ღვინოც გაიშალა. ოთხნაირი მარტო მწნილი იდო სუფრაზე, ყველი, ვიჩინა და დედას პური თავისთავად. ღვინო: როგორც სხვა დანარჩენი სანოვაგე ყველამ თავთავისი გამოიტანა - აბა რომლის და რომელი წლის აჯობებსო.

კაცები ამ ფაცი-ფუციტ იყვნენ გართულნი, რომ შარაგზაზე ელვის სინრაფით მიმავალმა მანქანამ უეცრად ისე დაამუხრუჭა, გეგონებოდათ მინა გასკდაო. - აბა სხვა ვინ იქნებოდა, თუ არა მიტონანტ "ცეტი" ჯემალა?!

- ბიჭებო, ცეცხლის სუნი ტრიალებს. სამწვადეს ვერ ვხედავ, სადა გაქვითო? - დაიძახა.

- შენ გელოდებოდითო უმაღ უპასუხეს და აფრინეს დუქნებში - "ბრადიკას" უთხარი ბიჭებთან კარგი სამწვადე გამოგატანოსო.

მანამ ჯემალა სამწვადეს მოიტანდა, შეშამ კარგი ნაკვერჩხალიც დაყარა. შამფურები არავის მოუკითხავს, იცოდნენ რომ ჯემალა მაყალსაც და შამფურსაც საბარგულით ყოველთვის თან დაატარებდა. თუ არა და შინდის ხის ტოტები რას აკეთებდნენ მაშინ?...
 თამადას არჩევა არა სჭირდებოდა. გოდერძი ხომ რაიონში აღიარებულ თამადად ითვლებოდა ჭირშიც და ღვინშიც. მშვიდობა თქვენდაო - ბრძანა თამადამ და უფლის სადიდებელი შესვა პირველი სადღეგრძელო. სულიერების ძალას გაუმარჯოსო ყველამ თითქმის

ერთდროულად შესძახა. მერე ჩვენი ოფლით ნაშოვნი ლუკმა პურის მადლი დაილოცოსო... თამადამ, ახლა წლევიანდელი დანურული ღვინო დავაჭაშნიკოთო როგორი დადგაო, სადღეგრძელოები არ ილეოდა და მერიქიფეც დაუყოვნებლივ აპიპინებდა თლილ ჭიქებს.

თამადის ენაშვიანობით და ღვინის მადლით გამთბარი თანასოფლელები სიცივესაც ველარ გრძნობდნენ და სადღეგრძელოებით იცლებოდა ბოლომდე.

ბევრი თამადა ყოფილა საქართველოში. სწორედ მათ შემოინახეს ქართული ღვინის მადლი. ქართული სუფრის ღვინიც ხომ ამ ქვეყნის ბუნებისნაირია: უხვი, ჟღერადი და მრავალფეროვანი.

დღეგრძელოზე მიდგან ფეხზე წამოდგომით პატივი მიაგეს გარდაცვლილთა სოვენას და ზინა ძალოს მორთმეული ლავაშის პატარა ლუკმა ღვინოში ჩაუნეს. - ნასულებს გაუმარჯოს, მათი ცხონება იყოსო იმეორებდნენ.

ჩვენს სამეგობროს სულ ახლახანს გამოაკლდა ჩვენი ძმა და მეგობარი - ღირსეული მამულიშვილი, სოფლის მოამაგე და მოსარჩლე, სხვისი დარდის მონილე და მოჭირნახულე, კარგი მეოჯახე და მეურნე - ჩენი ლუდო. - ღმერთმა ნათელში ამყოფოს და მომგონებელი დიდხანს უცოცხლოს. ლუდოს გაუმარჯოს! ცოცხლად ვადღეგრძელოთ. ხომ გაგიგიათ ბიჭებო?!

წუხელის შოთაც დაბადებულა, დაბადებულა თურმე დემეტრე, განგებავ, ჩვენი საქართველოსთვის რა სიხარული გამოიმეტე!...

ამის შემდეგ ჭიქები კიდევ ხელახლა შეავსეს და თამადამ ბრძანა: მოდით ახლა, ბიჭებო, ჩვენს ქარცეცხლიან ისტორიას გაუმარჯოს. მართლაც და როგორ გადავრჩით? რამდენად აც მშვენიერია საქართველო, იმდენად საბედისწერო ადგილზე დაავანა განგებამ. საქრისტიანო-სამუსულმანოს გზაგასაყარზე, თან ირგვლივ სულ იმპერიები იყვნენ, მაშინ თუ ვერ მოგვერია, ვერც ახლა მოგვერევა მტერი. ნუ შევშინდებით, ბიჭებო! საქართველოს წარუმატებლობა დროებითია. მოვა დრო და ჩვენი მამული ისევ გაერთიანდება, აღორძინდება, მტერს საკადრისი მიეზღვება. „ხალხის სიდიდე იმ ფართობით არ იზომება, რომელსაც იკავებს“. ღვთიური სამართალი არ დაუშვებს იმას, რომ მსოფლიოში შეუღარებლად ტოლერანტულს, სტუმართმოყვარეს, ყველა ეროვნებისა და რელიგიის შემწყნარებელ ხალხს საკუთრივ სამშობლო დარჩეს მოუვლელი. მამულის მარადისობას გაუმარჯოს, ბიჭებო! და თან ვაჟას ლექსი შემოსძახა:

"სამშობლოს არვის წავართმევთ, ჩვენც ნურვინ შეგვეცილება, თორემ ისეთ დღეს დავაყრიოთ, მკვდარსაც კი გაეცინება!" ძვირფასი სადღეგრძელოები გრძელდებოდა. მეზობლების სადღეგრძელოს ჯერიც დადგა.

"როსტომ ფალავანი ვიყავ, ქვეყანას კვალი ვაჩნიე, მეზობლის გადაკიდებას ისევ დათმობა ვარჩიე".

- წარმოთქვა თამადამ და თედო და გოგია ერთმანეთს ჩაახუტა.

თამადას სათქმელს რა დაუღევედა?... და თამადამაც გააგრძელა: მოდით იმ ნატვრას გაუმარჯოს, რომელსაც ასრულება უნერია და იმასაც, რომელსაც არ უნერია - წარმოთქვა თამადამ და ალავერდი დასაოჯახებელ ლადოსთან გადავიდა... შემდეგ მოგონებების შესვებს, შემდეგ იმ მთვარეს გაუმარჯოს, რომელიც მეგობრის საშველად წასულ მეგობარს გზას გაუნათებსო შემდეგ ამ სადღეგრძელოს მოჰყვა კიდევ მრავალი ლამაზი სადღეგრძელო: ყოვლანმინდის, ფუძის ანგელოზის. 365 წმინდა გიორგის ... კიდევ კარგა ხანს ისმოდა ვასო პაპას ბალიდან სიმღერა და შეძახილები.

"რადგან სიცოცხლე ასე ნავარდობს, სიკვდილის ყველა კარი დარაზმეთ და იმ ბედნიერ დღეს გაუმარჯოს, როცა ჩვენ გავჩნდით ამ ქვეყანაზე"...

ამ ბალის მეპატრონე (90) ოთხმოცდაათს გადაცილებული ვასო პაპა კი გზის პირას ცხაურთან ჩამომჯდარიყო და მზის გამოჩენის იმედით თბებოდა. მერე თუთუნი ამოიღო ბუშლატის ჯიბიდან, გაზეთის ნახევმი გაახვია და მოგონებებს გამოუხმო წარსულიდან. მოპირდაპირე მხარეს სკოლის შენობიდან ბავშვების მხიარული ჟრიალი ისმოდა.

ერთი სოფლის ამბავი

სწორედ სადღეგრძელოებში ზის ქართველი კაცის ხასიათი, ქართველთა ცხოვრების ნირი, საფიქრალ საზრუნავი, სალოცავ-საფიცარი.

სად იყო სად არა, ბალის მომიჯნე გოგიაც გამოჩნდა. მოდი შემოგვიერთდით ერთხმად შესძახეს სუფრიდან. გოგია და იქ მყოფთაგან ერთ-ერთი უბრად იყვნენ მიწის ნაკვეთის გამო და გოგია ფეხს ითრევდა, მაგრამ მაინც დაიყოლიეს და მომდურავ თედოს მიუჯინეს გვერდით. შემოსწრებულს მის მოსვლამდე შესმული სადღეგრძელოები შეახსენეს და სიმღერაშიც აიყოლიეს:

"წუთისოფლის სტუმრები ვართ ჩვენ წავალთ და სხვა დარჩება, თუ ერთმანეთს არ მოვალხენთ ამის მეტი რა შეგვრჩება".

თამადას არც ერთი სადღეგრძელო არ დარჩენია უთქმელი და ჭიქა დაუცვლელი. უკვე კარგად შეზარხოშებულები იყვნენ, ზინა ძალომ თონის ცხელი ლავაშები რომ დაალაგა სუფრაზე შეძახილით - ღმერთმა შეგარგოთ ბიჭებო. თამადამ - ზინა ძალო რა კარგ დროს მობრძანდით, ზუსტად ახლა ვაპირებდით მანდილოსნების სადღეგრძელოს თქმას და თქვენ გაგიმარჯოთო და სამადლობელის სათქმელად ჭიქა შეუვსო საფერავით.

- მანდილოსნებს გაუმარჯოთ! - გააგრძელა თამადამ, ჩვენს დედებს, მეუღლეებს, დებს, კიდევ ბებიებს, დეიდებს, მამიდებს, შეყვარებულებს, ძალოებს. ევას შთამომავლები ბუნებამ თითქოს საცდურად გააჩინა, მაგრამ თუ რამ ფასდება ქალში, ეს ერთგულების და ღირსების გრძნობაა. ხომ გახსოვთ საქართველოს ისტორიიდან, როგორ ცვიოდნენ უფსკრულში ქალები, მტერს რომ არ ჩავარდნოდნენ ხელში, როგორ მედგრად ედგნენ მხარში მებრძოლ ვაჟკაცებს, როგორ ალომგვულებდნენ ქმრებს, ძმებს, სატრფოებს, აკი ტყუილად არ უწოდებიათ მათთვის დედაკაცი. უდედეკაცი სახლი. უგულო სხეულია ბიჭებო - მანდილოსნები დავლოცოთ!

თამადა მრავალფეროვან ქართულ ტრადიციულ სადღეგრძელოებს რიგ-რიგობით მიჰყვებოდა. როცა ჯერი ნასულებს მოსახსენიებელ სა-

"მაინც რა ზნე ჭირს სიკვდილსა ვერ მიხვდა ჩემი გონება, შიგ ამოარჩევს ვაჟკაცსა რომელიც მოეწონება",

რა უბრალოდ დაკვარგეთ ბიჯო მეგობარი - საუბარში ჩაერთო აქამდე ჩუმად მყოფი სუფრის წევრი - ავთო. ვინ მოიფიქრებდა, ძალ-ღონით სავსე ვაჟკაცს ასე ადვილად თუ მოერეოდა სიკვდილი? ჩიტვიტ გული არა ჰქონია?! კაცი ვენახში წასულა, ჩავხედავ ერთი მამულსო. იქვე, მის მომიჯნეს ჩაბულასთვის ცეცხლი მოუკიდებია, ის კიდენა ისე აბრიალებულა... ლუდის შეშინებია - ჩაქრობა მოუწოდებია, ვენახს არ წაეკიდოსო და ცუდათ გამხდარა, ჩაკეცილა კაცი და გული არ გახეთქია?!

სიკვდილ-სიცოცხლის მარადიული ჭიდილია ცხოვრება. ნასულებს, რომ ცხონებას ვუთვლით თუნდაც იმიტომ, რომ ახალმა თაობამ გარდაცვლილთა ცხოვრება მაგალითად დაისახოს, პატივისცემა ჰქონდეს წინაპრებისა. აი, ასეთია მამულის სიყვარული ბიჭებო. სუფრის წევრებმა ბოლომდე შესვეს შესანდობარი. სევდიანი სიჩუმე ისევ თამადამ დაარღვია.

- აბა, ბიჭებო! ჭიქები შევავსოთ და ახლა სიცოცხლე ვადღეგრძელოთ: ჩვენი მომავალი თაობის, ჩვენი ბავშვების თამადაობით ვსვამ სიცოცხლის სადღეგრძელოს - ბრძანა თამადამ. მოდით, ამ სადღეგრძელოს "გოგლაურას" შექმნილ ვარიანტს შემოგთავაზებთ: "იმათ გაუმარჯოთ, ვინც ახლა იზადება!" ახალი თაობის აჯეჯილებას გაუმარჯოს. იგია ქვეყნის აღორძინებისა და უკვდავების დვრიტა. სიცოცხლის მარადისობას გაუმარჯოს: - ასწია ჭიქა თამადამ და ლექსიც დაურთო:

"წუხელის ბიჭი დაბადებულა გადაჭარბებდა თუ არ ჩამითვლით, ისეთი ბიჭი დაბადებულა დაურქმევიათ თურმე დავითი! დაბადებულა წუხელის ნინო და ქეთევანი დაბადებულა, ის ბნელი ღამე თურმე უეცრად ღვთიურის ნათლით განათებულა..."



ალექსანდრე დიდებაშვილი

თანამედროვე ქართულმა მწერლობამ მტკიცე ნიშნები დატოვა განიცადდა.

გარდაიცვალა თვალსაჩინო ქართველი პოეტი და საზოგადო მოღვაწე ალექსანდრე დავითის ძე დიდებაშვილი.

ქართულ სამწერლო ოჯახს გამოაკლდა ერთი გულანთებული ქართველი შემოქმედი, რომლისთვისაც მშობელი ქვეყნის უებრო, უხმაურო სამსახური არსებობის უმთავრეს გამართლებას წარმოადგენდა...

ალექსანდრე დიდებაშვილი დაიბადა 1935 წლის 4 მარტს მცხეთის რაიონის სოფელ კველიანში. საშუალო განათლების მიღების შემდეგ, 1961 წელს იგი ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის ფურნალისტიკის განყოფილებაში სტუდენტად, რომელიც 1966 წელს დაასრულა.

მას შემდეგ ალექსანდრე დიდებაშვილი სხვადასხვა დროს მუშაობდა რაიონულ გაზეთ „მცხეთის“ ლიტერატურულ მუშაკად, განყოფილების გამგედ და მთავარ რედაქტორად, გაზეთ „მცხეთა-მთიანეთის“ პასუხისმგებელ რედაქტორად, გაზეთ „კახეთის“ რედაქტორის მოადგილედ, გაზეთ „სერაფიმას“ მთავარ რედაქტორად, გაზეთ „ლომისის“ პასუხისმგებელ მდივანად, ჟურნალ „ლიმლის“ პასუხისმგებელ მდივანად და ყველაგან დამსახურებული ავტორიტეტითა და პატივისცემით სარგებლობდა.

ალექსანდრე დიდებაშვილის ლიტერატურული დებიუტი 1953 წელს შედგა, როდესაც გაზეთ „ნორჩი ლენინელი“ გამოქვეყნდა მისი პირველი ლექსი „შემოდგომა“. სწორედ ამ პუბლიკაციით დაიწყო კიდევ ერთი ღირსეული შემოქმედის სამწერლო ცხოვრება.

მას შემდეგ ალექსანდრე დიდებაშვილის ნაწარმოებები ლირიკული თუ საბავშვო ლექსები, ნოემელოები, ფელეტონები, პუბლიცისტური ნერილები სისტემატურად ქვეყნდებოდა სალიტერატურო ჟურნალ-გაზეთებში, გამოდიოდა ცალკე წიგნებში.

ალექსანდრე დიდებაშვილი ქართველი ბავშვების საყვარელი პოეტი იყო. მისი საყვარელი ნიგუნები „კულუნა და ტანტალა“, „მზის საგალობელი“, „ბანცალების ლექსები“, „ჩხიკვის ოინები“, „გაჯავრებული ბაჭია“, „ანბანი“, „ტყის გადარჩენა“, „კვართხისები“, „გიგი და გელა“, „სათაყვანო წინაპრები“ და მრავალი სხვა პატარების სამაგიდო ნიგუნებდა იქცა.

ალექსანდრე დიდებაშვილის კალამს ეკუთვნოდა საბავშვო მოთხრობები, რომლებიც შესულია წიგნში „საუბრები მეგობრებზე“.

პოეტის ლირიკული კრებულები „რას კენის ლექსი“, „მთის ბილიკიდან სვეტიცხოვლამდე“, „რობაიები“ უშუალოდ და დატვირთული გაგიორჩევა. მის კალამს ეკუთვნოდა მრავალი იუმორისტული ნაწარმოები, ლიტერატურულ-კრიტიკული ნერილი თუ მხატვრული ნარკვევი.

მის მშვენიერ ლექსებზე შექმნილია არაერთი სიმღერა. მრავალი მათგანი თარგმნილია უცხოურ ენებზე.

ალექსანდრე დიდებაშვილის მრავალწლიანი ნაყოფიერი სამწერლო და საზოგადოებრივი საქმიანობა სათანადოდ დაფასდა. იგი დაჯილდოებული იყო ღირსების ორდენით, მინიჭებული ჰქონდა შიო მღვიმელის სახელობის პრემია, მცხეთის საპატიო მოქალაქის ნიშნები...

ალექსანდრე დიდებაშვილი ქართველი მწერლების მახსოვრობაში დარჩება, როგორც მაგალითი იმისა, თუ როგორ უნდა ემსახუროს ქვეყნის სიმაღლეში მშვენიერად თავის ქვეყანას, თავის ხალხს და თავის მოწოდებას.

საქართველოს მწერალთა კავშირი



ამრიდონ ჩეგიაიანი

ქართულმა სამწერლო ოჯახმა მძიმე დანაკლისი განიცადა.

გარდაიცვალა აფხაზეთიდან დევნილი ცნობილი ქართველი პოეტი და საზოგადო მოღვაწე ამრიდონ ჩეგიაიანი.

ამრიდონ ჩეგიაიანი დაიბადა 1938 წლის 10 სექტემბერს მესტიის რაიონის სოფელ ხალდეში. პირველადნეებითი განათლებაც მშობლიურ სოფელში მიიღო. საშუალო სკოლა კი გუდაუთის რაიონის სოფელ ოთხარაში 1957 წელს დაამთავრა. შემდეგ საჯარო სკოლაში დასრულდა საშუალო განათლება, სადაც კოსტრომის ოლქის დაბადემოედევოში საკონტინენტთაშორისო ბალისტიკური რაკეტების ბაზების მშენებლობაზე მუშაობდა. არმიიდან დაბრუნების შემდეგ, 1966 წელს ამრიდონ ჩეგიაიანი სწავლა განაგრძო სოხუმის მაქსიმ გორკის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის ფილოლოგიურ ფაკულტეტზე, რომელიც 1972 წელს დაასრულა.

უმალესი განათლების მიღების შემდეგ ამრიდონ ჩეგიაიანი პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდა სოფელ ოთხარაში; გაზეთ „საჭოთა აფხაზეთის“ სპეციალურ კორესპონდენტად მუშაობდა ბაშის მშენებლობაზე, ნია-გრუნისკაიაში და და იქ მოღვაწე ქართველთა საქმიანობას აშუქებდა, სადაც არ უნდა ემუშავა, ყველას რაინდული სულის მქონე პიროვნებად ამახსოვრებდა თავს და ეს თვისებები ძალუმადა აფხაზეთის ომის დროს გამოავლინა, როცა ფაქტურად მტრის ბუნაგში მოხვედრილი მამულიშვილი კი არ შედრკა, ვარხმალი კი არ დაყარა, არამედ მამაცურად დაუხვდა განსაცდელს და არამარტო საკუთარი ოჯახი, არამედ მისთვის მშობლიურად ქვეული ოთხარას მოსახლეობაც გადაარჩინა განადგურებას. იმ მძიმე დღეებში მის გვერდით დიდი წინაპრების – ხალდეს აჯანყების მონაწილეთა სულელები იბრძოდნენ და ჩამოხვედის უფლებას არ აძლევდნენ. ბრძოლას ყველა აქვს აზრობა, იმეორებდა ბატონი ამრიდონი ეწედა მძიმე წუთებში მათ ბრძნულ ნათქვამს და ისე იცავდა სიმინდესა და პატიოსნებას საქართველოს იმ ულამაზეს კუთხეში...

ამრიდონ ჩეგიაიანის პოეტური ნათქვამი 1957 წელს შედგა, როდესაც გაზეთ „საბჭოთა აფხაზეთში“ დაიბეჭდა მისი პირველი ლექსი „ჩემი სვანეთი“. მას შემდეგ ამაყი და დაუმორჩილებელი ხალდეს უსაბუთო თოვლის ნაჭურით იკვებებოდა მისი შემოქმედება, რომელიც მთლიანად მშობელი ქვეყნის ნაჭრილობების მოშუშებას ემსახურებოდა ათწლეულების განმავლობაში.


ამრიდონ ჩეგიაიანის პოეტური კრებულები „თოვლის სამოსელი“, „დემონების შემოსევა“, „მე მოვდივარ“ „მემკვიდრეობა“, რჩეული „რუსეთი – საქართველოს ომი აფხაზეთში“, „ბედი და უბედობა“, ერთტომეული ქართველი მკითხველის მოწონებითა და აღიარებით სარგებლობს, რომელმაც ამ კრებულების მიღმა მათი ავტორის ვაჟკაციური სული და ქედუხრობა აღმოაჩინა, აღმოაჩინა ქედუხრობის რაინდი, ვინც მზად იყო თავისი სიცოცხლე მიეტანა მამულის წმიდათა მიდა საკურთხეველზე, რათა ხალდეს მთებში აგუგუნებულ ცისკრის ზარებს ხმა არ გაზარდოდა...

ამრიდონ ჩეგიაიანის ლექსები თარგმნილია უცხოურ ენებზე, თავად კი ჩინებულად თარგმნა დიმიტრი გულიას, ბაგრატ შინქუბას, ივანე თარბას, მუშნი ლასურას, ნელი თარბას ლექსები.

ამრიდონ ჩეგიაიანის ღვაწლი სათანადოდ დაფასდა. იგი დაჯილდოებული იყო ღირსების ორდენით, მინიჭებული ჰქონდა აკაკი წერეთლის სახელობის პრემია.

ამრიდონ ჩეგიაიანის ნათელი ხსოვნა დიდხანს დარჩება მისი მეგობარი ქართველი მწერლების გულში, ვისთვისაც ძვირფასია ისეთი ცნებები, როგორიცაა სამშობლოს სიყვარული, პატიოსნება, ვაჟკაცობა, სათნოება, ერთგულება.

საქართველოს მწერალთა კავშირი



ბექან სიგისვაძე

თანამედროვე ქართულმა მწერლობამ მნიშვნელოვანი დანაკლისი განიცადა.

გარდაიცვალა თვალსაჩინო ქართველი მთარგმნელი ბექან ბაგრატიძის ძე სიგისვაძე.

ბექან სიგისვაძე, მთარგმნელი და მოქალაქე, მთელი თავისი შეგნებული სიცოცხლის განმავლობაში ქართველ მწერალთა იმ გუნდში მოიაზრებოდა, ვისაც გულსინჯიერებდა უნდა ამოტვიფრული დიდი ილია მართლის ტრიადა – მამული, ენა, სარწმუნოება და თავისი ცხოვრების ნირითა და წესით ამტკიცებდა ამ ტრიადის ერთგულებას...

ბექან სიგისვაძე დაიბადა 1929 წლის 2 აპრილს საჩხერის რაიონის სოფელ ცხომარეთში. დაწყებითი განათლება მშობლიურ სოფელში მიიღო, საშუალო სკოლა კი საჩხერეში დაამთავრა ოქროს მედალზე 1955 წელს. იმავე წელს სწავლა გააგრძელა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტზე, რომელიც 1960 წელს დაასრულა. 1963-1967 წლებში ბექან სიგისვაძე წარმატებით სწავლობდა თბილისის ილია ჭავჭავაძის სახელობის უცხო ენათა ინსტიტუტის ინგლისურ განყოფილებაში.

ინგლისური ენის ჩინებულმა ცოდნამ ბექან სიგისვაძეს საშუალება მისცა დიდი ინგლისურენოვანი მწერლობის საუკეთესო ნიმუშები ეთარგმნა ქართულად. მისი შრომითი საქმიანობაც მთარგმნელობით მოღვაწეობას დაუკავშირა, მუშაობდა რა საქართველოს მწერალთა კავშირის მხატვრული თარგმანისა და ლიტერატურული ურთიერთობის მთავარი სარედაქციო კოლეგიის კონსულტანტად.

მისმა პირველმა თარგმანმა კი 1963 წელს იხილა დღის სინათლე, როდესაც გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში“ გამოქვეყნდა ინგლისელი მწერლის გრემ გრინის მოთხრობა „საგანგებო დავალება“.

მას შემდეგ ბექან სიგისვაძის მხატვრული თარგმანები, ლიტერატურულ-კრიტიკული ნერილები, რეცენზიები პერიოდულად ქვეყნდებოდა პერიოდიკაში, გამოდიოდა ცალკე წიგნებში.

ბექან სიგისვაძემ რუდუნებითა და პასუხისმგებლობის დიდი გრძნობით თარგმნა მსოფლიო ლიტერატურის ისეთი მნიშვნელოვანი ნაწარმოებები, რომლებიც იყვნენ ჯონ სტეინბეკი, ბრეტ ჰარტი, რინდ ლარდერი, თომას ვულფი...

ამ თარგმანებიდან ცალკე აღნიშვნის ღირსია დიდი ამერიკელი მწერლის ჯონ სტეინბეკის სახელგანთქმული რომანი „მრისხანების მტვენები“, აგრეთვე ბრეტ ჰარტის რჩეულ თხზულებათა ორტომეული...

ბექან სიგისვაძისეულ თარგმანებში გამოშვერებულია ქართული ენის მდიდარი ლექსიკური შესაძლებლობანი, გაცოცხლებული და ამტკიცებულია ხატოვანი სიტყვა-თქმანი. ამ თარგმანებში არ ირღვევა ტექსტის ეფონიური სტრუქტურა და შენარჩუნებულია დედნისეული მხატვრული ქსოვილის სიდიადე...

ბექან სიგისვაძე წლების განმავლობაში მონაწილეობდა ფოლკლორულ ექსპედიციებში და ქართული სიტყვიერების არაერთი შესანიშნავი ნიმუში მოიძია.

ბექან სიგისვაძე ქართულ ხუროთმოძღვრული ძეგლების დაცვის აუცილებლობას მნიშვნელოვანი სტატიები მიუძღვნა...

ქართველ მწერლებს დიდხანს ემსახოვრებთ ბექან სიგისვაძე, მათი ნაცადი და ერთგული თანამოკალმე, ჩინებული მთარგმნელი, ქვეყნის მცვენი ქართული სულიერებისა.

საქართველოს მწერალთა კავშირი



თორნიკე ერისთავი

ქუთაისში მოღვაწე შემოქმედთა გუნდს ერთი ჩინებული და კოლორიტული წარმომადგენელი გამოაკლდა.

გარდაიცვალა ცნობილი ქართველი პოეტი და საზოგადო მოღვაწე თორნიკე ერისთავი.

თორნიკე ერისთავი ძალზე წააგავდა საკუთარ სამშობლოს, უბრალო იყო, სათნოებით სავსე, უბრალო და მიაბიტი, მოსიყვარულე და ერთგული, ლექსის მადლითა და მორწიან გათანგული...

თორნიკე ერისთავი დაიბადა 1954 წლის 30 იანვარს ქუთაისში. 1970 წელს დაამთავრა ქუთაისის მე-2 საშუალო სკოლა, 1980 წელს კი – ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტი.

უმალესი განათლების მიღების შემდეგ მუშაობდა სამტრედიის რაიონის სოფელ ბერძნისწყაროს საშუალო სკოლის პედაგოგად, ქუთაისის ელექტრო-მექანიკური ქარხნის ინჟინრად, გაზეთ „მონამეთას“ პასუხისმგებელ მდივანად, გამომცემლობა „მონამეთას“ რედაქტორად და დირექტორად. სადაც კი იმუშავა, ყველაზე კეთილშობილურად და სათნოებით დაამახსოვრა თავი თანამოძმეთ, ყველაგან თავისი გვარისა და გენის ღირსებას იცავდა...

თორნიკე ერისთავის ლიტერატურული დებიუტი 1984 წელს შედგა, როდესაც რესპუბლიკურ ჟურნალ-გაზეთებში გამოქვეყნდა მისი ლექსები და მოთხრობები. მას შემდეგ მწერლის ნაწარმოებები – ლექსები, მოთხრობები, პუბლიცისტური სტატიები, ლიტერატურული ნერილები პერიოდულად ქვეყნდებოდა ჩვენს სალიტერატურო პერიოდიკაში, გამოდიოდა ცალკე წიგნებში.

მკითხველი ცხოველი ინტერესით ხვდებოდა თორნიკე ერისთავის ისეთ წიგნებს, როგორიცაა „ნუკრა“, „და ასე შემდეგ“, „ოიდა ოვშაღე“... ამ წიგნებში დაკანონდა პოეტური თუ პროზაული ნაწარმოებებს გულწრფელობა და უშუალობა, თემის აქტუალობა, მშობელი ქვეყნის სატიკავარის გათავისება, სწრაფვა ორიგინალურობისკენ, ხასიათების ცოცხლად და ხელშესახებად ძერწვის უნარი, იუმორის გამახვილებული გრძნობა გამოარჩევს.

თორნიკე ერისთავთან მეგობრობა, თუნდაც უბრალო ნაცნობობა ზემო იყო ყველასათვის, რადგან თავისთვის არავის არაფერს თხოვდა, იმიტომ კი არა, რომ არ სჭირდებოდა, არა, საკუთარი პრობლემები, საკუთარი გასაჭირი, ტანჯვა-ვაება ჩირადაც არ უღირდა, რადგანაც მტკიცედ სწამდა, რომ ნებისმიერმა მოქალაქემ, მით უმეტეს, შემოქმედმა, საკუთარ სამშობლოზე უკეთ არ უნდა იცხოვროს...

როგორ გაიხარა, როდესაც სასიკვდილო სარეცელზე მიჯაჭვულ მისი ახალი პოეტური კრებული „ათასმეტრე ფიქრი“ მიაღწევს მეგობრებში, ეფერებოდა წიგნს ისე ფაქიხად, თითქოს სამშობლოს ეფერებოდა, იმ სამშობლოს, რომელსაც სულ მალე უნდა გამოთხოვებოდა...

საქართველოს მწერალთა კავშირი

საქართველოს მწერალთა კავშირი და „მწერლის გაზეთი“ ღრმა მწუხარებით იუნწყებიან, რომ გარდაიცვალა იამზე არეკლადის ძმა
ელდარ არველაძე
და თანაუგრძობენ განსვენებულის ოჯახს

ქვეყნის გზები №1 2019 მთავარი რედაქტორი სოსო სიგუა სარედაქციო სამსახურს თანამშრომლობა პასუხისმგებელი მდივანი რეგისტრირებულია ვაკე-საბურთალოს სასამართლოს მიერ. რეგისტრაციის № 5ა-4-3098 e-mail: mgorgishvili@mail.ru; sososigua@yahoo.com